

ისტორია

ქართული ახმია
1921 წლის
ომის ბირ

(ფოტოზე:
სიმონ წერეაშვილი,
სომხეთ-საქართველოს
ომის ბმისი)

მონა ბიოჩილ
ნავარავი
ჩავრჩენ
თურქთილან

ლეის ცენტრის
მცნახეც
ცგვილენ

ქართველი ბმისი ცენტრი
გრიგოლ აბაშიძის
ისტორიული ტრილოგია
6 ტომავალი. ტომი 6
ცოდნა
აჯ გართვალია (ნიბრ II)
დაცვა და
აგაღლება ფასი 3 ლარი
ნიგნი „ისტორიანთან“ ერთად – 6 ლარი

ჩავრჩენ
ლეის ცენტრი
საქართველოში
306
კლემარის
კვაველაშვილი
სისტემა

მახუფი
ეს XVIII
საუკანის
ქართველი
მცნახეც
ცენტრის
სისტემა

ბოსფორი ეს
ესხენაცი
საქართველოში
მოშენები
მონაცემი –
ნობერ თათი



6



9



10



17



36



28

საქონელი

ახალი ამბავი	
აცტეკთა ომის ღმერთის დაპადების	
ადგილი ნაკოვნია.....	6
უიგა იღლოეთში ბრუნდეგა.....	7
ღუშის უმემლესი მაჯარე ეგვიპტიდან	9
„ანტიკარული“ სკანდალი ეპორააში	10
ქათური მონახვა	
კოლეგიუმი თეთრი.....	12
პოლონეკი	
მრუდე სარკმაზი	17
საქართველო და მხოლოდ	
საქართველო უცხოელთა ფერები	23

ეცნობათა ბიორჩაფილება

0326 ჯავახითვილი	28
ახალი ამბავი	
306 აღმოაჩინა აპსტრალია?!.....	35
საკართველოს რევული 1921 წელ	
„ტედად ჩაცემლი და ნახევრად შეიმირი“	36
მოახაუი კიბელობის სანახისაი	
700ნდა გიორგის ნაკვალევაზე	41
საკართველოს ჩაბორეული მაზრები	
ფოტოებს უძრავია სტალინის მუზეუმში.....	48
მხედართობისახები	
რუსი პანიგალი – აღმესანდრე	
სუბროვი	54

68



61



90



98



75



82



სახიცვი

შავი ზოვის სახურავი	
პოსფორი და დარდაცლი	61
ჯიცელომსობრივი	
ორგანი გედაღი არ არის,	
ხრომო რაინდი – ტიტული!	68
მოყალ ახალი	
2300 ჭლის კალპულატორი	74
ტექნიკური თანისმო	
განვითარ გრიაზნის გავლენისა	75
ჯამუშური თაღარავი	
არშემლგარი ტერაპტი თემირანი	82

ძეგლები

მარტყოფის საფორტიფიკაციო ეგელები	90
სომხების ისტორია	
დიდი ცირკი – ფორმულა 1	98
ცეცხლება	
ჯაბუა ამინდვები – მოავარი შეკითხვა	
საპუთიარ თავს	105
XX-XXI საუკანის ფეხურათობი	
მიდარული ამგები „ივერიიდან“	111
„ისტორიი“ ბავშვებისთვის	
ცოდნის სამყარო	114
სკანდოლი	122

უურნალ „ისტორიანის“ ქველი ნომრების შეძენა შეიძლიათ
 „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში. ფასი 2 ლარი

ჩერაქორის სვეტი

მკითხველი დამეთანხმება, რიგით ქართველს რომ ვკითხოთ, რა მოხდა თებერვალში ყველაზე მნიშვნელოვანი, რამდენიმე ფაქტს აუცილებლად დაასახელებს. მათ შორის უპირველეს დავით IV აღმაშენებლის გარდაცვალების (8 თებერვალი ახალი სტილით), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისა და საქართველოს გასაბჭოების თარიღებია. ჩვენი ახალი ნომერი სწორედ ამ უკანასკნელ მოვლენას ეხმაინება. გადავწყვიტეთ, მკითხველს მოუკითხოთ 1921 წლის იანვარ-თებერვლისთვის ქართული ჯარის მდგომარეობაზე. როგორც დარწმუნდებით გამოქვეყნებული მასალიდან, იმ დროისთვის, ომის წინ, ვითარება სამხედრო ნაწილებში მაინცდამაინც სახარბიელო არ ყოფილა.

მოგვიანებით, ემიგრაციაში მყოფთა შორის 1921 წლის თებერვლის ამბები დიდი დაპირისპირებისა და აზრთა სხვადასხვაობის საგნად იქცა, თუმცა ყველა აღიარებდა, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას პქონდა იმის ძალა, უფრო მძლავრი წინააღმდეგობა გაეწია მტრის-თვის. ამაში მხოლოდ სამხედრო ელიტა არ ყოფილა დამნაშავე, პოლიტიკური ჯგუფებიც ბევრს აშენებდნენ და უპირველესად, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები. ვფიქრობთ, ამ მოვლენათა ჯეროვანი და პირუთვნელი შეფასება ჯერაც მოძვლის საჭეა.

აქვე მინდა ჩვენს მკითხველს ვაცნობო ერთ საინტერესო ინიციატივაზე. ამიერიდან ჟურნალი „ისტორიანი“ იწყებს სტატიების სერიას ქართული ნუმიზატიკის შესახებ. მომდევნო ნომრებიდან, ჟურნალთან ერთად, მთელი საქართველო დაიწყებს უძველესი ქართული მონეტების „შეკრივებას“. გადაწყვეტილი გვაქსეს, თითოეულ ნომერს დაუურთოთ თითო ცნობილი ქართული მონეტის (კოლხური თეთრი, დავითისა თუ თამარის ფულები...) ასლები. ამიერიდან ყველა ოჯახს შესაძლებლობა ექნება, შინ იქონიოს ზუსტი ასლი ძველი ქართული მონეტებისა, რომლებიც დღვისთვის მხოლოდ მუზეუმების დარბაზებშია გამოფენილი.



მომდევნო ნომრებიდან ჟურნალ „ისტორიანი“ ერთად მთელი საქართველოს უძველესი ქართული მომეტების „შებროვებას“ დაიწყება...

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი
„ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშაო

რედაქტორი
გელა გურგენიძე

სტილისტ-რედაქტორი
ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
რეზო თხილიშვილი

სარედაქციო ჯოლებია:

ალექსანდრე ბოშიშვილი, ოქროპირ ჯიქური,
ნინო ჯაფრიძე, დიმიტრი სილაქაძე,
მიხეილ ბარნევი, შოთა მათიაშვილი, გახაბურ
გალიაშვილი, ნიკოლოზ ხოშერია

კორექტორები:

ნანა მაჭავარიანი

ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:

თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ.: 238-13-72, 238-02-45

სარეკლამო განყოფილება

ტელ.: 237-78-07, 238-78-70
e-mail: istoriani@palitra.ge

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ
რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდება აერძალულია

ჟურნალის გამოწერისთვის მიმართოთ პრესისა და
წიგნების გაერცელების სააგენტოს „ელგა.ჭა.“
ტელ.: 238-26-73

„პალიტრამედიას“ ცხელი საზო: 219-60-13; 219-60-53
e-mail: contact@palitra.ge

აცტეკთა ომის დანართის დაგენერის ადგილი ნაორვის

მექსიკული არქეოლოგი ფერნანდო ლოპეს აგილიარი დარწმუნებულია, რომ კოატეპეკის მიური მთა აღმოაჩინა, სადაც, აცტეკური ლეგენდების მიხედვით, დმერთი უიცი-ლოპოჩტლი დაიბადა.

მეცნიერის განმარტებით, მთა იდალგოს შტატში, პანუს ძეგლიდან 30 კილომეტრში მდებარეობს. ამ ამბის შესახებ არქეოლოგის ნაშრომი ლიცენზირებულ სამეცნიერო ჟურნალებში ჯერ არ გამოქვეყნებულა.

ფერნანდო ლოპეს აგილიარის დასკვნები წერილობით დოკუმენტებსა და არქეოლოგიურ მონაცემებს ეყრდნობა.

გათხრები მთაზე, რომელიც მექსიკელი მეცნიერის აზრით, კოატეპეკის პროტოტიპი იყო, 1991 წელს დაიწყო. მანამდე კი, გასული საუკუნის 40-იან წლებში მთაზე მდებარე ძეგლების დიდი ნაწილი გაიძარცვა.


გათხრებისას მთის სამხრეთ კალთაზე სამღლოცველოსა და რამდენიმე სკულპტურის ნაშთებს მიაკვლიერ. გველის თავი და ქვის „კბილები“, არქეოლოგის სატევებით, სიმბოლურად ღმერთკოლიბრის, უიცილოპოჩტლი ბუმბულს განასახიერებს.

მეცნიერი მთის ერთ-ერთი კონცხის იდენტიფიცირებას უიცილოპოჩტლი დასთან, უიცილოპოჩტლის პირამიდა აცტეკების იმპერიის დედაქალაქ ტენოჩტლანში

ქალღმერთ-მთვარესთან კოიოლპაუკისთან ახდენს. ამას გარდა, მთის მიმდებარე დასახლებებში ნაპონია გველის კიდევ ორი თავი, რომელიც იმავე ძეგლის ნაწილს წარმოადგენს.

უიცილოპოჩტლი, ანუ სამხრეთის კოლიბრი — აცტეკების მზისა და ომის ღმერთი და იმავდროულად იმპერიის დედაქალაქ ტენოჩტლანის მფარველი იყო.

ლეგენდის თანახმად, რომელიც მეპიკოატლის ქრონიკებშიც არის ჩაწერილი, უიცილოპოჩტლის დედა კოატლიკუე, კოლიბრის ბუმბულებისგან დაფქმდიმდა. მის და, კოიოლპაუკი, დედის მოკვლას ცდილობდა ბუმბულებისგან დაფქმდიმების გამო. თუმცა როცა უიცილოპოჩტლიმ ეს გაიგო, ის დედის საშოღან საბრძოლო აღჭურვილობიანად გადმოხტა და მოკლა კოიოლპაუკი, ასევე თავისი მრავალი სხვა და-მა. შემდეგ მან დის მოკვეთილი თავი მაღლა, ჰაერში აისროლა, სადაც იგი მთვარედ გადაიქცა, მის



კვალდაკვალ ასროლილი დები და მმები კი — ვარსკვლავებად.

უიცილოპორტლის მნიშვნელობა თავდაპირველად დიდი არ იყო, მაგრამ აცტეკების იმპერიის ჩამოყალიბების შემდეგ, მმართველმა ტლაკაელელმა, ღმერთების პანთეონში ცვლილებები შეიტანა. უიცილოპორტლი მან შის ღმერთად აქცია.

უიცილოპორტლი გამუდმებით ებრძოდა წყველიადს და მოითხოვდა ძალების აღდგენას მსხვერპლშეწირვით. ეს საშუალებას აღლვდა შეს კიდვე, ერთი 52-წლიანი ციკლი გავლო. 18 ფესტოვლიდან, რომელებსაც აცტეკები წლის გამნავლობაში მართვდნენ, ერთ-ერთ უიცილოპორტლის ეძღვნებოდა. ტლაკაელელის მმართველობისას აცტეკებს სწამდათ, რომ ადამიანთა მსხვერპლშეწირვა შეძლებდა სამყაროს დასასრულის შეჩერებას, თუნდაც მხოლოდ 52 წლით.

არქეოლოგებმა კოატეპეკის მთის პონა ადრეც არაერთხელ სცადეს, თუმცა უშედეგოდ. ამერიკელი მკვლევარი პოლ კირჩოფი ვარაუდობს, რომ ის ტბა იურიირიას შორიახლოს მდგბარეობს, 166 კილომეტრზე იმ ადგილიდან, რომელიც აგილიარმა აღმოაჩინა.

მოშადებულია *Lenta.RU*-ს მიხედვით



უიცილოპორტლის გამოსახულება აცტეკური ხელნაწერი კოდექსიდან

შივა იცდოთში ბრუნდება

ინდოეთის რაჯასტანის შტატის მონასტრიდან მოპარული სამი არტეფაქტი, მათ შორის შივასა და მისი შეუღლის, ფარგატის X საუკუნის იშვიათი ქანდაკებები ძველ ადგილ დაუბრუნდება. მათი გადაცემა ნიუ-იორკში, ინდოეთის საკონსულოში ცერემონიის ხასიათს ატარებდა. ნაპონი სიძველეები ინტერპოლმა მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებულ მოპარულ ხელოვნების ნიმუშთა სიაში შეიტანა.

როგორც ინდოეთის ფინანსური დაწვერვის სამსახურის გენერალური დირექტორმა, ნაჯიბ შაპმა განაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატების იმიგრაციისა და საბაჟო სამსახურებმა არტეფაქტების ძებნა მას შემდეგ დაიწყეს, რაც მათ შესაბამისი ოხოვნით ინდოეთის ფინანსური დაწვერვის სამსახურმა მიმართა.

მოშადებულია

archaeology.org-ის მიხედვით



უძვირუსი არტეფაქტები სამშობლოში ბრუნდება



ლუდის ჟქვალესი მაცნერეა ეგვიპტიდან

ლუქსორში ლუდის მხარშავი საწარმოს მფლობელის სარკოფაგს მიაკვლიერ. იაპონელი მეცნიერები 3200 წლის წინაძელ სამარხს ამენპოტეპ III-ის პერიოდის არქეოლოგიური შრის გაწმენდისას გადააწყდნენ. ფარაონი ძვ.წ. 1354 წელს აღდესრულა. სწორედ მის და რამზეს II-ის სახელს უკავშირდება ლუქსორის ველზე ძველეგვაიპტური ტაძრების კომპლექსის მშენებლობა.


ექსპერტების განცხადებით, სამარხს ლათინური T-ს ფორმა აქვს და ლუდის მწარმოებელ ხონსო იმ-პებს ეკუთვნის. სამარხი ორი დარბაზისა და დასაკრძალვი პალატისგან შედგება. ერთ-ერთი მხრიდან მას ესაზღვრუბა

ვინმე პოუნის სამარხი, რომლის ვინაობაც მეცნიერებისთვის ამჟამად უცნობია.

ხონსო იმ-პები ქალღმერთ მუტისადმი მიძღვნილი რიტუალებისთვის საგანვებო სასმელს ამზადებდა. ეგვიპტის მფარველ ქალღმერთ მუტს ძევლეგვიპტურ წიგნებსა და ფრესკებში ფრთხით გამოსახავდნენ, უფრო ხშირად ძერის ან სვავის ფორმით. მას ხშირად მოიხსენიებდნენ როგორც ყველასა და ყველაფრის დედას. სამარხის კედლის მხატვრობა კარგად არის შემონახული და ყოველდღიურ ყოფასთან ერთად, რელიგიურ რიტუალებსაც ასახავს, რომელშიც ხონსო იმ-პების ცოლი და შვილებიც მონაწილეობდნენ.



ძეგლების ტერიტორია
და მნიშვნელოვანი
სამარხის კულტურული
მონაცემები



ეგვიპტის სიძველეთა მინისტრი მოპარები იბრაჰიმი ამბობს, რომ გათხრების განმავლობაში სამარხისა და მისი მიმღებარე ტერიტორიის დაცვა გაძლიერდება. სრული შესწავლის შემდეგ კი მოზღება კომპლექსური რესტავრაცია და სამარხი დამთვალიერებლებისთვის გაიხსნება.

ეგვიპტის სიძველეთა მინისტრის აზრით, ტოკიოს გასედას უნივერსიტეტის მეცნიერობა აღმოჩენა ლუქსორის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებულია.

ქალაქი ლუქსორი ზემო ეგვიპტეში მდებარეობს. იგი ცნობილია ტაძრების ნანგრევების კომპლექსთ კარნაკიან, ლუქსორის ტაძრითა და მონუმენტებით, ასევე ნილოსის დასავლეთ სანაპიროს სამეფო სამარხებით. ლუქსორის ხშირად მსოფლიოს უდიდეს და ცის ქვეშ მუზეუმსაც უწოდებენ.

მოშადებულია BBC-ის მიხედვით

ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით

(კითხვა, შენიშვნა, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზება...)

კალიტრა მელია გისმენი!..

დარეკა: 219 60 13

მოგვცერეთ: contact@palitra.ge

ან: „კვირის კალიტრის“ („სიტყვა და საქმის“)

საფოსტო ყუთების საშუალებით



შეეიცარიიდან
სიძველეთა
დაბრუნების
შემდევ
კარაბინერთა
გრძელი
ხელი დიდ
ბრიტანეთამდევ
წედება

„ანტიკარული“ სკადეალი ევროპაში

იტალია ბრიტანეთს 700 არტეფაზტის
დაუყოვნებლივ დაბრუნებას სთხოვს



იტალია დიდ ბრიტანეთს შვიდასამდე
არტეფაზტის დაუყოვნებლივ დაბრუნებას
სთხოვს. აღნიშნული სიძველეები ამჟამად
ლონდონში ინახება.

იტალიის სახელმწიფო იურისკონსულმა,
მაურიციო ფიორილიმ უკვე გაუგზავნა ბო-
ლო გაფრთხილება ბრიტანეთის სახელმწიფო
ლიკვიდატორს, რომელიც სიძველეთა ცნო-
ბილი მოვაჭრისა და კოლექციონერის, რობინ
საიმსის აქტივებზე ავებს პასუხს. საიმსის
ფირმა 2003 წელს გაკოტრდა, 2005 წელს კი
რობინ საიმსის ორწლიანი პატიმონიბა მიუსა-
ჯეს. მას ანტიკვარ ჯაჭვომ მედიჩისგან სიძვე-
ლეთა უკანონოდ შეძნაში დასდევს ბრალი. ამ
უკანასკნელის სახელი ანტიკური პერიოდის
სიძველეების კონტრაბანდის გამაურებულ
საქმეს უკავშირდება.

იტალიური მხარის წერილს იმ შვიდა-
სამდე არტეფაზტის ჩამონათვალი ახლავს,
რომელზეც იტალიური მხარე პრეტენზიას
აცხადებს. მათ შორისაა საუკელირო ნა-
კეთობები, ათობით ძველბერძნული სტილის

საიმსის სადაც კოლექციის ექსპონატი. სკულპტურა
ეტრუსკული ტერაკოტისგან

ლარნაკი, მარმარილოს ბიუსტები, მჯდომარე ქალღმერთის თიხის ქანდაკება, რომელსაც ხელთ მტრედი და ბრონეული უპყრია; აღვეჭ-სანდრე დიდის ბრინჯაოს ბიუსტი, ბრინჯაოს რამდენიმე სტატუეტი, მათ შორის ზევსის, აფროდიტესი და სხვ.

ჩამონათვალს ახლავს განმარტება, რო- მელშიც იტალიური მხარე წერს, რომ სიძვე- ლები ქვეყნის ტერიტორიიდან თავის დროზე უკანონოდ გაიტანეს.

სია ლიკვიდატორ კომპანიას პირველად 2012 წლის 3 აგვისტოს გაეგზავნა. იტალიური მხარის წერილი მან უპასუხოდ დატოვა და შხოლოდ დამატებითი ინფორმაცია მოითხოვა იმის დასამტკიცებლად, რომ სიძველები ქვეყნიდან უკანონოდ იყო გატანილი.

საგამოძიებო ორგანოებთან დაახლოებულ წყაროზე დაყრდნობით მედია წერს, რომ იტა- ლიამ საკარისი მტკიცებულებები წარადგინა და ახლა ლიკვიდატორ კომპანიას მოუწვეს მტკიცება, რომ ეს მასალები ნაძარცვი არ არის.

საიმსის კოლექციაზე პრეტენზიას სა- ბერძნეთიც გამოთქვამს, თუმცა დიდი ბრი- ტანეთისთვის ოფიციალური წერილით ჯერ არ მიუმართავს. საგულისხმოა, რომ ფირმა „რობინ საიმსის“ ერთ-ერთი კრედიტორი არის მისი ყოფილი პარტნიორის, ქრის- ტოს მიხაილიდისის ოჯახი. გარდაცვლილი ბიზნესების ოჯახის წევრების ადვოკატის განცხადებით, თუ იტალიური მხარე დამაჯე- რებელ ფაქტობრივ მონაცემებს წარმოადგნს, მისი კლიენტები არტეფაქტების დაბრუნების წინააღმდეგი არ იქნებიან.

„რობინ საიმსის“ კოლექციის გამო ხმა- ური მას შემდეგ ატყდა, რაც გაირკვა რომ ბრიტანულმა ლიკვიდატორმა ფირმა BDO-მ, სიძველებით მოვჭრე გაკოტრებული ფირმის საგადასახადო დაგალებების დასაფარავად, არტეფაქტების ნაწილის ახლო აღმოსავლე- თის ბაზარზე გაყიდვა სცადა. კერძოდ, აბუ- დაბიში, სადაც რამდენიმე მუზეუმი შენდება. მათი გახსნა უახლოეს წლებში იგეგმება.

ეს ცნობა 2011 წელს გავრცელდა. მაშინ იტალიის სახელმწიფო იურისკონსულმა იურიდიულ კომპანიას, რომელიც „რობინ საიმსის“ ლიკვიდატორ ფირმა BDO-ს წარ- მოადგენდა, პირველი წერილი გაუგზავნა და გააფრთხილა, რომ სიძველეთა გაყიდვას



სამსის სადაცო კოლექციის ექსპონატი. ოქროსა და ლურჯი მინის ეტრუსკული კელსაბამი, აქროს აძგონით

იტალიური მხარის დაუყოვნებლივი რეაქცია მოჰყებოდა.

ბოლო წერილში კი ნათქვამია, რომ ლიკ- ვიდატორი კომპანია არტეფაქტების შესახებ ინფორმაციას იტალიურ მხარეს დათმულ დროში თუ არ მიწვდის, იურისკონსული „სა- იმსის“ საქმეს რომის სისხლის სამართლის ტრიბუნალის პროკურორს გადასცემს.

**მომზადებულია
archaeology.org-ის მიხედვით**



სამსის სადაცო კოლექციის ექსპონატი. ძველბერძნული ლარნაკი

კოლხური თათრი



საქართველოში მოჭრილი მონეტები დათოვნზე
დაწარიღები შვეიცარის უტყუარი ისტორია

ურნალი „ისტორიანი“ გთავაზობთ ქართული ნუმიზმატიკის განვითარების ამსახველ
მასალებს, ე.წ. გაბმული თხრობის სახით წარმოგიდგენთ ისტორიას საქართველოს
ტერიტორიაზე უძველესი დროიდან მოჭრილი ფულის შესახებ. ვიმედოვნებთ, ჩვენი
მკითხველი დაინტერესდება ამ თემატიკით, მით უფრო, რომ მას საშუალება მიეცემა,
უძველესი ქართული მონეტების ასლების საკუთარი „კალექცია“ შექმნას.



ლიდიაში მოჭრილი სტატერი. ძვ.წ. 650-600
ბრიტანეთის მუზეუმი



გვინაში მოჭრილი დრაქმა მითური
ძუს გამოსახულებით, ძვ.წ. 700

პირველად მონეტა ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების მიჯნაზე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ორ ადგილას გამოჩნდა – მცირე აზიის სახელმწიფო ლიდიაში და კუნძულ ეგინაზე (საბერძნეთი). მონეტა თავიდანვე მრგვალი ფორმის იყო და მისი სრულფასოვნების გარანტიას უკვე სახელმწიფო იძლეოდა. მონეტის შემოღებამდე კი ანგარიშსწორებისთვის ლითონის სხვადასხვა ფორმის ზოდები მიმოიქცეოდა.

ლიდიის მონეტები დამზადებულია ელექტრუმისგან (ვერცხლისა და ოქროს შენაღნობი). ეგინაზე მოჭრილი კი – ვერცხლისგან. ადრეარქაული მონეტები ცალმხრივი იყო, ე.ი. მხოლოდ ერთ მხარეს ჰქონდა გამოსახულება. ყოველ მონეტას კი აუცილებელი ორი მხარე აქვს: შუბლი ანუ ავერსი და ზურგი ანუ რევერსი. მათ განსხვავებული ფუნქციები აკისრიათ. მონეტის შუბლზე ისეთ გამოსახულებას დაიტანებინ, რომელსაც საკანონმდებლო დატვირთვა ჰქონდა – ღვთაებას, მონარქს,

იმპერატორს, ქალაქის ან რესპუბლიკის სიმბოლოს და სხვ. ზურგის გამოსახულებით კი კუთხილების ან წარმოშობის ამოცნობა შეიძლება — მაგალითად, მონეტის მოჭრის ადგილის (სახელმწიფო, ქალაქი). ხალასი ოქროს ან ვერცხლისგან მოჭრილი მონეტა რბილია და ამიტომ მტკიცე ლითონსაც (ძირითად სპილენძს) ურველნენ. ამ ნაბობს ლეგირებულ ლითონს უწოდებენ. შენადნობში სუფთა ლითონის წილს სინჯი ან სინჯადობა წილება, ადგილს კი, სადაც მონეტას ჭრიან — ზარაფხანა.

ღრაქმა ძველბერძნული ვერცხლის მონეტების ძირითად ერთულია. გარდა ამისა, იჭრებოდა დიდრაქმა (ორდრაქმიანი), ტეტრადრაქმა (ოთხდრაქმიანი), დეკადრაქმა (ათდრაქმიანი), ჰემიდრაქმა (ნახევარდრაქმიანი) და სხვ. ბერძნული სამყაროს ოქროს მონეტას წილება სტატერი, რომაული ვერცხლის ფულს — დენარი, ოქროს ფულს — აურეუსი.

აღმოსავლეთში ვერცხლისგან ჭრილნენ სიკილას (აქემენიანთა ირანის ეპოქა, ძვ.წ. VI ს-დან), დირპემს (VII-XIV სს.), თანგას (თემურ ლენგის ეპოქიდან), აბაზს (ხევიანთა ირანში), აყჩეს (ოსმალეთში); ოქროს მონეტებს — დარიკს (აქემენიდების ირანში), დინარს (სასანიანთა ირანსა და არაბთა სახალიფოში), ალთუნს (ოსმალეთში). ყოველივე ამის ცოდნა ქართული სამონეტო სისტემის გასაგებად აუცილებელია.

ადამიანის მიერ ლითონის ფულის — მონეტის გამოგონება, შეიძლება ყველაზე დიდ აღმოჩენათა გვერდით დაგაყენოთ.

25 საუკუნე — უჭყვეტად

საქართველოში მოჭრილი მონეტები, შეიძლება ითქვას, ლითონზე დაწერილი ქვენის ნამდვილი ისტორიაა, ლაკონიურად და უტყუარად გადმოცემული, რამდენადაც მონეტა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის იურიდიული ხასიათის დოკუმენტია.

აღსანიშნავია, რომ საქართველო, კერძოდ კი კოლხეთი, მსოფლიოში სამონეტო საქმის ერთ-ერთი უძველესი კერაა. ჩვენი ქვენის ტერიტორიაზე ფულის მძმოქცევა და ვერცხლის მონეტების მოჭრა ძვ.წ. VI-V საუკუნეებში დაიწყო და 1833 წლამდე გაგრძელდა. ეს უნიკალური შემთხვევა, როგორც ფაქტის სიძველით, ისე ხანგრძლივობით.

საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი მონეტა ძვ.წ. VI საუკუნის დასასრულს მოიჭრა. ვერცხლის ეს უძველესი სამონეტო ჯგუფი სამეცნიერო ლიტერატურაში „კოლხური თეთრის“ სახელით არის ცნობილი, სახელი წყაროებიდან არ დასტურდება, იგი მეცნიერია მიერ შეწერული ტერმინია. ეს სამონეტო ჯგუფი ფართოდ იყო გავრცელებული თანამედროვე დასავლეთ საქართველოს, ანუ ისტორიული კოლხეთის საზღვრებში.

კოლხური თეთრის მოჭრას მეცნიერათა ნაწილი კოლხეთის სამეფოს მიაწერს, ნაწილი კი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ბერძნულ ახალშენებს (შაგალითად, ფაზისს). მონეტების მაღალმხატვრული დონე ტოლს არ უდებს იმდროინდელი ცივილიზებული სამყაროს მოწინავე ქვეწების ნუმიზმატიკურ ძეგლებს. სტილისტურ-ტექნიკური თვალსაზრისით კი შეინიშნება განსაკუთრებული მსგავსება ძვ.წ. V საუკუნის შუა ხანების მილეტურ მონეტებთან. ამიტომ უფრო იმ აზრის კენ იხტებიან, რომ კოლხური ფული ქალაქ ფაზისში (ფოთი) — მილეტელთა მიერ დაარსებულ ახალშენში იჭრებოდა.

კოლხური თეთრის დიდი უმეტესობა კოლხური ოქროს საუკუნები. ვანი. ძვ.წ. IV საუკუნე



დასავლეთ საქართველოშია აღმოჩენილი. ჩრდილოეთი ქალაქ სოხუმიდან, სამხრეთით – მდინარე ჭოროხის შესართავამდე და შავი ზღვის სანაპიროდან ლინის ქედამდე. კოლხური თეთრი მცირე მასტაბით საქართველოს ფარგლებს გარეთაც გადიოდა.

ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე ტიპის (მონეტაზე მოცემული გამოსახულების მიხედვით) და ნომინალის (ფულის ერთეული) კოლხური თეთრი. მათ შორის ყველაზე დიდი ნომინალია ე.წ. ტეტრადრაქმა, ყველაზე მცირე – ე.წ. ჰემიტეტრტემორიონი.

* * *

ქალაქ ფაზისის სამონეტო პროდუქციაში ძირითადად გამოყოფენ კოლხური თეთრის რგოლის. ქვემოთ წარმოდგენილია თითოეული მათგანი.

1. ე.წ. ტეტრადრაქმა



აღწერა: ვერცხლი. წონა: ჰააგის მუზეუმის ეგზემპლარი – 10,40 გრამი, ბრიტანეთის მუზეუმის ეგზემპლარი – 12,72 გრამი, სიმონ ჯანაშიას მუზეუმის ეგზემპლარი – 13 გრამი.

რემედიუმი (წონითი მერყეობა) – 10,40-დან 13 გრამამდე.

დიამეტრი ≈ 22 მმ.

შებლი: მაღალი ხელოვნებით შესრულებული, მარცხნივ ან მარჯვნივ მიმართული მუხლმოდრეული ხარისთავიანი ქალის (აშკარად შეიმჩნევა მკერდის მოხაზულობა) ფიგურა. ხელი ჩამოშეებული აქვს ბარძაფის გასწროვ, ყელთან შეიმჩნევა ნაოჭები (ყელსაბამი? ან ნიღაბი?).

2. I ტიპის დიდრაქმა



აღწერა: ვერცხლი. წონა: 10 გრამი, 10,1 გრამი, 11,3 გრამი, 11,4 გრამი – სპარსული სტატერი; 7,9 გრამი, 8,1 გრამი, 8,6 გრამი, 9,4 გრამი – ატიკური დიდრაქმა.

დიამეტრი ≈ 17/20-20/21 მმ.

შებლი: მარჯვნივ ან მარცხნივ მიმართული მწოდიანე ჰერმაფროდიტი ლომის (ხვალის ფაფრითა და ძუს ძუძუებით) გამოსახულება, რომელსაც თავი უკან აქვს მიბრუნებული.

ზურგი: quadratum incusum-ში (ჩაჭდეულ სწორკუთხედში) მოთავსებული მარცხნივ ან მარჯვნივ მიმართული მუხლმოდრეული ხარისთავიანი ქალის (აშკარად შეიმჩნევა მკერდის მოხაზულობა) ფიგურა. ხელი ჩამოშეებული აქვს ბარძაფის გასწროვ, ყელთან შეიმჩნევა ნაოჭები (ყელსაბამი? ან ნიღაბი?).

ნომინალი: სპარსული სტატერი – 10 გრამი, 10,1 გრამი, 11,3 გრამი, 11,4 გრამი. ატიკური დიდრაქმა – 7,9 გრამი, 8,1 გრამი, 8,6 გრამი, 9,4 გრამი.

კოლხებია: სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმი, ქუთაისის მუზეუმი, ერმიტაჟი (სანქტ-პეტერბურგი), ბერლინის მუზეუმი, ბრიტანეთის მუზეუმი, ბოსტონის მუზეუმი.

ზარაფხანა: ფაზისი.

თარიღი: ძვ.წ. VI-V სს.

3. II ტიპის დიდრაქმა



აღწერა: ვერცხლი. წონა 9,6 გრამი, 9,9 გრამი, 10,4 გრამი – სპარსული სტატერი; 8,7 გრამი, 9,2 გრამი, ატიკური დიდრაქმა. დიამეტრი ≈ 18/20-21/23 მმ.

შებლი: ხაზოვნ რკალში ჩასმული ადამიანის (ღვთაების) მარჯვნივ მიმართული თავი

(ზუსტად ისეთი, როგორიც მეორე ტიპის ჰქონდა ქვემად).

ზურგი: ორ quadratum incusum-ში (ჩაჭ-დეულ კვადრატში) ერთმანეთის საპირისპიროდ მიმართული ადამიანის ისეთივე თავები, როგორიც მონეტის შუბლზეა გამოსახული.

ნომინალი: სპარსული სტატერები 9,6 გრამი, 9,9 გრამი, 10 გრამი, ატიკური დიდრაქმები 8,7 გრამი, 9,2 გრამი.

გალექცია: სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმი, ქუთაისის მუზეუმი, ერმიტაჟი (სანქტ-პეტერბურგი), აშ-ის ნუმიზმატიკური ასოციაციის კოლექცია.

ზარაფხანა: ფაზისი.

თარიღი: ძვ.წ. V ს.

4. III ტიპის დიდრაქმა.

აღწერა: ვერცხლი.

შუბლი: ხაზოვნ რკალში ჩასმული მარჯვნივ მიმართული ადამიანის პროფილი (ისეთივე, როგორიც II ტიპის დიდრაქმაზე).

ზურგი: ერთმანეთის საპირისპიროდ მიმართული ხარის ორი თავის გამოსახულება ორ quadratum incusum-ში (ხარჯი იდენტურია კოლხურ ჰქონდა ქვემიდრაქმაზე გამოსახულასა).

გალექცია: მონეტა დღეისთვის დაკარგულად მიიჩნევა, მისი მხოლოდ ჩანახატი არსებობდა, რომელიც ნუმიზმატ დავით კაპანაძეს 1959 წელს რუსეთიდან მეცნიერმა ე.ოხოტინოვმა გამოუსახვავნა.

ნომინალი: ატიკური სტანდარტის დიდრაქმა.

ზარაფხანა: ფაზისი.

თარიღი: ძვ.წ. V ს.

5. მ.შ. დრაქმა



აღწერა: ვერცხლი. წონა 5,52 გრამი.

დიამეტრი ≈ 17/19 მმ.

შუბლი: ლომის თავის გამოსახულება პირდაპირ (ან ფაცე).

ზურგი: quadratum incusum-ში (ჩაჭ-დეულ კვადრატში) მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ხარის თავი.

ნომინალი: სიკლი – სპარსული სისტემით.

გალექცია: ქუთაისის მუზეუმი.

ზარაფხანა: ფაზისი.

თარიღი: ძვ.წ. V სს.

6. I ტიპის პემიდრაქმა



აღწერა: ვერცხლი. რემედიუმი 1,7-2,6 გრამი.

დიამეტრი ≈ 11/12-12/13 მმ.

შუბლი: დაღრუნილი ლომის თავის მარჯვნივ პროფილი (ქობულეთში აღმოჩენილ მონეტაზე ლომის თავი მარცხნივაა მიმართული)

ზურგი: quadratum incusum-ში (ჩაჭ-დეულ კვადრატში) მოთავსებული მარჯვნივ მიმართული მულომის პროტოტიპი.

ნომინალი: ატიკური სისტემის ჰქონდა.

გალექცია: სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმი.

ზარაფხანა: ფაზისი.

თარიღი: ძვ.წ. V ს.

7. II ტიპის პემიდრაქმა



აღწერა: ვერცხლი. რემედიუმი (წონითი მერყეობა) 1,2-2,6 გრამი.

დიამეტრი ≈ 12 მმ.

შუბლი: ხაზოვნ ან წერტილოვან რკალში ჩასმული მარჯვნივ (ზოგ შემთხვევაში – მარცხნივი) მიმართული ადამიანის თავი. შემორჩენილია ცალები, რომლებზედაც გამოსახულება წარმოდგენილია გრძელი, მხრებზე

Quadratum incusum-ი ტექნიკური დანიშნულების დეტალია: ჩაჭურის დარტყმის დროს მოხეტის ნაშავრი სიქოდან (ფალიბილან) არ ამოვარდნილიყო

დაყრილი თმით, რაც მიუთითებს, რომ საქმე რომელიღაც ქალღმერთის იკონგრაფიასთან გვაქვს.

ზურგი: ასევე მარჯვნივ მიმართული ხარის თავი, რომელიც ხახოვნ რკალშია ჩაშელი. კოლხური თეთრის აბსოლუტურ უმრავლესობას წარწერები არ აქვს. მაგრამ ამ ტიპის მონეტების ზოგიერთ ცალზე ამოტვიფრულია ბერძნული ასოები — MO/SO, Φ, A, O, E, Π, Δ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელი „კოლხური თეთრი“, თავდაპირველად სწორედ მეორე ტიპის ჰემიდრაქმას ქრისტები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ათასობით არის აღმოჩენილი.

თარიღი: ძვ.წ. V-III სს.

ნომინალი: ატიკური სისტემის ჰემიდრაქმა.

კოლექცია: სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმი. ვინაიდან კოლხური თეთრის მონეტებს შორის ყველაზე გავრცელებული მეორე ტიპის ჰემიდრაქმაა, ამიტომ იგი მსოფლიო მასშტაბით თითქმის ყველა წამყვან მუზეუმშია წარმოდგენილი.

ზარაფხანა: ფაზისი.

თარიღი: ძვ.წ. V-III სს.

8. ე.შ. პემიტარალამონიონი



აღწერა: ვერცხლი. წონა 0,150 გრამი, 0,111 გრამი, 0,110 გრამი.

შებლი: მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავის გამოსახულება (იდენტურია მეორე ტიპის კოლხურ ნახევარდრაქმაზე ამოკვეთილი პროფილისა).

ზურგი: მარჯვნივ მიმართული რომელიღაც ფრინველი, საყარაუდოდ წერო.

თარიღი: ძვ.წ. V ს.

ნომინალი: ატიკური სისტემის ჰემიტერტემორიონი.

კოლექცია: სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმი.

ზარაფხანა: ფაზისი.

თარიღი: ძვ.წ. V ს.

მონეტებზე არსებულ გამოსახულებებს მეცნიერები ქართულ წარმართულ პანთონის უკავშირებები. ლომის გამოსახულება ქართველებისთვის შექმნა, ანუ ერთ-ერთ მთავარ ღვთაებას განასახიერებდა. ამიტომ, სავარაუდოდ, კოლხური თეთრი სინთეზური კატეგორიის მონეტაა, რომელიც თანაბრად აქმაყოფილებდა ორივე ჯგუფის (კოლხური და ბერძნული) ინტერესებს — ლომის გამოსახულება სემნეტიკურად უკავშირება როგორც ბერძნულ ღვთაება აპოლონს, ასევე ქართველური ტომების ერთ-ერთ მთავარ ღვთაებას, შეის კულტს.

მოსახურებას, რომ კოლხური თეთრი სინთეზური კატეგორიის მონეტაა, კიდევ უფრო ამტკიცებს დაზოქილი ადამიანის გამოსახულება, რომელსაც მსოფლიო ნუმიზატიკაში პარალელი არ მოექმნება, და რომელიც შესაძლოა ადგილობრივი ღვთაება იყოს. აქვე ხარის გამოსახულებები, რომლებიც ქართული წარმოდგნით მთვარის ღვთაებას წარმოადგენს, ხოლო მთვარე, შეის მსგავსად, ქართველების მთავარი თაყვანისცემის ობიექტი იყო.

მონეტებზე არსებული ასო-ნიშნების გახსნა როგორია, მაგრამ ანალოგის საფუძველზე გამოთქმულია ვარაუდი, რომ ისინი ქალაქის თვითმმართველობის ჩინონიკების — მაგისტრატების სახელების აღმნიშვნელი ასოებია, რომლებიც პასუხს აგებდნენ სამონეტო ემისიაზე. როგორიც უნდა იყოს კოლხური თეთრის წარმომავლობის საკითხი, ერთი რამ უდაყოა: ეს მონეტები იჭრებოდა ადგილობრივი მოსახლეობის, ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილებათა დასაქმაყოფილებლად. აქედან ცხადია, რომ კოლხეთი ამ დროს სახელმწიფოუძრივი წარმონაქმნია და კოლხური თეთრის არსებობა ერთ-ერთი უტყუარი საბუთია, რომ ძვ.წ. VI-V საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე სახელმწიფო არსებობდა.

„ქართული ნუმიზატიკის კატალოგის“ (ნაწ. I. ავტორები: თედო დუნდუა, გიორგი ლუნდუა; შემდგენლები: ალექსანდრე ბოშიძე, აბოლონ თაბუაშვილი, ლერი თავაძე, ნათა ფიფა, აკაკი ჩიქობავა, ემილ ავდალიანი. თბილისი, 2013) და „ქართული ნუმიზატიკის“ (ნაწ. I. ავტორები: გიორგი ლუნდუა, თედო დუნდუა. თბილისი, 2006) მიხედვით მოამზადა ისტორიის დოქტორმა, პროფესორმა აღექსანდრე გოგიაშვილმა



მრუდე სარკეში

თბილისი XIX საუკუნის მიწურულს

ისტორიული სომხითი თბილისამდე არასდროს ვრცელდებოდა

ახლახან ხელში ჩამიგარდა სომქი ისტორიკოსის, სამგელ კარაპეტიანის 2003 წელს ერვანში გამოცემული წიგნი მერი თიფლისი (თბილისი). ყურადღება მიიქცა წიგნის სახლწოდებამ. საინტერჯესოა, ახლა ვინ წერს რუსული ენის გავლენით გადაკეთებულ თბილისის სახლწოდებას — ტიფლისს. ეს იგივეა, ერვანის ისტორია დაგრძელო და ერვანი ირივონ, ერივონად მოვიხსენიო, როგორც XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში წერდნენ ქართულ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენაზე გამოცემული უურნალ-გაზეთები.

ეს კიდვე არაფერი. პირველვე გვერდზე ავტორი აცხადებს, — XIX საუკუნის ბოლოს თბილის კავკასიის პარიზს ეძახდნენ. ეს, რა თქმა უნდა, საამაყოა, მაგრამ ავტორი იქვე დასძენს: „თიფლის იავლას „priyokosé“, „priptvorum“ არმენი“. ეს ამონარიდია, მაგრამ წყაროს არ უთითებს. აშკარაა, რომ უყოფ-მანიდ იზიარებს. ამიტომ, ვეკითხები, როდის წარმოადგენდა თბილისი სომხეთის კარიბჭეს?!

ალბათ, იგი გულისხმობს დიდი ხნის წინ ილიას „ქვათა დაღადში“ საფუძვლიანად

მოთხრილ და უარყოფილ ხუდაბაშოვის, ეზოვის, პატკანოვისა და სხვათა აფადყოფულ აკვიატებას, იდეფიქსს — თითქოს თბილისი იყო სომხთა სასაზღვრო ციხესიმაგრე, შემდგე ქართველთა დედაქალაქად იქცა. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი დიდი სახლმწიფო მოღვწის ნათელამი, — სომხებს აგადყოფური ისტორიზმი სპიროთი. მას თავის დროზე ვუწიდე „მურადიანიზმი მეცნიერებაში“. ამ საკითხით თუ ვინმე დაინტერესდება, ვურჩევ ივანე ჯავახიშვილის შრომები წაიკითხოს. განსაკუთრებით 1919 წელს გამოცემული „საქართველოს საზღვრები“, ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. ეს წიგნი კარაპეტიანების, მურადიანების, აფაზიანებისა და მათ მსგავსთა გონიერობისა და არის დაწერილი. თუმცა უნდა ვაღიარო, რომ დიდი მეცნიერი ამაოდ დაშვრა...

ამას მოხდეს XIX საუკუნის თბილისის არაეროვნული ბურჟუაზიის ქება-დიდება, რომელმაც თურმე „თბილისი წაართვა არა ქართველებს, არამედ სპარსელებს, თურქებსა



თბილისის თვითმმართველობის შენობა, რომელშიც ქალაქის სათათირო მუშაობდა (XIX ს. მიწურულს)

და გერმანელებს. ეს გააკეთეს არა უკნონდ, არა ყაჩაღურად, ბნელ დამით, არამედ „честным трудом“ და „честными ми деньгами“ — დღისით, მზისით ფხიზელი გონებით“. ხელავთ, რა სიკეთე გაუკეთებიათ მანთაშოვებსა და არამიანცებს უტევდური ქართველებისთვის. მათ ამაგსა და გარჯას არ აფასებენ. არა, ბატონო! მათგან გამოსაგლევი თბილისს არაფერი სჭირდა. ისინი არცით რიცხონებით გამოირჩეოდნენ და არც თბილისის საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ცხოვრებაში რაიმე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. თბილისზე პრეტენზია მათ აზრადაც არ მოსკლიათ.

სომხური ბურჟუაზია თუ როგორი „честным трудом“ და „честными ми деньгами“ შეეცილა მკვიდრ ქართველებს. ამას მოწმობს XIX საუკუნის პერიოდიკუში გამოქვეყნებული პუბლიკაციები. მოვიტანთ მრავალთაგან ერთ-ერთს. აკაკი წერეთელი წერდა: „... სალდათებს აუღიათ თავი და ყაჩაღურად შეიარაღებულნი დაიარებიან თფილისში, ქუჩა-ქუჩა, ვაი, იმ მუშა ქართლელის და იმერელის

ბრალი, რომელიც მათ შეხვდებათ იჭერენ, მიათრევნ სადღაც ღვიმეში, რომელსაც კანტორას ეძახიან და სანამ თვითონ მანეთს არ წაგლეჯენ, არ უშვებდენ. თუ ფული არ აქვს, თულები ჩოხას ხდიან და სამუშაო იარაღს ართმევენ. რაღა დარჩენია, საბრალო მუშას, უფულოს, უიარაღოს და უხოხოს მის მეტი, რომ ტირილით მიბრუნდეს შინისკენ... ერთი სიტყვით, იმერლებისა და ქართლელებისთვის თფილისში აღა-მაპმად ხანი მობრუნდა. აღა-მაპმადხანური ქცევა წვენ არ გვაკვირებს ქალაქის გამგეობის მხრით, რომელიც საკუთარი სომხურისგან არის შემდგარი. წვენ ამაებს წვეული ვართ მათგან; მაგრამ ის კი ვერ გაგვიგია, თუ რა მიზეზია, სომხის ახალგაზრდობა ამაზე ხმას არ იღებს და არ პკიცხავს თავის მამების და უფროს მომმევების ბოროტებას... დალოცვილი სომხები, როცა მათთვის მოსახდენია ყოველთვის ძმობა-ერთობაზე პყვირიან და როცა აღარ ეჭიფრებათ, მაშინ კი ბატონობაზედ ხელს არ იღებენ“ (გაზეთი „დროება“, 1875).

აკაკი სომები ახალგაზრდობაში გრიგორ არწივუნისა და მის მიძღვნებს გულისხმობდა, მაგრამ ისინი სომხურ ბურუუზიას უკმცნენ გუნდრუებს და ხალხის ინტერესები ნაკლებად აღელვებდათ. მით უმეტეს, ქართველი გლეხის ყოფა სულაც არ ენალვლებოდათ. თუ ქართველ გლეხს თბილისში შემოსვლა ეზღუდებოდა და გადასახადი უნდა გადაქადა, სამაგიეროდ, სომხეთის პროვინციებიდან უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა უპოვარი სომები გლეხი, ყოველგვარი ბეგარის გარეშე. მეტიც ისინი არათუ შემოჰყავდათ, ამგვიდრებდნენ თბილისში და თან გაპევიროდნენ, თბილისი სომხების დედაქალაქიაო.

სომხური ბურუუზია თბილისში სწორედ არა „честным трудом“ და არა „честными ми денъгами“ იყო გამდიდრებული, არამედ ქართველი გლეხის ძარცვა-ყვლეულით და ფიორი-ვით მოსდებოდა ქართულ ეროვნულ სხეულს.

სამველ კარაპეტიანი დახელოებულია დემოგრაფიული ცხრილების მოხმობაში. ეს ცუდი არ არის, მაგრამ მონაცემებს ობიექტური მეცნიერული ანალიზი სჭირდება. მაგალითად, თბილისში სომხების რაოდენობა 1864 წლის მოსახლეობის აღწერით 47 პროცენტის შეადგენდა. შემდევ მოჰყავს 1821 წლის მონაცემები, როდესაც თბილისში 87,6 პროცენტი იყო სომხი ეროვნების მცხოვრები. ეს მონაცემი კი მოაქვს, მაგრამ კომენტარს არ აკეთებს — თუ რატომ იყო სომები მოსახლეობა 87,6 პროცენტი თბილისში 1821 წელს.

ეს მომეტებული რაოდენობა სომხებისა, თბილისში 1821 წელს გამოწვეული იყო იმ დიდი ტრაგედიით, რომელიც აქაურ მოსახლეობას დატყვდა თავს სულ რაღაც ორიოდე ათეული წლის წინ, აღა-მაკმად ხანის მიერ თბილისის აოხრების გამო (1795 წელს). ვინც ქალაქიდან გასვლა ვერ მოასწრო (ასეთი კი ასეულ ათასობით ქართველი იყო), დახოცეს. ვინც ცოცხალი გადარჩა, სპარსეთის შორუეულ გზას გაუჟენეს სპარსმა ურდოებმა. თბილისელ სომხებს შედარებით ნაკლებად შევხმა მტრის მახვილი. უმთავრესად ქართველთა თავზე დატრაიალდა სისხლიანი კალო. ისიც უნდა ითქვას, რომ ვინც დროზე გაიქცა ქალაქიდან, უკან ვეღარ დაბრუნდა, რადგან მათი სახლ-კარი გადამწვარი იყო. უბრალოდ, თავშესაფარი აღარ ჰქონდათ. ამ დროისთვის ქართული ეკლესიის რიცხვიც შესაბამისად



ოლა
ჭავჭავაძე



აკაკი წერულები

შემცირდა, ხოლო სომხებისა გაიზარდა. თბილისში 1805 წელს 39 სომხური ეკლესია იყო, ქართული კი — 17. საქართველოს სომხურმა ეპარქიამ ამ ტრაგედიით ისარგებლა და 1795 წლის შემდგომ წლებში მიისაკუთრა თელეთის, შავნაბადას, წავკისის ქართული ეკლესიები. მაგრამ უბედურება ამით არ მთავრდებოდა: როცა სომხი სასულიერო პირი ეშმაკური ხერხებით ქართულ ეკლესიას სომხურად აქცევდა, მერე იწყებდა მისაკუთრებული ქართული ეკლესის ქართველი მრევლის ათასნაირი ხრიკით გასომხებას. ეს



თბილისის წარმომადგენლობითი ორგანოს ისტორიული სხდომათა დარბაზი, XIX ს.

იყო ემისაძინის საგარეუ საეკლესიო პლოიტიკა, რომლის განსახორციელებლად საქართველოში არ ზოგადა ოქროსა და ვერცხლს.

ქართული მიწისა და ქართველი გლეხის ძარცვა-ყვლევით გამდიდრებული სომხები, რომელიც შიშველ-ტიტველნი ჩამოვიდნენ ზანგეზურის, არარატის, სისაკანისა და სხვა სომხური პროვინციებიდან, კარაპეტიანის-ვე სიტვებით, მხოლოდ „честным трудом“ და „честными ми денегами“ გამდიდრდნენ და თურმე „სპარსელებს, თურქებსა და გერმანელებს გამოჰვევები სხლიდან თბილისი XIX საუკუნეში“.

ისტორიის ირონია — მათი ხელიდან „გამოგლეჯილ“ თბილის თავიანთ დედაქალაქად აცხადებდნენ. დედაქალაქზე გამახსენდა — სომხურ სკოლებში მოსწავლეებს ასწავლიან — სომხეთს 22 დედაქალაქი ჰქონდაო, — თბილისი, ბაქო, რისტოვი, არმაგირი და სხვ. აქ

კი აკაცი მოგაგონდება, — სადაც კი სომქს არშინი შეუტანია, ყველა „ჰაისტანი“ ჰგონია, — წერდა ირონიით.

მიუხედავად იმისა, ქართველი ხალხის ისტორიის, კულტურისა და დოვლათის დაპატრონებას ცდილობდნენ (ამის საბუთად მარტო „ქვათა დაღადა“ კმარა), სიძულვილს — სიძულვილით არ პასუხობდნენ მასპინძლები და პატივს მიაგებდნენ სომქი ხალხის გამოჩენილ შეილებს. მაგალითისთვის ერთ ამბავს გვაიხსენებთ. როცა 1907 წლის 29 ოქტომბერს სრულიად სომქთა კათალიკოსი ხრიმიანი (სომხები სიყვარულით ჰაირიკს — მამიკოს ეძახდნენ) აღესრულა, ამ დღეს დანიშნული ქალაქის დუმის სხდომა კათოლიკოსის პატივსაცემად გადადო თბილისის თავმა ვასილ ჩერქეზიშვილმა.

დამიტრი ყიფაიანი ქალაქის თავად არჩეული იყო 1875-1879 წლებში. საკრებულოს

ერთ-ერთმა ახალარჩეულმა წევრმა ფიცის დადება სომხერ ენაზე დაიწყო. დიმიტრი ყიფიანმა მისცა შენიშვნა, — კეცელასთვის გასაგებ — რუსულ ან ქართულ ენაზე ბრძანეთო. სამწუხაროდ, საკურტყლოს სომქი ეროვნების წევრებმა ამ სამართლიანი მოთხოვნის შესრულებაზე უარი განაცხადეს.

დიმიტრი ყიფიანი პროტესტის ნიშნად გადადგა!

კარაპეტიანი, დიმიტრი ყიფიანის შეკვლელობის ჟანდარმერიის გავრცელებულ ყალბ ვერსიას იმეორებს და წერს: — დიმიტრი ყიფიანი გაძარცვის მიზნით მოკლეს სტაგროპოლში. თუ მართლა აინტერესებდა დიმიტრი ყიფიანის მკვლელობის ნამდვილი მიზეზი, კეთილი ენება და ჩაქედა ენციკლოპედიაში მაიც და წავეკითხა ამ დიდი ქართველი მამულიშვილის მკვლელობის ნამდვილი მიზეზი. დიმიტრი ყიფიანმა უშიშრად დაიცვა ქართველი ხალხის ღირსება და ამიტომ მოუსწრაფეს სიცოცხლე ცარიზმის აგენტებმა.


ვფიქრობ, სულაც არ არის გასაკვირი, თბილისის არაეროფული ბურუჟაზიის, მისი მსახური სომქი საზოგადო სახელმწიფო მოღვაწეებისა და ოუნდაც სომქი მეცნიერების ანტიქაროული საქმიანობის გამო აღვესანდრე ხატისოვის ქალაქის თავად არჩევის (1910) წინააღმდეგ რომ წავიდა ქართველი საზოგადოება. ამის შესახებ თვითონ ხატისოვი წერს: „ბ-ნმა ხატისოვმა ოუნდაც მზის სინათლით გაანათოს დამე ქალაქი, მარმარილოთი მოაპირკოთ თბილისის ქუჩები, სულ ერთია, მისი ქალაქის თავად არჩევის წინააღმდეგი ვიქებით, რადგან იგი სომქია“. გამოხდა ხანი და აღმოჩნდა, რომ ქართველი გაზეთები არ შემცდარან, ხატისოვმა სომხეთის დაშნაკურ მთავრობაში პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავა. სწორედ ის იყო ორგანიზატორი და შემდგენელი დაშნაკათა მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი წამოყენებული ტერიტორიული პრეტენზიებისა. ხატისოვი და მისი მთავრობა მოითხოვდა თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველო ტერიტორიას სურამის მთაგრეხილამდე, დედაქალაქის ქუთაისში გადატანას და სხვ. ამ უსაფუძლო და უნამუსო მოთხოვნაზე, რათქმა უნდა, უარი მიიღეს დაშნაკებმა და მათმა ლიდერმა ხატისოვმა. მაგრამ გული არ გაიტეხს და ის, რაც მოლაპარაკების გზით ვერ მი-

იღეს, ომის გზით სცადეს მოეპოვებინათ. ომის გამოუცხადებლად, მუხანათურად დაესხა დაშნაკათა ჯარი საქართველოს. გენერალ გიორგი კვინიტაძისა და გიორგი მაზნიაშვილის წყალობით, მტერი მოიგერიეს და შეტყვაზე გადავიდნენ. ინგლისი რომ არ ჩარეულიყო, ქართული ჯარი ერევანს აიღებდა.

აი, ასეთი ვერაგი მტერი აღმოჩნდა ხატისოვი საქართველოს!

ზოგიერთ სომქი ისტორიკოსს დღეს ყოვნის თვეხედობა და ამ ომში დაშნაკებს — ხატისოვის მეთაურობით გამარჯვებულად აცხადებს! ოუმცა რა არის გასაკვირი. გასული სუკუნის 90-იან წლებში, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, აფხაზეთში მცხოვრებმა სომხებმა შექმნეს ე.წ. ბაგრამიანის სომხური ბატალიონი და სეპარატისტთა გვერდით ეპროდნენ ქართველებს. მათ შეიძლება ითქვას, საქართველოს ზურგში დანა ჩასცეს. ოუმცა ბაგრამიანის ბატალიონის ბოევიკები უფრო „მამაცურად“ შშვილობიან ქართველ მოსახლეობას, „ებროდნენ“, ვიდრე ქართულ ჯარს. ძარცვადნენ, სახლ-კარს უწვადნენ და სადისტურად აქამებდნენ ქართველებს. სომხები აფხაზებზე, ჩეჩენებსა და კაზაკებზე არანაკლებ უსწორდებოდნენ შშვილობიან ქართველებს.

ვფიქრობ, უპრიანი იქნება კარაპეტიანის შევახსენი ყოველი სომხისთვის არასასამოქნი ისტორიული რეალობა. XVI-XVIII საუკუნეებში და XIX საუკუნის 20-იანი წლებამდე ერევანი იყო მუსლიმთა ქალაქი, სადაც მოსახლეობის 99%-ს მაჰმადიანები შეადგენდნენ. არსებობდა ერევანის სახანო და მას მართავდა ხანი, რომელიც ერეკლე II-ის



სამეცნიერო კარაპეტიანის წევრის გარუება

შენაბადა



გასალი გახლდათ. ამ ისტორიული ფაქტის აღიარება კი არა, გაგონებაც არ უნდათ სომხებს... მახსენდება გასული საუკუნის 70-იანი წლები, სამეცნიერო მივლინებით ვიყავი ერევანში. სწორედ იმ დღეებში ტარდებოდა საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდა ამერიკის შევრთებული შტატებიდან ჩამოსული ამერიკელი სომქი ისტორიკოსი, პროფესორი რონალდ სუნი. ერთ-ერთ სხდომაზე პროფესორმა როლანდ სუნმა წაიკითხა მოხსენება — ერევანის ისტორიის შესახებ და განაცხადა: — XVII-XVIII საუკუნეებში და XIX საუკუნის 20-იან წლებამდე ერევანი მუსლიმთა ქალაქი იყო. ამის თქმა იყო და მთელი დარბაზი ერთბაშად წამოიშალა. ცოტაც და პროფესორ სუნის „ჩაქოლავდნენ“. სასწრაფოდ გამოძახებულმა მილიციამ ამერიკელი სომქი პროფესორი დაცვის თანხლებით გაიყვანა დარბაზიდან.

დაუუბრუნდეთ ისევ სამველ კარაპეტიანის ნაშრომს. შეიძლება ითქვას, სომქი ისტორიკოსს ისტორიულივე საბრძავე სჭირს. ვთქვი და კიდევ ვიმეორებ — ისტორიული სომხეთი თბილისამდე არასდროს ვრცელდებოდა. ეს დაშნავების მონაჭორია, რომელსაც არაერთგზის იმეორებს კარაპეტიანი და ცდილობს ამ სიყალბეში დაარწმუნოს მკითხველი. სამწუხაროდ, ზოგ შემთხვევაში აღწევს კიდეც ამას.

სამველ კარაპეტიანი წერს, — საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში თბილისის ქართველმა მერქება — XIX საუკუნის სომქი ეროვნების მერქების საფლავები მიზანმიმართულად გაანადგურესო. ამას წერს მეცნიე-

რი-ისტორიკოსი, ყოველ შემთხვევაში, ამის პრეტენზია აქვს. ამიტომ უნდა სცოდნოდა, რომ ბოლშევიკთა აგრესიულ ათეისტურ პროპაგანდას შევწირა თბილისში ქართველი და სომხური ეკლესიები და სასაფლაოები. სწორედ ამ კამპანიის დროს აიღეს არა მხოლოდ სომხთა, არამედ ქართველების საფლავებიც. ბოლშევიკებმა ცნობილი მრიწველისა და ქველმოქმედის დავით სარაჯიშვილის საფლავიც არ დაინდეს.

აღნიშვნული წიგნის ავტორი ცდილობს, ქართველ სინამდვილეში მოჩხრიკოს სომხური ნაკადი, მისი მნიშვნელობა გააზიარდოს და გააძლეოს. ქართველი მოქალაქეები, ვინც რუსულის გავლენით გვარი ოვად გადაიკვია, ვეველა სომქად გამოაცხადა. მაგალითითვის მოვიყვანით თუმანიშვილი — თუმანოვი, აბე-სოლომაშვილი — აბესალოვი, შაქარაშვილი — შაქაროვი, ამირანაშვილი — ამირანოვი, გარსიაშვილი — გარსოვანი, მესანთლიშვილი — მესანთლოვი, თათოშვილი — თათოვევი, სახუტაშვილი — სახუტოვა, ხარაზიშვილი — ხარაზოვი, შიომშვილი — შიოვევი, შერგილაშვილი — შერგილოვი და სხვ.

სამწუხაროდ, სამველ კარაპეტიანის წიგნი, მერე თემის (თბილისი) არის ტიანური მაგალითი ისტორიის მრუდე სარეკეში დანახვისა და ნამდვილად არ წაადგება საქართველო-სომხეთის შემდგომ ურთიერთობასა და თანამშრომლობას.


პოლემიკა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საქართველო უცხოელთა ფერებში

(ცაფილი 1)

საქართველო ოდითგანვე უცხოელი პილიგრიმების, ელჩებისა თუ მოგზაურების ინტერესის ობიექტი იყო. ჩევნი ქვეყნით საზღვარგარეთიდან ჩამოსული არაერთი ხელოვანი მოხატვულა, მათ შორის, რა თქმა უნდა, მხატვრებიც იყენენ. სამწუხაროდ, მათი ხელოვნების საქართველოსთან კავშირი ცალქე სამეცნიერო კვლევის საგანი არ გამხდარა. 2014 წელს საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო და სახელოვნებო უწყებებთან ერთად იწყებს მასშტაბურ პროექტს, რომლის მიზანიც მთელ შირვლიობის საქართველოს შესახებ არსებული სხვადასხვა სახის ინფორმაციის მოძიება და ერთიანი ბაზის შექმნაა. უურნალ „ისტორიანის“ მკითხველი პირველი გაეცნობა ამ უნიკალურ მასალას. ამ ეტაპზე თქვენს ფურალებას რუსულ მხატვრობაში ასახულ ქართულ თემატიკას დაუკუთმობთ.



ფრანგი მხატვრის კარლ ფრედერიკ დარიალის ხეობა მთვარის შუქშე, 1868 წ.

ივან აივაზოვსკი (1817-1900), თურქულ-სომხური წარმომავლობის დიდი რუს მხატვარია, საქართველოთი შემოქმედების ადრეულ ეტაპზევე დაინტერესდა. 1855 წელს მან შექმნა ნახატი „დარიალის ხეობა“ (დაცულია სომხეთის ეროვნულ გალერეაში). მოგვაინებით, ოჯახური დრამის შემდეგ, როცა ივან კონსტანტინოვიზი მეუღლეს, იულია გრევს ს გაეყარა, მხატვარმა „სევდის განსაქარვებლად“ კავკასიაში მოგზაურობა აირჩია. ბუმბერაზი მოები, ცად აზიდული მყინვარი და პირველყოფილი ბუნება მხატვარზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. აივაზოვსკის სამოგზაურო ალბომი ჩანახატებით გაივსო... ტფილისმა კი მხატვარი ისე აღაფროვნანა, რომ გამოზამთრება საქართველოში გადაწყვიტა. აივაზოვსკისთვის დამახასიათებელი სიზუსტით, სისწრაფითა და ვირტუოზულობით ცოცხლდებოდა ნანახი და გნეცილი. 1862 წელს მან მეორედ დახატა „დარიალის

ხეობა“, სადაც თერგის პირას, მთვარის შუქით განათებულ გზაზე, გრძელი ქარავანი მოჩნდს (დაცულია პავლოვსკის მუზეუმ-ნაკრძალში). დარიალი დიდხანს რჩებოდა აივაზოვსკის შეორენებებაში. 1868 წელს იგი ხეობას კი-დვე ორ ტილოს მიუძღვნის: „გზა მლეთიდან გუდაურამდე“ (დაცულია პ. გამზაოვის სახელობის დაღესტნის ხელოვნების მუზეუმში) და „დარიალის ხეობა მთვარის შუქშე“ (დაცულია სომხეთის ეროვნულ გალერეაში).

აივაზოვსკის ტფილისში სტუმრობამ დედაქალაქის საზოგადოება ააფირიაქა და გამოაცოცხლა. ამბობენ, იმდენი იყო მომსვლელ-წამსკლელი, რომ მეტლებმა გაჩერება იმ სახლთან გადაიტანეს, სადაც მხატვარი ცხოვრობდა. ივან კონსტანტინოვიზის სადარბაზოდან გამოსვლას ყოველთვის დიდი აურზაური მოჰყვებოდა თურმე, მხატვარს ყელა საკუთარ ეტლში ეპატიუებოდა... ის მეტლე კი, ვისაც აივაზოვსკი ჩაუჯდებოდა,



„დარიალის ხეობა“. ფან აივაზოვსკი, 1855 წ.

1862 წელს აივაზოვსკიმ მეორედ დახატა „დარიალის ხეობა“



მოული კვირა ყურადღების ცენტრში ყოფილა. მას ყველა აივაზოვსკისთან საუბრის შესახებ ეკითხებოდა.

დიდი მხატვარი რომ კავკასიაზე უძვირ- ფასეს ტილოებს ქმნიდა, მოუღმა ტფილისმა იცოდა. მის შემოქმედებაზე არა მარტო გა- ნათლებულთა და წარჩინებულთა სახლებში, არამედ თითქმის ყველა ქუჩაზე, შუკაში თუ ბაზარში ჭორაობდნენ. ყველა ამბობდა, რომ აივაზოვსკი ჯადოსნური სისწრაფით ხატავდა. მართლაც ასე იყო. ივან კონსტანტინოვიჩმა ტფილისური ზამთრის განმავლობაში 12 სა- უცხოო ნახატი შექმნა... აივაზოვსკის კავკა- სიურ ციკლში საქართველოს გამორჩეული ადგილი ეკავა, „ტფილისი სეიდ-აბაზიდან“ (დაცულია საქართველოს ხელოვნების მუ- ზეუშმი. 1868 წელი), „ტფილისის ხედი“ (და- ცულია სტავროპოლის სამხარეო ხელოვნების მუზეუმში. 1869 წელი), „მდინარე რიონი“ (დაცულია სომხეთის ეროვნულ გალერეა- ში. 1870 წელი), „მოღრუბლული დარიალის ხეობა“ (დაცულია მოსკოვის სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში. 1891 წელი), „ზვავის ჩამოწლოა ყაზბეგთან საქართველოს სამხედრო გზაზე“ (ნახატი დაკარგულია).

მალე თბილისში იმაზეც ალაპარაკდნენ, აივაზოვსკიმ კავკასიური ტილოების ხატვა დაამთავრა და შათი გამოფენისთვის ემზადე- ბაო... დამთვალიერებელი უამრავი მოვიდა. თბილისელები ნანასთი აღტაცებული იყვნენ, გამოფენიდან შემოსული სოლიდური თანხა კი ივან ავიაზოვსკიმ დედაქალაქის მიუსაფარ ბავშვთა სახლს გადასცა.

კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტი: სოფ- ლიოში განთქმულმა მარინისტმა გემების ხატება 1877 წელს დაიწყო, როცა რუსეთ-ოურ- ქეთის ომი გაჩაღდა. აივაზოვსკის მიერ შექ- მნილი ზღვასთან დაკავშირებული ერთ-ერთი პირელი ბატალიური სცენა საქართველოში განვითარებულ საბრძოლო მოქმედებას ასა- ხავს. ტილო სახელწოდებით „კატარდებისა და გემების ორთაბრძოლა“. დიდი მთავრის, კონსტანტინეს ჭურვებით შეტევა თურქულ ჯავშნოსას ასარი-შევქეთზე 1877 წლის 12 აგ- ვისტომის სოხუმის რეიიდზე“ ამჟამად სანქტ-პე- ტერბურგის ცენტრალურ სამხედრო საზღვაო მუზეუმში ინახება და ისტორიული სიზუსტით გადმოსცემს სოხუმის სანაპიროზე რუსული და თურქული ფლოტის სისხლიან შეტაკებას).

„ტფილისი სეიდ-აბაზილან“ 1868 წ.



* * *

„ის სახლში არ დამხვედრია, გადავწყვიტე, თუნდაც შუალამებდე დავლოდებოდი. ჩემს გრაგნილებით ერთად კიბეზე ჯდომაშ ორ საათს მომიწია, შემდეგ კი ნაბიჯების ხმა გაფიგონე, გულისცემა ამიჩქარდა, თან გაფა-

ციცეპული მზერით კიბეზე ამომავალ ადამიანს გაკვირდებოდი... ის ტანდაბალი იყო, საკმაოდ უბრალო, არაფრით გამორჩეული.

„არა, ეს რეპინი არ არის!“ — ჩემთვის გადავწყვიტე. ჩემი წარმოდგენით რეპინი ხომ გიგანტია. როცა უცნობი მომიახლოვდა, მე

„გზა მღეთილან
გუდაურამდე“.
ფან
ავაზოვსკი,
1868 წ.





„ტბილისის ხედი“.
ივან აივაზოვსკი, 1868 წ.

მას მორიდებულად შევეკითხე, ხომ არ იცოდა, როდის დაბრუნდებოდა პროფესორი რეპინი.

— და ის რაში გჭირდება?

— მე მას ჩემი ნახატები უნდა გაჩვენო, მე კავკასიოდან, საქართველოდან ვარ.

— ჰო! ძალიან საინტერესოა, აბა შემა- ხედეთ!

ის დაიხარა და ჩემი გრაგნილები გაშალა, შემდეგ ნახატებიანი ალბომი გადაფურცლა და მითხრა:

— ძალიან, ძალიან საინტერესოა! აბა, წამომყევით ოთახში!

მე მას არცოუ ისე დიდ, მაგრამ სულში ჩამწვდომ თვალებში ჩავხედე და უცებ დი-




„შეტევა
თურქელ
ჯაჭროსან
ასარა-
შევეტეზე“.
ივან
აივაზოვსკი,
1877 წ.

დებული რეპინი დავინახე! ის თითქოს ყველაფერს ხედავდა, იცოდა, რატომ ჩამოვედი პეტერბურგში, რა მსურდა და რაზე ვოცნებოდი... მე სწრაფად გადავლახე შებოჭილობა და განუზომელი თავისუფლება ვიგრძენი, მალევე მისთვის ახლობელ და მშობლიურ ადამიანად ჩავთვალე თავი“. ასე იგონებს ქართული რეალისტური მხატვრობის საუკეთესო წარმომადგენელი მოსე თოიძე დიდ რეუს მხატვარ ილია რეპინთან (1844-1930) შეხვედრას პეტერბურგში, სამხატვრო აკადემიის საიუბილეო გამოფენაზე. ილია რეპინმა სურათი „თბილისის ქუჩა“ წარმოადგინა. 1881 წელს შესრულებულ ეს ტილო, რომელიც ამჟამად ფსკოვის მუზეუმში ინახება, ერთერთი პირველი ფერწერული ნამუშევარია, რომელზედაც საქართველოს დედაქალაქია გამოხატული. ხელოვნებათმცოდნე გიორგი გვახარიას თქმით, რეპინის „ფოტოგრაფიული რეალიზმი“ სრულ უფლებას გვაძლევს აღვიძეთ ეს ტილო, როგორც ისტორიული დოკუმენტი.

1896 წელს ილია რეპინმა პეტერბურგში გამოაქვენა წერილი, სათაურით „საჭიროა თუ არა ხელოვნების სკოლა თბილისში“, რომელშიც დაწერა:

„თბილისში აუცილებელია დაარსდეს სამსახურო ოაზისი. სათავეს მას დაუდებს ისეთი რაციონალური სკოლა-სტუდია, როგორი სკოლა-სტუდიებიც არსებოდა იტალიაში მხატვრობის აყვავების დროს“.



„თბილისის ქუჩა“. ილია რეპინი, 1881 წ.

ილია რეპინი მოსე თოიძის გარდა გიგო გაბაშვილსა და ალექსანდრე მრევლიშვილთანაც მეგობრობდა. ქართველი მეგობრების ნიჭით აღფრთოანებულმა მხატვარმა კი საქართველოს შესახებ შემძლევი სიტყვები დაწერა: „არ შეიძლება დაუშვათ, რომ თავისი ხასიათი ეს გასაცარი ქვეყნა არ ბადებდეს მხატვრულ ძალებს. მე წამს, რომ კავკასიის მხატვრული ხანა წინ არის. ეს შესანიშნავი, მშვინიერი ქვეყანა მოგვცემს ღირსეულ მხატვრებს, რომლებიც მნაშვნელოვან ადგილს დაიმკვიდრებენ მსოფლიო ხელოვნებაში“.

გიორგი პალანდია

საქართველოს თუატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, პროფესიონალი



„მოსე თოიძე ილია რეპინის სახლობსნოში“. ვალეტინი შერაძლოვი (ნახტი დაცულია დაღიანების სასახლეში)

ივანე ჯავახიშვილი

ცალილი I

წინაპრები და ნათესავები დედის მხრიდან

წინამდებარე სტატიით „ისტორიანი“ იწყებს პუბლიკაციების ციკლს დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღაწის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამარსებლის, ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილის (1876-1940) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ამჯერად მოგითხობთ გამოჩენილი მეცნიერის დედაშე — სოფიო გახვახიშვილზე (1855-1928), მის წინაპრებსა და ნათესავებზე, რაც შედარებით ნაკლებად არის ცნობილი.

მომავალი ისტორიკოსის დედა, სოფიო გახვახიშვილი დაიბადა 1855 წელს, კახოთებული სატახტო ქალაქ თელავში მცხოვრები თავადის, მოსამართლე ათანასე ლიპარიტის ძე ვახვახიშვილის ოჯახში.

სოფიო ვახვახიშვილი — სათხო, თავმდაბალი, ტანაადი, მშვენიერი და დარბაასელი ქართველი მანდილოსანი იყო. დაამთავრა თელავის წმინდა ნინოს სასწავლებელი. შესანიშნავად იცოდა ქართული სიტყვა კაზმული მწერლობა და ზეპირსიტყვიერება. გამოირჩეოდა მჭვრმეტყველებით.

დიდი მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მეცნიერება სერგო ჯორბენბის შეფასებით: „მშობლების ყველა კარგი თვისება გაერთიანდა უფროს გაფიშვილში, ივანე ჯავახიშვილში — დედის სილამაზე, სათხოება და გულთბილობა, ასევე, მამის სისამართვები, გულგაუტებელობა, ვაჟკაცობა და გამტანობა, მძლავრი ინტელექტი და მჩხრეკელ-მაძიებელი გონება“.

სოფიო ვახვახიშვილს განგებამ არგუნა უდიდესი სიხარულიცა და გაუნელებელი ტკიფილიც. ნააღმდეგ გამოეცალა ხელიდან ორი ახალგაზრდა ვაჟი — მიხეილ (1879-



ივანე ჯავახიშვილი

1899) და დავით (1884-1911) ჯავახიშვილები, ხოლო მოგვიანებით — ძმისა და უახლოესი ნათესავების ვერაგულად დახოცვის სიმწარეც იგემა...

ნათელა ივანეს ასული ჯავახიშვილი (1908-1983) იხსენებდა: „1928 წელს, გვან შემოღომაზე გარდაიცვალა მამას დედა. ამით ჩვენს ოჯახს დედაბოძი გამოეცალა. ჭკვიანი, გრინიერი, დიდი ნებისყოფის ადამიანი, თავისი შვილების მესაჭე და ამავე დროს — მეგობარი... ერთი თვის განმავლობაში თითქმის უგრძნობელ მდგომარეობაში იძყოფებოდა და საშინელი ტკიფილები სტანჯავდა, მაგრამ საკმარისი იყო, მამა კარში გამოჩენილიყო, თუმცა თვალდაზუტული იყო, მყისევე დიმილი გადაურბნდა და სახეზე ტანჯვის ნატამალი არ ჩანდა... დიდი ტანჯვის შემდეგ ბებო გარდაიცვალა. ესეც კიდევ დიდი გულისტკიფილი მამაწემისათვის“.

ვახვახიშვილებს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკატერინებულ ქართველ უერთდალურ საგვარეულოთა შორის. ეს გვარი სათავეს მესხეთიდან იღებს. მას შემდეგ, რაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველო სამალეთის იმპერიამ მიიტაცა, იქაური ქართველი

მოსახლეობის დიდი ნაწილი საქართველოს სხვა მხარეებში გადასახლდა.

გახვაზიშვილები გადავიდნენ აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ამ გვარის წარმომადგენლებმა თავი გმოიჩინეს სახელმწიფო და სამხედრო სარბიელზე. სამეფო კარზე ეპყრათ მდგრადულების, ეშიკალასაშის, ბაზირიულებისა და სხვ გავლენიანი სახელოები.

გახუშტი ბაგრატიონმა (1696-1756) თავის ნაშრომში ვახვაზიშვილთა გვარი კახეთის თავადთა შორის მეშვიდე ადგილზე მოიხსენია.

იოანე ბაგრატიონი (1768-1830) თავის გენეალოგიურ ნაშრომში მოვკითხრობს, რომ XIII საუკუნის მიწურულს ვახვაზიშვილები იყვნენ „სამცხის თავადი ვახვახად წოდებულნი“, რომელებიც დამკაიდრდნენ თელავში და „იწოდებან ვახვაზის შვილად თავადად, აგრეთვე ბაზიერთ-ხუცის შვილებადცა, ხოლო სახლის კაცი ამათნი იწოდებან ყორჩიბაშის შვილებად და კაზის შვილებად: 1) ზაალის შვილები, 2) ყორჩიბაშის შვილები, 3) კაზის შვილები. ყორჩიბაშის შვილობა გაუთვისდათ

თულავი. კათმეფეთა რეზიდენციის გაღვანი

სახელის გამო, რომელ ყორჩიბაში საარსულად ნიშნავს აბჯართუხუცესობას, ხოლო კაზის შვილობა მამეულ სახელისა გამო გაუთვისდათ“.

თავად ვახვაზიშვილთა საგვარუულოს წარმომადგენლები შშირად იხსენიებიან შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო საბუთებში.

XV საუკუნის მიწურულს ზუბელა ვახვაზიშვილი (დოკუმენტში იხსენიება როგორც — ვახვაზიშვილი) იყო მოწმე კათოლიკოს აბალაკის მიერ მცხითის კუთვნილი კახური მამულების საზღვრების დადგენის თაობაზე შედგნილი საბუთისა.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, როცა სპარსეთის შაპირშაჳ აბას I-ის ინიციატივით, აღმოსავლეთ კახეთის (ჰერეთი, შემდგომში — საინგილო) ტერიტორიაზე ელისუს სასულთნო ჩამოყალიბდა, მას სათვეში გამაპმადიანებული თავადი ვახვაზიშვილი ჩაუყენეს.

1644 წელს მეფე თემურაზ I-მა ვახუშტი ვახვაზიშვილ უბობა 18 საკომლო კახეთის სოფლებში — ენისელსა და ტილურში.





მომავალი
გენერალ-
მაიორი
თორნიკე
გარსეგვანის ძე
გახვახიშვილი



გახვახიანთ ციხე თუღარეში (ფრაგმენტი)

1663 წელს ქართლის მეფე ვახტანგ V-ის მიერ გაცემულ სიგელში თავადებად იხსენიებიან ბაზიერთუხუცესი დათუნა (საჩინო) ვახვახიშვილი და მისი შთამომავლები: დავითი, საჩინო, ზაალი, პაპუა, ლიპარიტი, რევაზი და ბერი.

1690 წელს ზურაბ-ბეგ ვახვახიშვილმა განუახლა თარხნობა სიონის ღვთისმშობლის ეკლესიის ყმებს.

1743 წელს, თავადმა ვახვახიშვილებმა თულავის ცენტრში ააგეს ციხესიმაგრე, რომელიც განსაზღვრავდა ამ ქალაქის საშშენბლო ანსამბლს სამ სხვა დიდ ნაგებობასთან ერთად.

ვახვახიშვილები კახეთის თავალთა შორის იხსენიებიან გეორგიევსკის ტრაქტატს (1783 წ.) დათულ ქართველ თავადაზნაურთა ნუსხაში.

ამ საგვარეულოს ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ (ჩამოთვლილია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით): ბაზიერთუხუცესი დათუნა / საჩინო (საისტორიო წყაროში იხსენიება 1663 წელს); ბაზიერთუხუცესი დავითი (იხსენიება 1729 წელს); ბერი ეფრემი (იხსენიება 1729 წელს); ეშიკალაბაში და ბაზიერთუხუცესი ზაალი (იხსენიება 1729-1785 წლებში), მდიგანბეგი ვახუშტი (იხსენიება 1729-1806 წლებში), თულავის მაზრის თავადაზნაურობის წინამდლოლი, სახელმწიფო მრჩეველი რევაზ ზაალის ძე (1826-1893); რუსეთის საიმპერიო არმიის გენერალ-მაიორი თორნიკე (აგათონ) გარსეგვანის ძე (1837-1909), რომელიც სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ, გარდაცვალებამდე ცხოვრობდა ვარშავაში და იქვეა დაკრძალული; რუსეთის არმიის ოფიცირები — კაპიტანი ივანე რევაზის ძე (1800-?); მაიორი სულხან რევაზის ძე (1802-1821); შტაბს-გაპიტანი ზაქარია რევაზის ძე (1804-1842); პოდპოლკოვნიკი დიმიტრი (ტიტიძო) ზაალის ძე (1835-1906); პოდპოლკოვნიკი ესტატე სულხანის ძე (1835-?); პოლკოვნიკი ნიკოლოზ (კიკო) ათანასეს ძე (1853-1924); როტმისტრი დავით აგათონის ძე (1873-?); პორუჩიკი გიორგი დიმიტრის ძე (1870-1924), პრაპორშჩიკები დიმიტრი მამუკას ძე (1800-1848), ზაალ რევაზის ძე (1796-1845), დავით ზაალის ძე (1816-?), კომპოზიტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე თამარ ნიკოლოზის ასული (1893-1977) და სხვ.

ივანე ჯავახიშვილის დედის — სოფიო გახვახიშვილის გენეალოგიური ხაზი, დაწყებული მისი უშუალო წინაპრის, ზემოხსენებული თავადის საჩინო ვახვახიშვილისგან, ასე წარმოგვიდგება: 1) საჩინო — 2) დაოუნა — 3) პაპუა — 4) ლიპარიტი — 5) გიორგი — 6) გრიგოლი (1761-?) — 7) ლიპარიტი (1794-1848) — 8) ათანასე (1824-?) — 9) სოფიო (1855-1928).

ახლა რაც შექმნა ივანე ჯავახიშვილის დიდ ბებიასა და ბებიას (დედის — სოფიო გახვახიშვილის მხრიდან).

ივანე ჯავახიშვილის დიდი ბებია (დედის ბება) იყო სოფიო გრიგოლის ასული ჯორჯაძე, რომელიც 1814 წელს ცოლად მოიყვანა ლიპარიტ გრიგოლის ძე ვახვახიშვილმა (1794-1848). ჯორჯაძები კახეთის თავადები იყვნენ.

ივანე ჯავახიშვილის ბებია (დედის დედა) იყო მაგდანა (პელაგია) იოსების ასული ნათალიშვილი (1827-1860), რომელიც 1849 წელს ცოლად მოიყვანა ათანასე ლიპარიტის ძე ვახვახიშვილმა (1824-?). ნათალიშვილები კახეთის აზნაურები გახლდნენ.

სოფიო ვახვახიშვილი 5 წლის ასაკში დაობლდა. მამამ მეორედ იქორწინა და ცოლად მოიყვანა სოფიო ჩერქეზიშვილი, გარეკახეთის სოფელ თოხლიაურში მცხოვრები თავადის, ედიშერ ჩერქეზიშვილის ასული.

სოფიო ჩერქეზიშვილ-ვახვახიშვილისას თავისი მეუღლის სახელის გამო ათანასეანთ სოფიოს ეძანდნენ. მან სანაქებო დედობა გაუწია სოფიოს.

ათანასეანთ სოფიო ქველმოქმედებით გამოირჩეოდა. მისი სახლი (სადაც დაიბადა ივანე ჯავახიშვილის დედა), მდებარეობდა თელავის ცენტრში, ძველი თეატრისა და ახალი ბაზის შუაში. ეს სახლი გადაქცეულიყო ლიტერატურულ სალონად, აქ სხვადასხვა დროს მოდიოდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, გაუა-ფშაველა და სხვები.

1913 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თელავის ფილიალის ინიციატივით მოეწყო ილია ჭავჭავაძის ცხოვრება-მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ლიტერატურული დილა. მასზე მიწვევულთა შორის იყო სოფიო ვახვახიშვილისა, რომელმაც ამ საზოგადოების



ივანე ჯავახიშვილის მშობლები — ალექსანდრე ჩერქეზიშვილი და სოფიო ვახვახიშვილი უფროს შეილთან, ეკატერინესთან ერთად



ივანე ჯავახიშვილის ბებია — სოფიო ედიშერის ასული ჩერქეზიშვილ-ვახვახიშვილისა („ათანასეანთ სოფიო“)

ქ. რმად ჰაჭიძეგვიშვილი

ქინია სოდიო!


ქ. ქ. ქ. გამაძრუ. საჩ. თელაძის განყოფილების
გამდინარების სიხარულით მოგამორთავთ ღლებ მოლენ სოფიანი,
რომლითაც უჩა შეგხვის თავიზე მხერი მულობრივ გულიდგან,
კუთილი აღმიარებიდგან წარმოშმდგარს საშილოში მიღოვა
სამშენებლის და ჟურნალური განვითარებას.

უძრავებ ხინდიგან ჩერებს მატარა ჭრების უბრობა
კუაგრაში სერგა და მხოლოდ შეიძლოა გამჭრიასთანით,
მაშავრული თავის დაწყიოთ და თავიზე მის არსებობა. ამ როავს
და გმირულს ჯხოვდრებას ჩერები ირისას რომ დაბაყირირთ,
დაგრიახავთ, რომ მოლენ მის მიმდინარებაში ღრეა აუგას და
დაწილო უზიდენია ერის არსებობის და ჩერები
სამშობლო ჩერები გამხმარი ჭალებისაგან აყავაბას.
შერებს მოლოდინი დიდი ხნის მონაბით, მართალია უკან
დარჩენილი ერი დართ, მაგრამ გრძელებით რომ გამოხსინი-
ლების ხანა გრძელობრივია, თვით არსებობის ერისა გავიდა-
მჭკოვებება, სამშობლო ჩერები სილარულით გათხება.

აი თერებ, ქ. ქ. ლოთიონ, ღაგიაშვილავთ, რომ ჩერები
ჩერები მსხვერი მატარებელი გრძელებიარე, უკან მოყარა
ჭალები ისერ მოგრძლივინებიან და შეიყიდ სიკრონ სამოწის სია-
ღება.

აი თერებ, ქ. სოციი, გასმახეთი შეიყიდას ისერ უკანავი
სისტემა უკანავი პოტენციალის რასახად გასტარი შერია, რაუ
ინა ღაგიაშვილის „გრძელებით განვითავს მოგამორთო
კუდი ბერები სიცოცხლე, რათა ჩერები მის აღმიარები
მძღოლები ისერ მოგრძლივინებიან და შეიყიდ სიკრონ სამოწის სია-
ღება.

ქ. ქ. გამაძრუ. სტეფ. ტელაძ. განუ.
გამეგრების თავმარმანის ამანავე ას. კარტველი

ქ. ქ. რმად: 
 ა. მარტივი.
 მ. გულაძე.
 თ. ა. გულაძე.
 ქ. სამარავალო.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამურცვლებელი
საზოგადოების თუდავის ფილატლის გამეგრების მიერ
თვანე ჯაფარშევილის ბებიის – სიცოცხლეშემცირების
ასელი ჩერებიში მისამართისა-განახანიშელისადმი მიღვნილი
ადრესი (1913 წელი)

თელავის ფილიალს შესწირა 1.500 რუბლი
(ოქროთი). აქედან 500 რუბლი უნდა გადას-
ცემოდა ფილიალის სკოლას, ხოლო დანარ-
ჩენი თანხის სარგებლით უნდა აღზრდილიყო
ერთი ქალიშვილი თელავის წმინდა ნინოს
საწარებლებელში.

ხსენებული საზოგადოების თელავის
გამგეობის მიერ ქალბატონი სოფიოსთვის
მირთმეულ ადრესში ვეოთხულობთ: „ღრმად
პატივცემულ კნეინა სოფიო!.. გამგეო-
ბა სიხარულით მოგმართავთ დღეს, მოკლე
სიტევით, რომელიც უნდა შეხოს თქენი
მხერგალე გულითგან, კეთილ ადამიანობით-
გან წარმომდგარ საშვილაშვილო საქმეს და
ქველმოქმედებას... თქვენ, გასძახეთ ქვეყანას
ისევ უკვდავი პოეტის უკვდავი სიტყვები:
„რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგუ-
ლია“. ვევედრებით განვებას, მოგანიჭოთ
კიდევ ბევრი სიცოცხლე, რათა ჩერები დროი
ადამიანი ძეგლათ აღიმართო კაცთა წინაშე
დიდი მოქმედებისა და საქმის მაჩვენებლად“.

სოფიო ვახახისიშვილისა მოსიყარულე
ბებია იყო, ივანეს მოფერებით ვანოს ექანდა
და წერილებსაც კი უგზავნიდა. ბებია სოფიოს
წერილები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია
დაცული ივანე ჯავახიშვილის ფონდში. ისინი
პირველად გამოაქვეყნა პროფესორმა გიორგი
ჯავახიშვილმა. ამჯერად წერილებს შემოკლე-
ბით გთავაზობთ.

1900 წლის 5 მარტს ბებია სოფიო სანქტ-
პეტერბურგში სწერდა საამაყო შვილიშვილს:
„ჩემი სიხარული, შვილო ვანო! თუ ღმერთი
მაღისების შენს ხახვას, ტებილად დაგიკოც-
ნი ლამაზ თვალებს. ღმერთისა ვთხოვ შენს
ბენიერს ცხოვრებას. გენაცვალე, შვილო,
როგორა ხარ ამ არევ-დარევის დროს. ამას
წინათ წერილი მოგწერე და ჩემი კარტიჩაც
გამოგიგზავნე. მგონი მიიღებდი.

ვანო, რა არის შვილო, ერთხელ დედა-
შენის სამშობლოც მოიგონო. იმედი მაქვს
ამ გაზაფხულს მაინც მოხვალ ჩემთან და
გამახარებ. ვიცი, მოძიეთხავ, კარგათა ვარ,
შენი მამაც კარგად არის. ხშირად არის ჩემ-
თან, იმის შკოლაც კარგად მიმდინარეობს,
ძალიან კარგათ მიიღეს. არ ვიცი, ჩემი კიკო
(იგულისხმება ივანე ჯავახიშვილის ბიძა,
ნიკოლოზ ვახვახიშვილი. — ნ. ჯ.) მანდ
არის, თუ წამოვიდა, ვეღარ გავიგე რა, ან
მისი საქმე როგორ დასრულდა. ესეც იმისი

ბედი, რომ ხელმწიფეს შენთვის აღარ სცალიან. ამ ბუნტაობას სხვაგან ვჩიოდით და ოულაველებმაც მიბაძეს, ორჯერ აირიგნენ, მაგრამ ჩქარა დამშვიდობენ. ბოლო არ ვიცი რას მოგვიტანს.

შვილო, ნეტავი წამოხვიდე, გამაერიდო, მეც გამახარო...

განო, ორმოც ჩურჩხელას გიგზავნი, ოცი — შენ, თუ კიკო მანდ არის, ათი — კიკოს და ათი — დათას (იგულისხმება ფანე ჯავახიშვილის ძმა. — ნ. ჯ.)... შვილო, წიგნი მამწერე, შენის კარგი ამბით გაგახარე...

ჩემო შვილო, იყავ ბედნიერათ, რუსის ქალი კი არ მომგვარო, ქართველი ბევრია... ბევრს გაკოცება... შენი ნახვის მოხატრე ბებია სოფიო ვახვახოვისა“.

ამ წერილიდან აშკარად იგრძნობა მოსიევარულებების სიდარბასისლე, პატრიოტიზმი და ფაქტიზმი დამოკიდებულება შვილიშვილისადმი.

ბებიას წერილი შვილიშვილისგანაც მიუღა. ეს ჩანს სოფიო ვახვახიშვილისას 1901 წლის 5 მარტს გაგზავნილი საპასუხო წერილიდან: „ჩემო სიცოცხლე, შვილო ვანო! ჩემს საყვარელსა და სახსოვარ ლამაზ თვალებს ტებილად დაგიკოცნი. ღმერთსა ვთხოვ შენს სიხარულით ნახვას. შენი წიგნი მივიღე, დიდად გამახარა... ასე მგრინია, დედაშვილობამ, თვალით გნახე. აღარ მინდოდა წერილისთვის თვალი მომეშორებინა...“

ვანო, ბოლიშს მწერ უწიგნობაზე, მე დარწმუნებული ვარ თუ დრო გექნებოდა არ დამივწყებდი. შენი სწავლა-განათლება ყველაზე მეტად სასიამოგნოა ჩემთვის. მოხარული ვარ, თავიც მომწონს, რომ ასეთი შვილიშვილი მყავს მოსვლას მწერ, ჩემს სიხარულს საზღვარი აღარ აქვს. მალე გაიაროს ამ თვეებმა. იმედი მაქვს, შენს პატიოსან სიტყვას აღასრულებ. შენი ჭირიძე, შვილო, კიდევ გამახარე შენის კარგი ამბით. შენი მამა აქ არის, ამისმა ნახვამ დიდათ გამახარა... ჩემმა დამ ნინომ სიყვარულით ბევრი გაკოცა. მეც კიდევ გაკოცებ. შენი ბებია — სოფიო ვახვახიშვილი“.

1906 წელს იფანე ჯავახიშვილმა ჯვარი დაიწერა ანასტასია ნიკოლოზის ასულ ორბელიანზე (1884-1968), რომელიც იყო შეიძლავაშვილი ბატონიშვილ თუქლა ერეკლეს ასულ ბაგრატიონისა (1776-1846) და შვილიშვილი გენერალ-ლეიტენანტ ვახტანგ ვახტანგის ძე რობელიანისა (1812-1890).



ფანე ჯავახიშვილის ბიბა — ნიკოლოზ ვახვახიშვილი (მარცხნივ) და სახელგანთქმული თელაველი თამადა კოტე ბახუტაშვილი (მარჯვნივ)

ბებია სოფიომ შვილიშვილს არჩევანი მოუწონა და ასე მიულოცა: „გულით გილოცავ, შვილო, შენს დანიშვნას, კარგი ცოლის მოყვანას. ღმერთმა ისე გაბედნიეროს, როგორც შენი სურვილი იყოს.“

ვანო, შენთვის უნდა გამომეჯზავნა ჩურჩხელა, მაგრამ ვერ მოგახერხე, შენს მაგოვრად შენს დანიშნულს გაუუგზავნე“.

ზემოთ მოყვანილი წერილებიდან ჩანს, რომ დიდი მეცნიერისთვის სასურველი ნობათი ყოფილა ჩურჩხელები, რასაც ბებია ხშირად უგზავნიდა.

იფანე ჯავახიშვილის ბიბა (დედის ძმა), ზემოხსენებული პოლკონიერი ნიკოლოზ (კოკო) ათანასეს ძე ვახვახიშვილი (1853-1924) — ცნობილი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე იყო. მსახურობდა დაღუსტნის მხარის მმართველად, ხოლო შემდგე, გორის მაზრის უფროსად. მოკლეს 1924 წლის აგვისტოში საქართველოში მომხდარი ანტიბოლშევიკუ-



მარცხნიდან: მარიამ ერისთავი, თამარ ნიკოლოზის (კიკას) ასული გაბეგაშვილი,
დაუით ერისთავი, დაუით წერეთლი

რო სახალხო აჯანყების ჩახშობისას, სოფელ
კისისხევში (თელავის რაიონი).

საინტერესოა, რა გახდა მიზეზი ამ მო-
ხეცის ვერაგულად მოკვლისა, რომელიც
აჯანყებაში უშუალოდ არ მონაწილეობდა?

სოფიო ჩიჯავაძე-კედია (1885-1993) იგო-
ნებდა: „კიკო ვახვახიშვილი, დაღესტნის
მმართველი, დიდი მდგომარეობის მქონე,
სხვათა შორის, ივანე ჯავახიშვილის ბიძა —
მოდიოდა ზაფხულობით კისისხევში თავის
ცოლის მმასთან სოსო ქობულაშვილთან, ყო-
ველთვის შეიარაღებული მცველებით. უიმა-
თოდ იგი მე არ მინახას...“

ერთ საღამოს, დაახლოებით ათ საათზე,
ვიღაცამ დაუძახა: „ცოტა ხნით გამობრძან-
დით, საქმე გავქვეს თქენთანაც“. ისიც გავიდა
და ადარც დაბრუნებულა... მეორე დღეს, ეზოს
ბოლოს, კაკლის ხის ქვეშ, ყელგამოჭრილი
იპოვეს! წინა დღით თურმე უთქვამს ხმა-
მაღლა: — „აი, რამდენიმე დღეში, რუსებს
თავიანთი კომუნიზმით აქედან გურუკავთო“.
საცოდავს ალბათ იმედი ჰქონდა აჯანყები-
სა. თავისი სიტყვების მსხვერპლი გახდა,
რადგან ეს მოსამსახურების გასაგონად იყო
ნათქვამი. ერთმა მათგანმა გაიტანა, ან იქნებ
თვითონაც იყო ამ საშინელების აუტორი“.

აქვე უნდა ითქვას, რომ 1924 წლის აჯანყე-
ბის ჩახშობის შემდეგ დაწყებულ რეპრესიებს
იყანე ჯავახიშვილის არაერთი ნათესავ-ახ-
ლობელი შექრიბა, რამაც მეცნიერს უდიდესი
სულიერი ტრავმა მიაფენა.

ნათელა ჯავახიშვილი იგონებდა: „ჩემი

უფროსი დეიდაშვილი გია აბაშიძე, რომელიც
უკვე რამდენიმე თვეის წინ იყო დაპატიმრებუ-
ლი, როგორც ფედერალისტი ახალგაზრდო-
ბის პარტიის ლიდერი და მეტების ციხეში
იჯდა თავის რამდენიმე ამხანაგთან ერთად,
დახვრიტეს — 25 წლის შესანიშნავი, ნიჭიერი
და დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდა. ამავე
დროს სოფელ კისისხევში მოკლეს მამაჩემის
ბიძა — კიკო ვახვახიშვილი (კომპოზიტორ
თამარ ვახვახიშვილის მამა). დახვრიტეს მაკ-
რინე თარხნიშვილ-წერეთლის ორი შვილი,
რომლებიც მამის, როსტომ წერეთლის სანა-
ხავად იყვნენ წასული ჭიათურაში... ადვილად
წარმოსადგენია, როგორი მძმე განცდები
უნდა ჰქონოდა მამაჩემს ამ საშინელ სიტუა-
ციაში საერთოდ და განსაკუთრებით სახლში
შექმნილი გარემოებისაგან“.

აქვე უნდა გავხეხნოთ, რომ ხსენებული
აჯანყების პერიოდში დაპატიმრეს თვით
ივანე ჯავახიშვილიც, რომელმაც წეკაში ორი
დღე გატარა...

მიუხედავად ზემოთქმულისა, ასეთ განსაც-
დელში ჩაგარდნილმა დიდმა მეცნიერმა მაინც
მოახერხა სულიერი და ფიზიკური ძალების
მოკრება და კარგა ხნის წინ წამოწევბული
უდიდესი სამეცნიერო-საორგანიზაციო საქ-
მიანობის გაგრძელება, რაც აუცილებელი
იყო მის მიერ ახალდაუუძნებული ქართული
უნივერსიტეტის გადასარჩენად.

თეო პავალიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
თუ პროფესორი

306 აღმოაჩინა ავსტრალია?!

კენზურუს პორტუგალიურმა მინიატურამ
შესაძლოა ისტორია შეცვალოს

შეცვლის თუ არა პორტუგალიურ
ხელნაწერზე აღმოჩენილი კვნგურუს
მომცრო და მქრქალი ნახატი ვეროპელ-
თა მიერ მქეუთე კონტინენტის აღმოჩენის
ისტორიას? ხელნაწერი, რომელიც 1580-
1620 წლებში უნდა იყოს შესრულებული,
ნიუ-იორკის გალერეა Les Enluminures-
მა ახლახან შეიძინა. საეკლესიო სა-
გალობლების კრებულის მფლობელ
კოლექციონერს გალერეამ \$15 ათასი
გადაუხადა.


ისტორიული წყაროების თანახმად, ავსტ-
რალიის კონტინენტი პოლანდიელმა უილემ
იანზუნმა აღმოაჩინა 1606 წელს. ის თუდაპირ-
ველად იორკის ნახევარუნგულის სანაპიროს
მიაღდა. XVII საუკუნის განმავლობაში პო-
ლანდიელებმა მოიარეს მთელი დასავლეთისა
და ჩრდილოეთის საზღვაო საზღვრები და
ავსტრალიას ახალი პოლანდია უწოდეს. პორ-
ტუგალიური მანუსკრიტი კვნგურუს გამოსა-
ხულებით კი, რომელიც მხოლოდ ავსტრალიის
კონტინენტზე ბინადრობს, გაცილებით ადრინ-
დელია და ამ თეორიას თავდაყირა აეკნებს.

თუკი დადასტურდება, რომ ხელნაწერი
ნამდვილად 1580 წელს განეკუთვნება, ავსტ-
რალიის აღმომჩენის სტატუსი პოლანდიელ-
თა ნაცვლად შესაძლოა პორტუგალიელებს
მიაიძიო.

გალერეა Les Enluminures-ის თანამშ-
რომელი ლაურა ლაიტი: „ამ ხელნაწერის
ავტორი ან თავად ქვეით ავსტრალიას, ან ამ
კონტინენტზე მობინადრე ცხოველთა გამოსა-
ხულებები მისოთვის ცნობილი იყო“.

ამ ვერსიის საფუძვლიანობის ან უსაფუძვ-
ლობის გასარკვევად, ხელნაწერის ზუსტ ასაკ-
თან ერთად მეცნიერებს მისი წარმომავლობის
დაგენერაც მოუწევთ. მცირე ზომის ხელნაწე-
რი, ტექსტთან ერთად, საღვთო ლიტურგიის
მუსიკასაც შეიცავს. მას ხელს კატერინა დე
კარვალო აწერს. ის მონაზონი უნდა ყოფი-
ლიყო კალდას-და რაინიადან (პორტუგალია).

ხელნაწერს, კვნგურუს გარდა, მამაკაცის
ორი ფიგურა ამკობს ფოთლების გვირგვინით



კვნგურუ პორტუგალიურ ხელნაწერში

და მეცნიერთა ვარაუდით, შესაძლოა ისინი
ავსტრალიელი აბორიგენები ყოფილიყვნენ.

ავსტრალიის პუმანიტარული აკადემიის
წევრ ჯონ გასკონის აზრით, როგორც დასასაბუ-
თებელი იქნება, რომ პორტუგალიელები ავსტ-
რალიაში ჩასული პირველი ვეროპელები იყენები.
ერთ-ერთ მიზეზად გასკონი მათ ჩაეტილობას
ასახელებს, აგრეთვე, 1755 წელს ლისაბონში
მომხდარ მიწისძვრას, რომელმაც ხელნაწერუ-
ბისა და ჩანაწერების დიდი ნაწილი გაანადგურა.

პორტუგალიური თეორიის მიღმა არსე-
ბობს იმის მტკიცებულება, რომ ავსტრალიის
კონტინენტს კარგად იცნობდნენ მაკასარები,
ინდონეზიელი ზღვის კიტრზე მონადირეები.
აგრეთვე, არცთუ დიდი ხნის წინ დადგინდა,
რომ ვეროპელ მძივებს ავსტრალიელი აბო-
რიგენები გაცილებით ადრე იყენებდნენ, ვიღუ
ვეროპელები მათთან კონტაქტს დაიწყებდნენ....

**მომზადებულია The Age-ის და
BBC-ის მიხედვით**



საჭარაულო ავსტრალიელი აბორიგენი ხელნაწერიდან



ქართველ სამხედროთა ჯგუფი

„ცუდად ჩასმარი და ნახევრად მშირი“ 1921 წლის ომის ნინ ქართვის ღია ჩასაცი ახმიერს კიბონის ტერიტორიაზე მატარებელ

რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი, საქართველოს დაპყრობა და გასაბჭოება ჩვენი უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანესი და ტრაგიკული ფურცელია. ომების მოგება-წაგებას საფუძველი შშვიდობიანობისას წარმართული სამშადისით ეყრდნა. საინტერესოა გავეცნოთ, როგორი იყო მატერიალური პირობები დაპირისპირებულ მხარეთა არმიებში.

ქართული არმია, მატერიალური თვალ-საზრისით, უმძიმეს მდგომარეობაში იყო. ფინანსური კრიზისის გამო 1919 წელს საორ-განიზაციო-საშტატო სტრუქტურა, მომდვენო წელს კი რეგულარული არმია შემცირდა. არმიისა და გვარდიის ფინანსებს განკარგავდა სამხედრო საბჭოს დაქვემდებარებული სამხეო განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობდა სოციალ-დემოკრატი კალისტრატე გოგუა. განყოფილებაში შედიოდა სექტორები: საბიუჯეტო, სასურსათო, საბარეო-სანივთო, სატექნიკო, საარტილერიო, სანიტარიული და საბეჭითლო, აგრეთვე კანცელარია. სექტორებს ევალებოდა ჯარისთვის სურსათ-სანოგაის მიწოდება, დაბინაფება, ყაზარმების შეკეთება,

სამხედრო აღკაზმულობის, საარტილერიო მასალების მიწოდება, სამხედრო ქარხნებისა და საწყობების გამართვა. მაგრამ ომის წინ ქართულ არმიას აკლდა ყველაფერი, რითაც იყი სამხეო განყოფილებას უნდა მოემარა-გებინა.

ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ნაკლებობა იყო 1920 წლის ნოემბერში სათადარიგო და წვევამდელი ჯარისკაცების ერთდროულად გაუწვევლობის ერთ-ერთი მიზეზი. სამხედრო კომისიაში, ნოემბერში დაგეგმილი მობილი-ზაციის წინ, სახალხო გვარდიის მეთაური ვალიკო ჯუღალი სვამდა კითხვას: „მაშინ, როდესაც ჩენ ორი ბატალიონისთვის ტანი-სამოსი არა გვაქვს, როგორ გინდათ მობი-

ლიზაცია ოუ მოხდა შემოსოთ ხუთმეტი-ოცი ათასი ჯარისკაცი?“ კალისტრატე გოგუას განმარტებით, საწყობებში პური არ ჰქონდათ, ფქსაცმელიც არ იყო საკმარისი. თავის მხრივ, მომარაგების სამინისტროს წარმომადგენელი ამატებდა, რომ არც მათ საწყობებში პქონდათ პური და არც სამომავლო პერსპექტივა იყო სანუგეშო. სურსათ-სანოვაგისა და ტანსაცმლის ნაკლებობაზე სწერდა მესამე ბრიგადის სარდალი გარდენ წულუკიძე გენერაბის უფროს ალექსანდრე ზაქარიაძეს 1921 წლის იანვარში, რომ ყოველდღიურად უხდებოდათ ხორცისა და პურის ძებნა ჯარის ნაწილებისთვის. მაგალითად, მე-12 ათასეულს სამი დღის განმავლობაში არ მიეღო პური.

ნაწილებს თავის დროზე არ აწვდიდნენ შეშას, სურსათსა და ტანისამოსს, ამის შედეგად კი ჯარისკაცები ნაწილებიდან გარბოდნენ. ქართული არმიის ყოველდღიურ ღარიბულ მენიუს თავის მოგონებებში იხსენებდა ქართველი მსახიობი აკაკი ვასაძეც, რომელიც იმ დროისათვის სამხედრო-სავალდებულო სამსახურს გადიოდა მესამე ბრიგადის მეცხრე ბატალიონში: „დილის ექვსზე — ვარჯიში, ჩაი სახარინითა და გაფიცებული მჭადით, რომელსაც გაუცრელი ფქვილისგან ფურნები აცხობენ. შემდეგ მეცადინეობა იარაღზე, მწყობრი. პირველ საათზე — სადილი: ლობით და გაუცრელი ფქვილისგან გამომცხარი მჭადი, საღამოს — ისევ ჩაი სახარინით“. მოუწყობელი იყო ყაზარმები, რაც ჯარისკაცთა ავადმყოფობის მიზეზი ხდებოდა. პეტრე გელეიშვილი 1920 წლის 26 ოქტომბერს მთავრობის თავმჯდომარეს მოახსენებდა, რომ ბათუმში განთავსებული ჯარები დიდ განსაცდელში იყო, ჯარისკაცები ცხოვრობდნენ ყაზარმებში, რომელთაც არც კარუბი ჰქონდათ და არც ფინჯრები, არ ჰქონდათ საკმარისი საწოლები და ნარები, ჯარისკაცები პირდაპირ იატაკზე დაყრილ თივაზე იწვენენ. ასეთ პირობებს საშინელი ციებ-ცხელებაც ერთვიდა. იშვიათად ოუ შევდებოდით ჯარისკაცს, რომელსაც ადამიანის ფერი ედო. კიდევ უფრო ცუდ დღეში იყვნენ ოლქის ტერიტორიის სასაზღვრო პოსტებზე გაბნეული ჯარისკაცები. პოსტების უმეტესობაზე სამხედროებს არ ჰქონდათ თავშესაფარი და ღია ცის ქვეშ ათვედნენ ღამეს, სიცივის გამო კი ჩშირად ადგილობრივთა ღობებს ამ-

ტვრედნენ და ცეცხლს ანთებდნენ. ამ მიზნით, მიტოვებული სახლების დაწვის შემთხვევებიც კი ყოფილა. არა მხოლოდ სასაზღვრო პოსტებზე, არამედ დედაქალაქშიც კი ძნელი იყო ყაზარმების გაობობა. მაგალითად, არსენალის საგუშავოს ყაზარმაში ერთი რკინის ღუმელი იდგა, რაც შენობას ვერ ათბობდა, ამასთანავე, დღეში მხოლოდ სამ ნაჟერ შეშას აძლევდნენ ჯარისკაცებს. დიდ პრობლემას ქმნიდა ტრანსპორტის უქონლობა და გზების ცუდი მდგომარეობა, რაც აგვიანებდა ნაწილებისადმი გაგზავნილი პროდუქტებისა და სხვა საჭირო მასალების დროულ მიტანას. ეს კი ჯარში არსებული დეზერტირობის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი იყო. საერთოდ, დეზერტირობა ფართოდ იყო გაფრცელებული არმიაში. 1920 წლის ნოემბრიდან 1921 წლის იანვრამდე ჯარიდან 2707 ჯარისკაცი გაიქცა.

მძიმე იყო ოფიცერთა მატერიალური მდგომარეობა. ამის ტიპური მაგალითია კაპიტან ძმისსტრაშვილის წერილი სამხედრო სამინისტროსადმი. ოფიცერი წერდა, რომ ერთი წელია, არმიაში მსახურობს. არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი, ნათესავის დატოვებულ ბინას შევთარა რამდენიმე თვე: „დღეს კი ჩამოვიდა სოფლიდან და თან ჩამოიყვანა მისი 12 წლის გაუ და მე სრულიად უთავშესაფროდ დარჩენილი ვარ“. ამასთან, ოფიცერს სარჩენი ჰყავდა მოხუცებული დედა და ავადმყოფი და, რომელიც სამკურნალოდ თბილისში უნდა ჩამოეყვანა, საცხოვრებელი ბინას შოვნას 100.000 მანეთი სჭირდებოდა, კაპიტანის ხელფასი კი მხოლოდ 6.000 მანეთს შეადგენდა.



არმიის ყოველდღიურ ღარიბულ მენიუს მოგვიანებით მსახიობი აკაკი ვასაძეც იხსენებდა, რომელიც 1921 წელს სამხედრო-სავალდებულო სამსახურს გადიოდა



ქართველი ოფიცერების მდგომარეობა სახარბიელო
არ იყო, თუმცა ამას კერ იტყოდით ფოტოატელიეში
გადაღებული სურათებით (სიძონ სუხუნაშვილი —
სიმეონ-საქართველოს ომის გმირი)



გენერალი გაზნიაშვილი წერდა: „ჩეგნს საწყობებში
დარჩენილი ტანსაცმლით მე შეძელი შემოსვა თავიდან
ფეხამდე 17 000 კაცისაგან შემდგარი ქართული
წითელი არმიისა“, თუმცა სრულიად საპირისპირო
სურათს ხატავს სარწივო დოკუმენტები

რჩება შთაგეჭდილება, თითქოს ქვეყნის ხელისუფლება არმიისათვის არაფერს აკეთებდა, ამის დასადგნად საჭიროა, გავიგოთ თუ როგორ ფინანსდებოდა შეიარაღებული ძალები ბიუჯეტიდან: 1919-20 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გასაგალი შეადგნდა 1.960.490.798 ბონი, ამ თანხიდან სამხედრო უწყებას ეკუთვნოდა 538.791.632 ბონი. აქედან რეგულარულ არმიას — 379.176.786 და გვარდიას — 159.614.846 ბონი. 1920 წლის მეორე ნახევრიდან, სახელმწიფო ყოველთვიურად ურიცხავდა ფულს სახელმწიფო დაწესებულებებს, ამ წლის ნოემბერ-დეკემბერში სახელმწიფო დაწესებულებებს გადაეცათ 1.029.389.804 ბონი, ამ თანხიდან სამხედრო უწყებას გადაეცა 305.937.602. აქედან 239.073.066 ბონი — რეგულარულ არმიას, ხოლო 69.864.536 ბონი — გვარდიას. როგორც ვხედავთ, სამხედრო უწყებას 1919-20 წლის ბიუჯეტიდან გადაეცა 538.791.632 ბონი, რაც შეადგნდა მთლიანი ბიუჯეტის 27,5%-ს, ამავე უწყებას ნოემბერ-დეკემბერში გადაეცა გაცემული კრედიტების საერთო მოცულობის 29,7%. ამ მონაცემების მიხედვით, სამხედრო უწყებას მთლიანი ბიუჯეტის თითქმის მესამედი ხმარდებოდა, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია. იმავდროულად, ნათლად ასახავს მთლიანად ქვეყნის მძიმე მატერიალურ მდგომარეობას, რადგანაც ქვეყანა

წითელი არმიის
ჯარისკაცები თბილისში





თავისი ბიუჯეტის თითქმის მესამედითაც კი შეიარაღებულ ძალებს ნორმალურად ვერ უზრუნველყოფდა.

მოახლოებულ ომს ქართული არმა, შეიძლება ითქვას, ცუდად ჩაცმული და ნახევრად მშეირი ხვდებოდა. სამნეო განყოფილების უფროსი კალისტრატე გოგუა ომამდე თვენა ხევრით ადრე მეგობარს წერდა: „თუ რა გაჭირვებას განიცდის ჩვენი ჯარი ქე ვიცი, ჩემი გრიშა, მარა რა ვქნა... რო ვერ მოვახერხეთ უკეთესად საქმის მოწყობა... ვძუშაობთ აუარებელს, მარა როგორც ხედავ ბევრი არაფერი გამოდის... ერთს ვიტყვი — არსებულ საერთო პირობებში ყოვლად შეუძლებელია საქმის უკეთესად მოწყობა — რომ ამაში არ ვიყო დარწმუნებული — ან და რო ვინმე გა-

მოჩნდებოდეს, რომელიც საქმეს უკეთესად გაუძღვება, მომას გეფიცები ერთ წუთს არ გავჩერდები. დიდი უსიამოვნება ყოველ მხრივ, თან სულიერი ტანჯვა — რო ჯარი ისე ვერაა მოწყობილ-მოვლილი, როგორც წესი და რიგია — ეს საშინელი მდგომარეობაა ჩემო გრიშა“. ამ ვკელაურის საწინააღმდეგოდ, ქართულ მემუარულ ლიტერატურაში გაურცელებულია მოსაზრება, რომ სახელმწიფო საწყობებში საქმაო რაოდენობის ტანსაცმული იყო შენახული. გენერალი მაზნაშვილი: „უკვე 1921 წლის მაისში, ჩვენს საწყობებში დარჩენილ ტანსაცმელით მე შევძლი შემოსვა თავიდან ფეხებამდე 17 000 კაცისაგან შემდგარი ქართული წითელი არმიისა“, იქვე — „კალისტრატე გოგუა გულუბრყვილოდ





ნიკოლოზ ჭუმბურიძე (ფოტო თუ ქართული გმიგრაციის მუზეუმიდან. გურამ შარაძის კრძალული ცილინდრიდან)

ამბობდა, რომ ცდილობდა შენახა ეს ქონება, რათა დიდხანს ჰყოფნოდა იგი“.

სრულიად საპირისპირო სურათს ხატავს საარქეო ღორუელები. ჩევნ ხელთ გვაქვს „ჩეკას“ ყოველკვირული საიდუმლო მოხსენებები და ყოველთვიური საიდუმლო ბიულეტენები 1921 წლის მარტიდან ამავე წლის აგვისტოს ბოლომდე. საქართველოს ჩეკა ამ დოკუმენტებს სხვადასხვა სახელმწიფო და სამხედრო უწყებას უგზავნიდა. მოხსენებებში სხვა ინფორმაციებთან ერთად აღწერილია ქვეყანაში არსებული სამხედრო მდგრამარეობა, ასევე რუსეთისა და აზლად შექმნილ საქართველოს წითელ არმიაში არსებული პირობები. ირკვევა, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში (1921 წლის მარტიდან — ავგვისტოს ბოლომდე) ორივე არმია ტანსაცმლისა და სურსათის დიდ ნაკლებობას განიცდიდა. 1921 წლის ივლისში მცირერიცხოვანი ქართული დივიზიის რეფორმირებისა და პირადი შემადგენლობის რაოდენობის კიდევ უფრო მეტად შემცირების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ტანსაცმლის ნაკლებობა გახდა.

საქართველოს საზღვრებთან გაშლილი რუსული არმიის მატერიალური მდგრამარეობა კიდევ უფრო მდიდრების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ტანსაცმლის ნაკლებობა გახდა.

„აზერბაიჯანში მყოფი ჯარი (იგულისხმება მე-11 წითელი არმია) ძალიან ცედ შთაბეჭდილებას სტროგებს, ჩაუცმელია, მოუკლელი, დამშეული...“ ამ ჯარისკაცებს საქართველოს სახით სამოთხეს უხატავდნენ და მოუწოდებდნენ ბრძოლისკენ, — „ჩვენ ძალით გვაბრძოლებდნენ და შეიცრ-მწყურვალთ იმედებით გვკვებავდნენ, რომ საქართველოში ვიპოვით სამოთხესო“. რუსული ნაწილების მძიმე მატერიალურ მდგრამარეობას ომის მიმდინარეობისას კავკასიის ფრონტის სარდალი გიტისი შეახსენებდა მთავარსარდალ კამენევს: „აუცილებელია მოგვცეთ ყველაფერი, რაც შესაძლებელია, ფორმა და ფეხსაცმელი. წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარები მოებში, როგორც მე-11 არმია, ასევე თურგ-დაღესტნის ჯგუფი იქნებიან ფეხშიშველა“. მთავარსარდალი პასუხობდა, ამ ყველაფერს გამოუგზავნით, მაგრამ ფრონტის უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მატარებლის მოძრაობის გათვალისწინებით, ტრანსპორტირებას ერთო თვე დასჭირდებოდა.

თუმცა რუსულ არმიაში იყვნენ კარგად ჩატარების ნაწილებიც. მაგალითად, აღმოსავლეთის კურსანტთა ბრიგადისა და ბაქოს სამეთაურო სასწოვლებლის კურსანტები. თუმცა ეს წითელ არმიაში არსებულ საერთო სურათს ვერ ცვლიდა. ქართველი სოციალ-დემოკრატი ნიკოლოზ ჭუმბურიძე ისხენებდა ქართული მოსახლეობის შთაბეჭდილებას რუსული არმიის შესახებ ომის დასრულებისას: „არ ცემათ კარგათ და არც შეიარაღებული იყვნენ კარგათ, უმტესობა ახალგაზრდებისაგან შესდგებოდა, ოფიციელიც ახალგაზრდები იყვნენ. ეს ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩვენზე და ხალხში ხშირად გაიგონებდით შემდეგს — ნუთუ ამათ დაგვამარცხესო“.

ზემოთქმულის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1921 წლის თებერვალში ერთმანეთის პირისპირ ორი ცუდად ჩატარები და ნახევრად შეიცრი არმია დადგა. თუმცა მძიმე მატერიალური პირობები რუსული ნაწილებისთვის დამატებით სტიმულს წარმოადგენდა, რადგანაც დასაპრობ ადგილს სამოთხედ უხატავდნენ, ხოლო ქართველი ჯარისკაცები მათ წინაშე არსებულ რეალობას უნდა შექმნავდნენ და როგორ პირობებში გაწიათ ყოველდღიური სამხედრო სამსახური.

დიამონდი სილაპავ

თუ ისტორიის დოქტორანტი



რეკორდთაში
მასში

ბურსა თრადიციონური ქალაქია

ცმიდლა გიორგის ნაკალევზე

ცრთი თვე მარტის გიორგის სახატის
თურქეთის კარტველებთან

ქართველ მეცნიერთა ექსპედიცია დასასრულს უახლოვდება. ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტ აქაურ ქართველს შვენცვლეთ, მეტი რამ შევიტყოთ მათი კოფისა და კულტურის, საქმიანობისა და ინტერესების შესახებ. მარმარილოს ზღვის სანაპიროზე გატარებულმა დღვებმა კიდვე უფრო დაგვანახა, რამდენი რამ გგქონა საერთო და „გასახსენებელი“ აქეთურ და იქითურ ქართველებს.

ბურსა — თურქეთის დეტროიტი

კვლავ ბურსას იღმი ვართ. ბურსა შეიძლება ითქვას, ქართველ მუპაჯირთა მერწინა, ანუ თავიქალაქი. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ბურსაში დღეს ორი მილიონი კაცი ცხოვრებს. იგი ნაყოფიერი ველებისა და თოვლიანი მთების შესაყარზე მდებარეობს. ამ მთათა მწვერვალს (რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 2543 მეტრია) აღრე აქ არსებულ ბერთა სავანების გამო თურქები კაშიშდანს, ანუ ბერების მთას უწოდებდნენ. ამჟამად მას უბრალოდ ულუ-დაღი — დიდი მთა ჰქვია. ზღვის, ვაკებისა და მთათა მონაცემლეობას ეს არემარე საუკეთესო საცხოვრისად უქცევა. ამ მთებსა და მთაგრეხილებზე დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სამორ-სათხილმრრო კურორტია.

ბურსა ბიოგინის მეფეს, პრუსიუს II-ს დაუარსებდა ძვწ. II საუკუნეში. სახელიც მე-

ფისვე რქმევა — პრუსა. პრუსიუსთან უცდია თავის შეფარება რომაელთაგან დევნილ დიდ კართაგენელს, პანიბალს, მაგრამ ვერ მოუსწრია და თავი განუგმირავს — დამარცხებულის სახელით რომში ტრიუმფალური თაღის ქვეშ გავლას სიკვდილი უმჯობინებია.

მას აქეთ ბურსას გამოუვლია რომაელების, ბიზანტიულების (ათასწლოვანი) ეპოქა, ბოლოს კი ძლევამოსილ ოსმალთა იმპერიის პირველი დედაქალაქიც კი ყოფილა კონსტანტინოპოლის დარსებამდე.

მარადმწვანე სუბტროპიკულ მცენარეთა სიმრავლის გამო ქალაქს იეშდი ბურსასაც, ანუ მწვანე ბურსას ექახიან. მსხვილი სააგრტომობილო კონცერნებით მდიდარ ბურსას თურქეთის დეტროიტსაც უწოდებენ. აქაური „რწოვები“ ხომ ბევრით არ ჩამორჩებიან მათ ფრანგულ ორიგინალებს.



სოფელი ელმელში



ძველი ჯამე ელმელში



კამე თბილისში, ღრა ცის ქვეშ მუზეუმში მაჭახლის
სულბიანა ჩამოიწანეს

ბურსაში შუა საუკუნეებიდან ბოლო
ღრმდე მეაბრეშუმეობის კრაც ყოფილა.
აქედან ნედლეულს XIX საუკუნეში თვით
მსოფლიოში ცნობილ მეაბრეშუმეობის ცენ-
ტრში, ლიონშიც აგზავნიდნენ. ქართველ
მუპაჯირთათვის აბრეშუმის მოვლა უცხო
არ ყოფილა და აქაც ადგილად აუღეს ალ-
ლო. თავდაპირველად შემოსავალიც კარგი
ჰქონიათ. მოგვიანებით კი, როგორც ჩანს,
აბრეშუმმა ფასი დაკარგა და მთელმა ოუგი-
ონმა ზეთისხილის მოყვანას მიყო ხელი. —
ადრე თუთები იყო. იბრეშუმს ვირჯებოდით.
მერე უქუმეთმა (მთავრობამ) დააიფა და ეს
საქმე დაუაგდეთ. ახლა კი გვხვეწებიან, მარა
ზეთისუნს ვარჩევთო, — გვითხრა სოფელ ჰა-
მიდაში ჰიქმეთ შიმშექმა.

მაჰეალიანი მესხები გურისაზი

ძნელად წარმოვიდგენდით, თუ მაჰმადიან მესხებს ბურსას იღშიც შევხვდებოდით, მაგრამ ალბათ გახსოვთ წინა რეპორტაჟიდან, რომ ქალაქ გემლიკის მერი რეფიქ იღმაზი წარმომავლობით მაჰმადიანი მესხია.

მაჰმადიან მესხთა თემა კიდევ ერთი მტკიც-
ნეული ოქმაა საქართველოსთვის. ძალიან
ძნელია უცხოეთში ხვდებოდე ადამიანს, წარ-
მომვლობით ქართველს, მესხს, რომელსაც
დაუკარგავს ეროვნული თვითმყოფადობა და
თავის თავს აღიქამს მესხად, ახალციხელად,
ანუ ახის კელად — ქართველობისგან, საქარ-
თველოსგან დამოუკიდებლად.



მტკვრის სათუე ქოლა-არტაანში

ჩვენმა ერთ-ერთმა ქართული წარმომავლობის მასპინძელმა ამ პროცესზე გულდაწყვეტით გვითხრა, — სამწუხაროდ, ეს იმას ჰგავს, აქლემების ქარჯანი სახედრების ჯოგმარომ გაიყოლოსო...

თვალის ერთი გადავლებით გავიხსნოთ მაკმადიან მესხთა ტრაგიკული ისტორია. ჯერ იყო და ორი საუკუნე ოსმალთა უღელქვეშ ცხოვრობდნენ სამცხეში, ჯავახეთში, კოლასა და არტაანში. მერე რუსეთ-ოურქეთის 1828-1929 წლების ომის შემდგომ დადებული ადრიანოპოლის ზავით სამცხე და ჯავახეთი რუსეთის მიეკუთხნა (და შესაბამისად, საქართველოს დაუბრუნდა), ხოლო კოლა და არტაანი ოტომანთა იმპერიაში დარჩა. რუსეთს ტერიტორია და მიწა-წყალი სჭირდებოდა და არა ქართველი მესხები. ბევრ მათგანს დაატვირთებინეს თავისი სამკვიდრო და ოსმალეთში უკრუს თავი. მათ ნაცვლად კი სამცხე-ჯავახეთსა და წალკაში არზრუშელი სომხები და გიუმიშხანელი ბერძნები ჩამოასახლეს, რომელიც რუსეთს თავის ერთგულ ქვემვრდომებად მიაჩნდა ქართველთაგან განსხვავებით. გადასახლებას გადარჩენილ მესხებში კი ყოველნაირად ცდილობდნენ არაქართული ცნობიერების დანერგვის. რუსეთის ცარიზმის ეს პოლიტიკა „წარმატებით“ განავრმეს ბოლშევკებმა XX საუკუნის 20-30-იან წლებში.

მართალია, იყო მცდელობა და სურვილი ქართული სკოლების გახსნისა, მაგრამ ოფიციალურმა ხელისუფლებამ მესხები

აზერბაიჯანელებად გამოაცხადა და აზერბაიჯანული სკოლებიც გაუქმნა. ამას კი მოჰყვა „ცნობილი“ 1944 წელი, როდესაც ერთ დამტში დააცლევინეს მათ შშობლიური სოფლები შინაგან საქმეთა კომისარიატის ჯალათებმა და საბარევო ვაგონებით გაუყენეს შუა აზიის ტრამალების გზას. ბოლშევიკებს არც თურქეთის ოფიციოზი ჩამორჩა. კოლა-არტაანის ნაყოფიერი მიწებიდან (რომელიც ერთ დროს საქართველოს ბეღელსაც კი წარმოადგენდა) მესხები უმცირეს ჯგუფებად ქვეყნის შიდა ოლქებში „გადაანაწილეს“, ხოლო მათი სამგიდრო ქურთულმა მოსახლეობამ დაიკავა. როგორც ჩანს, თურქეთს ამით შორს გამიზნული გეგმა ამოძრავებდა. ქვეყანაში მიმოფანტული მესხები ნაკლებად იბრძოლებდნენ თავიანთი ტერიტორიის დასაბრუნებლად.

ელმალი — ეთნოგრაფიული „სამოთხე“

ვტოვებთ ბურსას ილს და ქოჯაელის ვილაიეთის სკენ მივემართებით. გზად ელმელში ჩვერდებით — ჩვენებურად ვაშლოვანში. ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, ძალიან დატვირთული სოფელი აღმოჩნდა. ჩვენ თვალშინ გადაიშალა ზემო აჭარის თვის დამასასიათებელი ტრადიციული ხის სახლები, ნალიები, ბელლები, თვის ზენიები. გამრჯვე კაცის ხელი ეტყობოდა ვაშლის ბაღებსა თუ სიმინდ-ლობითს ყანებს. ამ დღეს მოელი სოფელი ჯამესთან შეკრებილიყო ერთ-ერთი



ქართული ჩუქურთმის დეტალი ძველ ჯაჭვი



მუსა აიდინი ღია კურაზე „საქმიანობა“



მუსა აიდინის საზაფხულო სახლი

რელიგიური რიტუალის აღსასრულებლად. მასპინძლებისთვის ხელი რომ არ შევეშალა, მახლობლად საჩაიეში დაგსხედით და აქურ ჩაისაც გავუსინჯეთ გემო. ამასობაში რიტუალიც დასრულდა და გურჯისტანიდან ჩასულ სტუმრებს სოფლის თუკაცებიც შემოგვიერთდნენ. ერთ-ერთი მათგანი აღმოჩნდა მუსა აიდინი. თავის დროზე ცნობილი მოჭიდავე ყოფილა, არაერთხელ შეხვედრია ქართველ ფალავნებსაც და ეს შეხვედრები შემდგა მეგობრობაში გადაზრდილა. — ქართველებს კაი ფალავნები გყავთ, მაგრამ ჩვენც ვიცით სარმის გამოკვრაო... თუმცა მოგება-წაგების „სტატისტიკას“ თავი აარიდა. ახლა მუსა აიდინი ბურსაში ცნობილი მწვრთნელია, ქართულ საზოგადოებასაც (დერნებსაც) ხელმძღვანელობს და ხმირად ჩამოჰყავს თავისი აღსაზრდელები თბილისას ფალავნითა კლუბში. ქართველი მოჭიდავებიც მიემგზარებიან მეგობრულ თუ საერთაშორისო ტურნირებზე მათთან. ელმელელ მოჭიდავებს არ მხოლოდ ბურსაში, მთელ თურქეთშიც კარგად იცნობენ. 8 წელიწადი თურქეთის ბაშფელებები ანუ მთავარი ფალავნი ყიფილა აქ აღზრდილი ლაზი აპმედ თაშჩი. ახლა არ იყოთხავთ ჭიდაობის რომელ სახობაში? თურქელად იაღი გიურუში ჰქეია, ტრადიციული სახეობაა და არც მეტი, არც ნაკლები, „გაქონილ ჭიდაობას“ ნიშნავს. როცა ეს გვითხრეს, რატომძაც ყველამ აბდუშაპილისა და ბაშიაჩუკის ცნობილი ორთაბრძოლა გავიხსნეთ აკაკი წერეულის მოთხრობის მიხედვით გადაღებული ფილმიდან. გახსოვთ ალბათ, წელზემოთ შიშველი, ქონით აპრიალებული აბდუშაპილი (ქართველი ყიზილბაში!) როგორ გააკრა მიწას იმერელმა ფალავნამა.

ჩვენმა მასპინძელმა მუსამ ჭიდაობით დაიწყო და სოფლის ისტორიით გააგრძელა. მოგვიყვა, როგორ ჩამოსახლებულან მათი წინაპრები ღორჯომიდან და დიდაჭარიდან, როგორ შეურჩევით სამოსახლო მდინარე ელმელიღელეს გაღმა-გამოღმა ნაყოფიერ მიწებზე. ჯამე კი მათ დედებს (პაპებს) ერთად აუგიათ. იმ ძველ მუსლიმურ სამლოცველოსთან მიგვიყვანა, რომლის მსგავსი საქართველოშიც არის შემორჩენილი, მაჭახლის ხეობაში. ერთი ასეთი მეჩეთი, თბილისში, ღია ცის ქვეშ მუზეუმშიცა. ძველი მეჩეთი, რომელიც ნაშენებია ძველქართული ხალხური ხითხუ-

როობის ტრადიციების გათვალისწინებით, ელმელში ისტორიულ ქვეყნად დაუტოვებიათ, ხოლო გვერდით ახალი აუშენებიათ.

გზას იაილებისკენ ავუკევით იაილები იგვევ იალაღებია, აქაური საზაფხულო საძოვრები. ამ სოფელში მიწათმოქმედებასთან ერთად მესაქონლეობასაც მისდევდნენ. მუჰაჯირებს აქაც გადმოუტანიათ აჭარული, მთაბარული მესაქონლეობა. ჩვეულებრივ, ზამთარში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ბაგურ კვებაზე ჰყვდათ, ხოლო ზაფხულობით აჰყვდათ სოფლისთვის საამისოდ გამოყოფილ მთაზე, იაილებში. იაილებში საზაფხულო საცხოვრებელსაც აგებდნენ. ზაფხულს მემთვრები (ანუ მთაში წასულები) იაილებში ატარებდნენ. საზაფხულო საცხოვრებლები როგორც წესი, ძელური, ანუ ჯარგვალური ტიპისა იყო. პირველი სართული ახორს, ანუ ბოსელს წარმოადგენდა, ხოლო მეორე სართულზე ოჯახი სახლობდა. აქვე პქონდათ ბოსტანი, მცირეოდენი ხეხილი, თიბავდნენ ბალახს და ამუშავებდნენ რის პროდუქტებს.

ამჟამად მეურნეობის სტრუქტურა აქ მნიშვნელოვნად შეიცვალა. მოსახლეობის დიდი ნაწილი ბურსასა და სხვა ქალაქებში გადასახლდა. სოფლებში ძირითადად ზაფხულობით ჩამოდიან და იაილებსაც ხშირ შემთხვევაში სააგარაკოდ იყენებენ. სააგარაკოდ კი მართლაც შესანიშნავია სოფისა და ნაძვის ტყებში ჩაფლული ეს ლამაზი მდელო-ზეგნები. ამ ადგილს კუნელაურს ეძახიან კუნელის ბუქების სიმრავლის გამო.

ჩვენმა მასპინძელმა თავის იმერხეული ტიპის საზაფხულო სახლში მიგვიწვია. უფრო სწორად, ეზოში გამართულ და კერაზე. თავადვე შეგვიწვა მწვადი, ტრადიციული გუფთე (დაბეგვილი და სუნელებით შეზავებული ხორცი), ბაღრიჯანი... ამას მოაყოლა გამაგრილებელი სასხლი აირანი, რომელიც ქართლურ დოს წააგავს და რაღა თქმა უნდა, უგემრიელესი ჩაი წელში გამოყვნილი ჰიქებით...

და კიდევ ერთიც: ამჟამად თურქეთში ადგილობრივი არჩევნები მიმდინარეობს. ბატონი მუსა ახპარტიამ (ანუ თურქეთის მმართველმა პარტიამ) ბურსის ილის ქალაქ გურსუს მერიის კანდიდატად წამოაყენა. იქაურთა თქმით, რეგიონში მუსა აიდინს დიდ პატივს სცემენ და არც მის გამარჯვებაში ეპარებათ ეჭვი.



იზმითი — ისტორიული ნიკომედია, სადაც წმინდა გიორგის თაფი მოპკეთუს



მიწისძრის მორიგ წლისთვის ამგარად ქმიანებოდნენ თურქეთში



ფონდონგი ნოდარ შოშიტაშვილი ბორნით ბოსფორის სრუტეზე



იმერხეველი სოხო ჩივაძე (სონქრო ორალი) —
მომღერალი და კომპოზიტორი



ერდოღანების ოჯახის სამი თაობა



რუსისორი ლარი ნიკოლაძე (მარც ხნივ) სოფელ
ჰამიდიეში ჩვენს მასპინძლთა შორის აღმოჩნდა

„ამ მიშაზე თქვენი ღმილება გიორგი უზამებიათ“

„გვითხრა ერთ-ერთმა ქართველმა მუპა-
ჯირმა ქალაქ იზმითში ჩასულთ მწარე რეა-
ლობაა, რომელსაც ვერსად გავექცევით ჩვენი
თანამომქნენი სხვა სჯულისანი არიან, სხვა ტა-
ძარში ლოცულობენ, სხვა წმინდანები ჰყავთ...
რელიგიის, რწმენის თემა ამ მიწაზე თოთქოს
ტაბუდადებული ხდება. თუმცა იმ სასიხარულო
„აღმოჩნდას“ გვერდს ვერც სტუმრები ჯუმლით
და ვერც მასახნძლები, რომ მათ წინაპრებს სა-
ქართველოზე დარდი გამოუყოლებათ თან და
ეს დარდი თაობიდან თაობას გადაეცემა. ჩვენ
კი, თითქოს ახლა გაგვიცხოვლდა ჩვენი „მოკ-
ვეთილი“ თანამომქნების სიყვარული. სიყვარუ-
ლი, რომელიც უამრავ ბენებრივ თუ ხელოვნურ
ბარიერს დაგვაძლევინებს და გაღმა-გამოლმა
„ნაპირზე“ მცხოვრებ გურჯებს ერთმანეთის-
თვის სულ უფრო ახლობლად გაქცევს.

ის დასახლება, სადაც დღვევანდელი იზმი-
თა, ძვწ პარველ ათასწლეულში მცირეაზიელ
ფრიგიელებს ეკუთვნიდათ. შემდგომ ძევლი
ბერძნები აარსებონ აქ ქალაქ ასტაკოს, რომე-
ლიც მიწასთან გაასწორა აღექვანდრე მაკედო-
ნელის სარდალმა ლიისმაქემ. ა.წ. III საუკუ-
ნიდან აქ ისვე აღმოცენდა ბერძეული ქალაქი,
ამჯერად უკვე ნიკომედიის სახელწოდებით.
რომის იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს, 284
წელს ნიკომედია იმპერიის ერთ-ერთ უმთავრეს
ქალაქად გადაიქცა რომის, ალექსანდრიისა
და ანტიოქიის შემდგენ. ნიკომედია უნიკალური
იყო იმითაც, რომ იგი ასზე შეტი ქრისტიანი
წმინდანის ქალაქია. დასასრულ, სწორედ აქ,
წარმართი დიოკლეტიანეს ბრძანებით 303
წლის 23 აპრილს (ახალი სტილით 6 მაისს),
რევაზდანი წამების შემდგომ, თავი მოჰკვეთეს
დიდმოწამე წმინდა გიორგის. თითქოს ღვთის
რისხვა იყოო და ამის მერე გაუთავებელმა
მიწისძვრებმა ლამის მიწასთან გაასწორა ქა-
ლაქი. VI საუკუნეში ბიზანტიის იმპერატორმა
იუსტინიანემ აღადგინა ნიკომედია, ხოლო XI
საუკუნეში თურქ-სელჩუკთა ხელში გადაიდა.
და აქაც მეორდება მარმარილოს ზღვისპირე-
თის დასახლებათა ბედი. არენაზე ჯერ ჯვა-
როსნები ჩნდებიან, ხოლო საბოლოოდ, 1337
წლიდან — თურქები ეუფლებიან ქალაქს და
იზმითიც მათ დარქვეს.

ოსმანთა იმპერიაში იზმითი განსაკუთ-
რებით დაწინაურდა სულთან სულეიმან I-ის

დროს. სწორედ იმ სულეიმან I-ისა, რომელიც ბოლო დროს ქართველთა ერთმა ნაწილმა (სერიალების მოყვარულმა!) სერიალ „დი-დებული საუკუნით“ გაიცნო. იმ დიდებულ საუკუნეში იზმითი ოშალთა იმპერიის გემთ-მშენებლობის ცენტრად გადაიქცა და ამ ტრადიციას ორასი ათასიანი ქალაქი, მომიჯნავე გოლჯუკთან ერთად, დღესაც ინარჩუნებს.

ერთი სამწუხარო დეტალიც: 1999 წელს, 17 აგვისტოს თურქეთში მომზდარმა კატასტროფულმა მიწისძვრამ 20 ათასამეტ ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. რა თქმა უნდა, თანავუგრძნობდით მეზობელ რესპუბლიკას, მაგრამ ის კი არ ვიცოდით რომ თურქე დაღუპულთა უდიდესი ნაწილი ქართველ მუჰაკირთა შთამომავალი ყოფილა. ჩვენი იზმითში ყოფნისას ამ ტრაგედიას მორიგი წლისთვით აღინიშნებოდა...

მასაინდობები

მოგზაურობისას ყოველთვის ვგრძნობდით მასპინძელთა კეთილგანწყობასა და სიყვარულს. საქართველო ერეკლე დავითაძე (ერდო-ლან შენოლი) თოქმის გვერდიდან არ მოგვშორება. იგი თავის რევიონში გარემოს დაცვის საკითხებს განაგებს და იმავდროულად, ქართულ სათვისტომოსაც უდგას სათვალში. მთელი მისი ოჯახი საქართველოზე შეყვარებულია. მისი ორი გაჟი ალი და იასინ რევაზიც ქართველობენ, პერსპექტიული სპორტსმენები არიან და ძიუდოში არაერთ წარმატებასაც მიაღწიეს თავიანთ ასაკობრივ ჯგუფებში. ერდოლანმა ისიც გაგანდო, ვიცი, როგორ წარმატებას აღწევნ ქართველი ძიუდოსტები მსოფლიოში და ძალიან მინდა, ჩემმა შვილებმაც გაიარონ ქართული ძიუდოს სკოლაო.

ქართულ ხელოვნებასა და მის არაერთ წარმომადგენელს კარგად იცნობს სონერ ორალი — იმერხეველი სოსო ჩივაძე, მომღერალი და კომპოზიტორი, რომლის შემოქმედებაშიც ქართულ მუსიკალურ ფოლკლორს წამყვანი აღდილი უჭირავს. დიდი გულითადობით გვიმასპინძლეს ქოჯაელში, სოფელ შევქეთიერში ადან ჩვდარმა და მისმა მეუღლე აიშემ...

ქოჯაელის ილჩეში (მთავარი ქალაქი იზმითი), როგორც აღვნიშნეთ, ქართველთა კარგანის მეტობარმა არჩილ ზოიძემ (აბდულლაპ ზორლუ) და მისმა ოჯახმა გვიმასპინძლა. არჩილთან ერთად ქოჯაელის სოფლები მოგვატარა სტანბოლში მცხოვრებმა ჩვენია თანამემამულებმ, ხელოვანმა და რევისორმა გარღამ (ლალი) ნიკოლაძემ. დიახ, ეს ის ცნობილი ლალი ნიკოლაძეა, „ნიკოლოზუს“ ბიჭების მამა. ახლა ჩვენი არჩილის იმედი მაქს, იზმითში ქართული თურქის გახსნას გაპირებთო, გვითხრა ქართველმა რევისორმა.

* * *

ამასობაში ჩვენი ექსპედიციაც დასრულდა. კიდევ ერთი დღით ვესტუმრეთ სტამბოლს... ახლობლებისთვის სუვენირები და აღმოსავალური ტებილული შევიძინეთ და ისვე პირველი თურქი მფრინავი ქალის, საბირჰან გიოგჩელის სახელობის აეროპორტს ვეწვიეთ. ამჯერად თბილისისკენ აიღო გეზი ჩვენმა ფრინველადი (როგორც იქაური ქართველები ეძახიან თვითმფრინავს) „ახალდანათესავებულ“ თანამომებრადთან მომავალი შეხვედრის იმედით.

ცოდარ მოაზისი

ისტორიის დოქტორი, პროფესორი
აუტორის ფოტოები

გვემშვიდობება
სოფელი ამშედივ





ფოტოესკურსია სტალინის მუზეუმში

ნოემ
გევორგის
ფოტოები

30 ჭელიცალში სტალინია მიღიონებ მეტი საჩუქარი მიიღო?!

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ისტორიანი“ №1 (37)

ნის ნაკათობაში

ხეზე კვეთილობის ნიმუშები მუზეუმის ფონდების თანამშრომლებმა 2013 წლის გა-ზაფხულზე გამოფინეს. თუმცა არის ერთი ექ-სპონატი, რომელსაც გამორჩეული ისტორია აქვს. ეს არის ლიბანის კედრის ბარელიეფი, რომელიც ამ ქვექნის მიტროპოლიტის სა-ჩუქარია.

XX საუკუნის 30-40-იან წლებში ლიბანში მოღვაწეობდა მართლმადიდებელი მიტროპო-ლიტი ილია კარამი, რომელიც საცოცხლე-შივე წმინდანად მიაჩნდათ. იგი მთელ დროს ლოცვასა და მართვაში ატარებდა და ხშირად განდგინდა ცხოვრობდა გამოქვაბულში. მიტ-როპოლიტი ილია 1947 წელს სტალინის მიწ-ვევით მოსკოვში ჩაფიდა. მან სტალინს მიართგა ბიბლიაში სიწმინდედ მოხსენიებულ ძვირფას ხეზე — ლიბანის კედრაზე ამოკვეთილი სტა-ლინის გამოსახულება წარწერით რუსულ და არაბულ ენაზე: „დაე, ფარავდეს უფალი დიდ გენერალისმუს — იოსებ სტალინს“. ხეზე კვეთილობის ავტორია ნაგილ ჰალადი.

ლიბანის კედრისგან დამზადებული ბარელიეფი
სტალინს ლიბანის მართლმადიდებელმა
მიტროპოლიტმა ილია კარამბა აჩუქა



პირსახები და ქადაგებები

მუზეუმში ამჟამად გამოფენილია ოთხი ბიუსტი და ორი ქანდაკება. მათ შორის პირველ დარბაზში — იაკობ ნიკოლაძის მიერ შექმნილი ახალგაზრდა სტალინის ბიუსტი.

საყვავლებები და ჭურჭლი

სტალინმა საჩუქრად მინის, ბროლის, ფაიფურის, თიხის, მეტალის, სპილოს ძვლის საყვავლები აურაცხელი რაოდენობით მიიღო. მუზეუმში გამოფენილია საქართველოში, რუსეთში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, გერმანიაში, ჩინეთში დამზადებული საყვავ-

მუზეუმის პოლში ტურისტებს სტალინის
ეს სკულპტურა გვებება





საფუძვოლე. ქ. თბილისი. 1955 წ.



საფუძვოლე. უკრაინა. შატგარი ტემპერა

ფაიფურის ფინჯნები ღამბაქით სტალინს
მოსკოველებმა მიართვეს



ღევები. მათ შორის განსაკუთრებით მიმშიდვე-
ლია ორი ერთნაირი ჩეხური საყვავილე. რაც
შეეხება ჭურჭელს, მუზეუმში გამოფენილია
საოცარი სინატიფით გამორჩეული ფაიფურის
ფინჯნები ღამბაქით, რომლებიც მოსკოვე-
ლებმა მიართვეს სტალინს.



ჩეხოსლოვაკიაში დამზადებული საფუძვოლე



საყვავილე. თბილისი. მხატვარი შილაკაძე



დეკორატიული გაზა. №7. რუსეთი



ლარნაკი „დილა“. ავტორი მელაშვილი. 1979 წ.



ჩიაშეხაი

სტალინმა მსოფლიოს არაერთი ქვეყნიდან
მიიღო საჩუქრად ჩიბუხები, მათ შორის ინგ-
ლისური ფირმა „პეტერსონისა“. სტალინი ძი-
რითადად იყენებდა რუსა ოსტატის, ალექსეი
ფიორდორვის ჩიბუხებს. სხვათა შორის, ამავე
ოსტატის ნაკეთ ჩიბუხებს ეწეოდა ცნობილი
ფრანგი მწერალი ერნესტ სიმენონი. გორის
მუზეუმში გამოფენილია სტალინისადმი
მიძღვნილი იტალიური ჩიბუხების კომპლექ-
ტი (7 ცალი), ასევე იტალიაში დამზადებული
ჩიბუხი სანთებელითი, ფაიფურის გერმანული
ყალიონი და აგრეთვე ორი ჩიბუხი, რომლე-
ბითაც სტალინი სარგებლობდა.


სტალინისთვის სხვადასხვა ქვეყნიდან
გამოგზავნილი ჩიბუხების კოლექცია ინახება
მოსკოვში, თანამედროვე ისტორიის მუზეუმში.



ჩიბუხების კომპლექტი. იტალია. 1949 წ.



ამ ორი ჩიბუხით სტალინი ხშირად სარგებლობდა



სტალინმა საჩუქრის სახით მიიღო მალაქიტის, ვერცხლის, სპილოს ძვლის, იშვიათი ჯიშის ხისა და სხვა მასალისაგან დამზადებული საწერი მოწყობილობები. გორის მუზეუმში ორი საინტერესო ნიმუშია გამოფენილი: უკრაინელების მიერ ნაჩუქარი სპილოს ძვლისფერი და მოსკოველების — ვერცხლისფერი, საკისარებით გაკეთებული ორიგინალური საწერი მოწყობილობა.

საჭერი მოჭყობილობები

სტალინმა საჩუქრის სახით მიიღო მალაქიტის, ვერცხლის, სპილოს ძვლის, იშვიათი ჯიშის ხისა და სხვა მასალისაგან დამზადებული საწერი მოწყობილობები. გორის მუზეუმში ორი საინტერესო ნიმუშია გამოფენილი: უკრაინელების მიერ ნაჩუქარი სპილოს ძვლისფერი და მოსკოველების — ვერცხლისფერი, საკისარებით გაკეთებული ორიგინალური საწერი მოწყობილობა.



ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკების ბულგარული ტეკვების გამოგზავნილი ჭადრაკი ჭადრაკი

ჭადრაკები

ადამიანები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ პოლიტიკა ჭადრაკს ჰგავს, სტალინს საჩუქრად ირიგინალურ ჭადრაკს უმზადებდნენ. მაგალითად, პერუდან სტალინს ვერცხლის ჭადრაკი გამოუგზავნეს. ხოლო ამერიკელმა მოჭადრაკებმა სტალინს აჩუქეს ჩიბუხი, რომელზეც ამოკვეთილი იყო რუსელტისა და სტალინის ფიგურები საჭადრაკი დაფასთან.

ლარისა გაზაშვილი

სტალინის სახლმწიფო მუზეუმის გამოცემების სპეციალისტი
(გაგრძელება მომდენ ნომერში)

ჩერნი ალექსანდრე სუვოროვი

ცაშილი I

ალექსანდრე გასილის ძე სუვოროვი დაიბადა მოსკველი დიდებულის ოჯახში. მამამისი ვასილ ივანის ძე სუვოროვი გენერალ-ანშეფი გახდათ. ალექსანდრე სუვოროვი იზრდებოდა ისე, როგორც დიდებულის ვაჟს შეეფერებოდა. სუვოროვის კარგი საოჯახო ბიბლიოთეკა ჰქონდათ და მომავალი ფელდმარშალი იქ თავისთვის ბევრ საინტერესო წიგნს პოულობდა: პლუტარქეს, კორნელიუს ნეპოტს, პომერის, იულიუს კეისარს... ამ აუტორთა წიგნების შესწავლა მომავალში მას ძალიან გამოადგა.

ყმაწვილ სუვოროვზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჰანიბალმა — კართაგენელმა სარდალმა, რომელმაც ლამის მუხლებზე დასცა მოული რომის იმპერია.

ალექსანდრე სუვოროვის ბაბუა იყა სუვოროვი პრეობრაუნენსის პოლკის ლაიბგარდიაში მსახურობდა. სუვოროვის დედა ვედოკია სუვოროვა (ქალიშვილობის გვარი მანუკოვა) გარუსებული სომხის ოჯახიდან იყო. ის კარგად იცნობდა სომხურ და რუსულ ეპოსებს და ახალგაზრდა სუვოროვმა მისგან ბევრი რამ ისწავლა. დედის დამსახურება გახდათ სუვოროვის დახვეწილი მეტეველება და იუმორის შესანიშავი გრძნობა, კარგად ერკეოდა ლეგენდებსა და მითებშიც. ეს დაქმარა სუვოროვს, როცა წერდა „გამარჯვების მეცნიერებას“, „სუზდალურ ჩანაწერებს“, წერილებსა და პატარა მოთხოვებს. ახალგაზრდობისას გამხდარი და ავადმყოფური აღნაგობისა იყო, ამიტომ მამა მისთვის სამოქალაქო კარიერას გეგმავდა, სუვოროვს კი სურდა სამხედრო პირი გამოსულიყო.

1742 წელს იგი ჩაირიცხა სემიონოვსკის პოლკში რიგით ჯარისკაცად. სუვოროვმა მომავრება და ფორმაში ჩადგომა მოახერხა, მისგან კარგი ჯარისკაცი დადგა. 1754 წელს



ოფიცირის წოდება მიანიჭა, ხოლო საბრძოლო ნათლობა — შვიდწლიან ოშმი (1756-1763) მიიღო. რუსეთი პრუსიას ებრძოდა, ორივე მხარის ჯარები ფართო ფრონტად იყვნენ გამლილი აღმოსავლეთ ვეროპაში. არმიები სასტიკი ბრძოლებისთვის ემზადებოდნენ. მანამდე კი წვრილ-წვრილ თავდასხმებს უწყობდნენ ერთმანეთს. სუვოროვს კაზაკთა ასეული მისცეს და უბრძანეს, პრუსიელებისთვის ეთვალთვალა. იმ კორპუსის განლაგებიდან, სადაც სუვოროვი მსახურობდა, ახლოს იყო პატარა პრუსიული ქალაქი ლანდსბერგი, მნიშვნელოვანი მდებარეობით. სუვოროვმა მისი აღება სცადა. როცა ასეულის მეთაურმა სთხოვა, ის მაინც გაეგოთ, რამდენი პრუსიელი იცავდა ქალაქს, სუვოროვმა უპასუხა, — ჩვენ მოვედით, რათა კი არ ვითვალოთ, არამედ გავანადგუროთ. და მოახერხა კიდევ ქალაქის დაკავება.

სუვოროვი მონაწილეობდა კუნძურსდორფის ბრძოლაში და ბერლინის აღებაში 1759 წელს. 1761 წელს ის უფრო მოზრდილ დანაყოფს სარდლობდა. ამ დროისთვის მას უკვე მამაც და გონიერ მხედრად მიიჩნევდნენ. ერთი წლის შემდეგ ასტრახანის ქვეთი პოლკის მეთაურად დანიშნეს, ხოლო მომდვერი წელს — სუზდალის პოლკისა. სუვოროვს პრუსი-

ასთან ომბა ბევრი რამ ასწავლა, რუსეთი ხომ გამოჩენილი სარდლის — ფრიდრიხ II-ის წინააღმდეგ იბრძოდა. 1768 წელს სუვოროვის სუზდალის პოლკი პოლონელ კონფედერატთა წინააღმდეგ საბრძოლველად გაიგზავნა. ლანდსკრონთან და სტოლოვიჩასთან გამარჯვების შემდეგ რუსეთის ჯარმა დაიკავა კრაკოვი (1772 წლის 15 აპრილი). გამარჯვებული სუვოროვი პეტერბურგში უკვე გენერალ-მაიორის ჩინით დაბრუნდა და ის რუსეთ-შვედეთის საზღვარზე გამწერს.

შემდეგ იმსახურა დუნაის არმიაში, რომელსაც გენერალი პიოტრ რუმიანცვე-ზადუნაის სარდლობდა. 1773 წელს სუვოროვმა თურქების ციხესიმაგრე ტურტუკაი აიღო. რუმიანცვეს არმია შეტევაზე არ გადაჰყვდა. მართალია, რუსებმა ლარგასა და კაგულის ბრძოლები მოიგეს, მაგრამ შემდეგ დროებით შეფერხდნენ. სუვოროვმა მთავარსარდლის ბრძანების გარეშე წამოიწყო მტერთან ბრძოლა და ძლიერი იერიშით აიღო ტურტუკაი. ბრძანების შეუსრულებლობისთვის გაგული-სებულმა რუმიანცვემა მისი დათხოვნა მოინდომა, მაგრამ დედოფალმა ეკატერინე II-მ უარი უთხრა. რამდენიმე დღეში სუვოროვმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა: 3 სექტემბერს მან თურქები გირსოვოსთან დაამარცხა. 1774 წლის 9 ივნისს კი გადამწყვეტ გამარჯვებას მიაღწია კოზლუჯესთან ბრძოლაში. სუვოროვის ამ გამარჯვებებმა დიდი გავლენა

ქალაქი ლანდსტერგი



გენერალი პიოტრ რუმიანცვე-ზადუნაისკი. XVIII საუკუნის უცნობი ფერორი

მოახდინა ომის მსვლელობასა და ქუჩუკ-კაინარჯის ზავის დადებაზე.

თურქეთიან ომის შემდეგ სუვოროვი მსახურობდა გენერალ პიოტრ პანინთან, რომელიც აჯანყებულ კაზაკ ემელიან პუგაჩოვს ებრძოდა 1773-1775 წლებში. 1779 წელს სუვოროვი ყუბანისა და ყირიმის ჯარებს სარდლობდა, იცავდა ტავრიდის ნახევარკუნძულს თურქეთის დესანტის შესაძლო თავდას-





ოჩაკვის იერიში, 1788 წ. (აბუარ სუხოლოსკი, 1853)

ხმისგან. ამავე წელს მალორისის დიფიზიის სარდლობა მიიღო, ხოლო 1782 წელს — ყუბანის კორპუსისა. რუსეთისა და ყირიმის გაერთიანების შემდეგ სუვოროვს ხოდაელი თაორუბი უნდა დაეყრო, რაც არ გაძლიერდია. 1786 წელს ის გენერალ-ანშეფი გახდა და კრემბჩუგის დივიზიას ჩაუდგა სათავეში. რუსეთ-ოურქეთის ომის (1787-1791) დროს სუვოროვი კორპუსს სარდლობდა. ამ ომის ერთ-ერთი ეპიზოდისას მას უნდა დაეცა შეტად მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე კინბურნი. ციხესიმაგრეს მარცხნივ შავი ზღვა ესაზღვრებოდა, წინ — ვიწრო ქვიშიანი მეჩეჩი, მარჯვნივ კი — ქალაქი დნეპროპეტროვსკი. სუვოროვს თურქებისთვის სამუალება არ უნდა მიეცა, დნეპროპეტროვსკს ლიმანში (თავთხელი კურუ მდინარის შესართავთან) შესულიყვნენ.

თურქებმა ორმოცდათუქვს სმეტი ხომალდი მიაეცეს კინბურნის ნახევარკუნძულს და რუსებს ცეცხლი დაუშინეს. შემდეგ ჯარი სანაპიროზე გამდოს ხეს. თურქებს ფრანგი ოფიცირებიც ქმარებოდნენ. სუვოროვი ეკლესიაში ლოცულობდა, როცა თურქების დესანტის შესახებ შეატყობინეს და გენერალმაც ჯარს სასწავლოდ მომზადება უბრძანა.

თურქები სუვოროვს „ოოფალ ფაშას“ (კაჭლი ფაშა) უწოდებდნენ, რადგან იმ დროს უქნისტყიოდა და კოჭლობდა. ამ ბრძოლისას რუსი სარდალი დაიჭრა, მაგრამ მოახერხა მრავალრიცხოვანი მტრის შეკავება მაშველი რაზმების მოსვლამდე. მალე რუსებმა კონტრშეტევას მიმართეს და თურქებს უკან დაახევინეს. სუვოროვმა კიდევ ერთხელ გაიმარჯვა. შემდეგ სუვოროვმა ოჩაკვი აიღო (1788).

ოჩაკვის ბრძოლისას რუსთა არმიას გრიგორი პოტიომკინი მეთაურობდა. როცა თურქები ციხესიმაგრიდან გამოუხტნენ რუსთა ერთ-ერთ რაზმს და თითქმის მოილიანად მოსრეს, სუვოროვმა ჯარი შეტევაზე გადაიყვანა. თურქები გაიქცნენ. რუს სარდალს სურდა, გაპკიდებოდა და ოჩაკვში შეჭრილიყო, მაგრამ პოტიომკინი არ დაქმარა ერთი რაზმითაც კი და უკანდახევა უბრძანა. პოტიომკინი მეტი სმეტად გაუბედავად მოქმედებდა და რუსები შეტევაზე არ გადადიოდნენ. მალე მთავარსარდალი იძულებული გახდა, ოჩაკვის შტურმი დაწყო. რუსებმა ციხესიმაგრე აიღეს და დიდი ნადავლი იგდეს ხელთ.

სუვოროვი 1789 წელს თურქებს შეებრძოლა ფრეშანთან. პოტიომკინის არყოფნის გამო, სარდლის მოვალეობას გენერალი



აზმაილის შტურმი, 1790 წ.

რეპნინი ასრულებდა. მაშინ რუსების მხარეს იბრძოდნენ ავსტრიელები, რომლებიც თურქეთთან ომის მდგომარეობაში იყო ფრიდრიხ იოსია კობურგი, რომელსაც 18 ათასი მეომარი ჰყავდა. თურქებს ოსმან-ფაშა მეთაურობდა 30-ათასიანი არმიით.

რუსები და ავსტრიელები ერთობლივი ძალებით დაესხნენ თურქების ბანაკს თავს და გაანადგურეს. ბრძოლისას თურქებმა ისე განალაგეს არტილერია, რომ ზურგში ჭაობი მოექცა და მტერს იქიდან შემოტვეის შესაძლებლობა მოუსცეს. წინიდან რუსები ვერ შეუტვედნენ, რადგან თურქთა არტილერია ძალიან ძლიერ დარტყმას აყენებდათ. სუვოროვი ჭაობს არ შეუშინდა და ჯარისკაცები მასზე მაინც გადაიყვანა. რუსებმა ხელთ იგდეს თურქების ზარბაზნები. ფრეშანის შემდგენ სუვოროვი ოსმალეთის იმპერიის ძალებს რიმნიკთან შეება 1789 წლის 22 სექტემბერს.

რუს სარდალს ჯარი ძალიან სწრაფად დაჰყავდა. უყვარდა მტერზე მოულოდნელად თავდასხმა. რიმნიკთანაც ასე მოხდა. რიმნიკი პატარა ქალაქი იყო. მის მახლობლად თურქეთის ასიათასიანი არმია განლაგდა, დიდი ვაზირისა და სერასკერის, იუსუფ-ფა-

შას მეთაურობით. სუვოროვი 25-ათასიან რუსულ-ავსტრიულ ჯარს სარდლობდა. თურქები დარწმუნებული იყვნენ გამარჯვებაში და დიდი სიფხიზღვე არ გამოუწენიათ. რუსები და ავსტრიელები გამოუწინიას მოულოდნელად დაესხნენ თავს, ხაშტებით წამოვიდნენ. თურქები სასტიკად დამარცხდნენ, თითქმის 20 ათასი კაცი დაკარგეს (მათგან დიდი ნაწილი მდინარეში დაიხრიო), რუსებმა და ავსტრიელებმა კი — 700-800. სუვოროვმა ამ ბრძოლებში გამარჯვებისთვის წმინდა გიორგის I ხარისხის ორდენი მიიღო, ავსტრიის იმპერატორისგან კი საღვთო რომის იმპერიის გრაფობა ებოძა.

თურქთა მნიშვნელოვან ციხესიმაგრე — იზმაილს სუვოროვმა აღყა 1790 წლის დეკემბერში შემოარტყა. ეს სუვოროვის ბრძოლებიდან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია და უფრო დაწერილებით აღწერას მოითხოვს. იზმაილის 35 ათასამდე ჯარისკაცი და ორასი ზარბაზანი იცავდა. გარშემო ღრმა თხრილი პქონდა შემოვლებული და დიდი მიწაყრილი აზვინული. ციხესიმაგრის კედლები ექვსი ერთსის სიგრძეზე გაჭიმულიყო. რუს სარდლებს იზმაილი ვერ აედოთ. აქ იყვნენ პოტიომკინი და კუტუზოვიც. სუვოროვმა მიწაყრილის მოწყობა ბრძანა და ჯარისკაცები მასზე



თადეუქ ქოსტიუშკო (უცხობი აზტორი)



რუსეთის იმპერატორი გეორგი II (მიხაილ შიბანოვი, 1787)

ასვლაში ავარჯიშა. ასწავლიდა, როგორ უნდა აცოცებულიყვნენ. თურქებს მძღვრი ციხესი-მაგრე ჰქონდათ — „ორდუკალესი“ (სამხედრო ციხესიმაგრე — ასე ეძახდნენ თურქები იზმაილს). ის 1774 წელს გერმანელმა და ფრანგმა ინჟინრებმა განაახლეს. სიმაღლე 6-დან 8 მეტრამდე ჰქონდა. დასავლეთ მხარეს — ახალს. სამხრეთიდან მდინარე დუნაი იცავდა, რომელიც ამ მონაკვეთზე თითქმის ნახევარი კილომეტრის სიგანისა იყო.

რუსეთის არმია 21 ათას ჯარისკაცს ითვლიდა, 600 ზარბაზანი ჰქონდათ, მაგრამ საალყო არტილერია — არა. საველე არტილერიას კი საბრძოლო მასალები აკლდა. მიუხედავდა ამისა, სუვოროვმა ციხის შტურმი გადაწყვიტა. სუვოროვის ბრძანებით, რუსებს სამ ფრთად, სხვადასხვა მხრიდან უნდა შეეტიათ. თავის მხრივ, თითოეულ ამ ფრთაში სამი კოლონა იქმნებოდა. მარჯვენა ფრთიდან გენერალ-მაიორების: სერგეი ლვოვის, ფიორდორ მეგნობისა და ლასიის კოლონები იდგნენ, გენერალ-პორუჩიკ პაველ პოტიომკინის საერთო ხელმძღვანელობით მარცხნა ფრთას შეადგენდნენ გენერალ-მაიორ მიხაილ გოლენიშვილ-კუტუზოვის, ბრიგადირების — მატუეი პლატოვისა და ვასილი ორლოვის კოლონები. მათ გენერალ-პორუჩიკი ალექსანდრ სამოილოვი სარდლობდა. დუნაის მხრიდან სამ კოლონას გენერალ-მაიორი იოსიფ დე რიბასი მეთაურობდა (ცხრა ათასი კაცი ფლოტილიის ნაეგბში და ხომალდებში). კოლონებს აქ გენერალ-მაიორი ნიკოლაი არსენიევი, ბრიგადირი ჩებეგა და გვარდიის მაიორი მარკოვი მეთაურობდნენ. მთავრი დარტყმა დე რიბასის ფლოტილიასა და სამოილოვის კოლონებს უნდა მიეყენებინათ. ამ ნაწილებში სუვოროვმა ყველაზე მეტი ჯარისკაცი განალაგა. 2500-კაციანი კავალერია ბრიგადირ ფიოდორ ვესტფალენის ხელმძღვანელობით რეზერვს წარმოადგენდა.

10 დეკემბრიდან დაიწყო ციხესიმაგრის დაბომბვა ხმელეთიდან და მდინარიდან, მეორე დღის 5:30 საათზე არმიამ შტურმის ბრძანება მიიღო. ბრძოლა ციხესიმაგრის ბასტიონების დასაკავებლად დილის 8 საათამდე გაგრძელდა. თურქთა გარნიზონმა დიდი წინა-აღმდეგობა გაუწია რუსებს, ყველაზე ძალიან მეოთხე და მეხუთე კორპუსი ზარალდებოდა.



ჯარის ამ ნაწილებს ცუდად შეიარაღებული კაზაკები შეადგენდნენ. მეოთხე კორპუსის ავანგარდმა ვასილი ორლოვის მეთაურობით ერთი ბასტიონი დაიკავა. თურქებმა მათ ფლანგიდან შეუტიეს, რათა მათი ნაწილი კოლონიდან მოეწყვიტათ. თურქი იანიჩრების წინააღმდევ კაზაკი შებები ვერაფერს გაზდა და მრავალი კაზაკი იანიჩრის ხმლით დაიღუპა. ბრძოლის სხვა უბნებზეც რუსებს ძალიან უჭირდათ, რადგან რიცხვმრავალი მეტოქე ძლიერ წინააღმდევობას უწევდათ. მთელი ძალების დაძაბვის შედეგად რუსებმა უპირატესობა მოიპოვეს და თურქები შეავიწროვეს. მალე რუსები ციხესიმაგრეშიც შეიჭრნენ და სრულ გამარჯვებას მიაღწიეს. ციხესიმაგრიდან მხოლოდ ერთი თურქი წარიდა უვნებელი და სტამბოლში დამარცხების ამბავი ჩაიტანა.

1794 წლის მაისში სუვოროვი პოლონეთის აჯანყების ჩასახშობად გაგზავნეს. აგვისტოს პირველი ნახევრისთვის გენერალ-ანშეფ რეპნინის არმიაში სულ 4,5 ათასი ჯარისკაცი ირიცხებოდა. ჯარის ეს ნაწილი პოლონეთში გაიზავნა, სუვოროვის არმიის შემაღენლობა თერთმეტი ათას კაცამდე გაიზარდა. ექვს დღეში სუვოროვმა მტერზე ოთხი გამარჯვება მოიპოვა: დივინთან, კობრინთან, კრუპჩიცის მონასტერთან და ბრესტთან. გაუწვრთნელმა

კაზაკი მხედრუბი, XVIII ს. მეორუ ნახევარი — XIX ს. I ნახევარი (უცნობი აუტორი — სუარაუდოდ, ჯსტრიის არმიის ოფიცერი ანდრაშ პეტრიჩი)

რუსი ჯარისკაცები ბანაქში
(ფან ანტუან ლანგენდიკი, 1800)





ალექსანდრუ სუვოროვი (ჯოზეფ კრუცინგერი, 1799)

და ცუდად შეიარაღებულმა პოლონელებმა დიდი ზარალი ნახეს ამ ბრძოლებში. 10 ოქტომბერს აჯანყების მეთაური თადეუშ კოსტიუშკო ტევედ ჩაიგდო ფერხენის რაზმმა, რომელიც სუვოროვს შეუერთდა. სუვოროვის ძალები 17 ათასამდე გაიზარდა და გენერალი გარშავისკენ დაიძრა. მტრის შესახვედრად რუსმა მთავარსარდალმა გენერალ მაიერის რაზმი გაგზავნა, რომელიც 5560 ჯარისკაცისა და 9 ზარბაზნისგან შედგებოდა. ამ რაზმმა კობილკესთან დაამარცხა პოლონელი აჯანყებულები. პოლონელთა ნაწილმა პრალისკენ (გარშავის ისტორიული რაიონი) დაიხია, ვისლის მეორე სანაბიროზე.

სუვოროვი 25 ათასი ჯარისკაცითა და 86 ზარბაზნით მიადგა პრალას და მისი კედლების დაბომბვა დაიწყო. მალე რუსები შეტევაზე გადაიდნენ და პოლონელებს კაპიტულაციის გამოცხადება აიმულეს. რუსები ქალაქში შეიჭრნენ, ისინი არავის ინდობდნენ და კველას ხოცავდნენ. ამ ხოცა-ულეტის გამო სუვოროვმა სასტიკი მთავარსარდლის სახელი დაიმსახურა. ბრძოლის დასრულების შემდეგ გარშავის მაგისტრატმა სუვოროვს ტრადიციული ჰური, მარილი და ქალაქის გასაღები მიართვა. სუვოროვმა დედოფალ ეკატერინე

II-ს მხოლოდ სამი სიტყვისგან შედგენილი წერილი გაუგზავნა: „ვაშა, ვარშავა ჩვენია“ (როგორც თავის დროზე კეისარმა გაგზავნა რომში სამსიტყვიანი წერილი: „მივედი, ვნახე, გავიმარჯვე“ ფარნაცე პონტონელზე გამარჯვების მოპოვების შემდგომ).

დედოფლის პასუხიც სამსიტყვიანი გამოდგა: „ვაშა, ფელდმარშალ სუვოროვის“. ვარშავის აღებისთვის ეკატერინე II-მ სუვოროვს ფელდმარშლის უმაღლესი სამხედრო წოდება მიანიჭა. სუვოროვმა სხვა ბევრი ჯილდოც მიიღო. 1795 წელს იგი მთელი რუსეთის არმიის ხელმძღვანელი იყო პოლონეთში (80 ათასი ჯარისკაცი). ამ პერიოდში დაწერა „გამარჯვების მეცნიერება“. წიგნში კარგად ჩანს მისი დამოკიდებულება სამხედრო წესებისადმი. ჩამოაყალიბა ე.წ. სუვოროვული აღზრდის წესები, რომლის მიხედვითაც ჯარისკაცები „გამარჯვების მეცნიერების“ საშუალებით უნდა გაწევროთნათ. მათთვის ეს წიგნი უნდა ესწავლებითათ.

1796 წელს ეკატერინე II გარდაიცვალა და ტახტზე მისი ვაჟი პავლე I ავიდა. პავლეს კველაფერი გერმანული მოსწონდა და ამიტომ რუსეთის არმიის გარდაქმნა მოინდომა პრუსიულ ყაიდაზე. ჯარისკაცებს აიმულებდნენ, გრძელი თმა ეტარებინათ, საფეთქლებთან ქეჩის კავები დაწერებინათ, ფეხილით გაეპუდრათ თმა. მეომრებს თოფის მიზანში სროლასა და ხაშტით ბრძოლას უფრო ნაკლებად ასწავლიდნენ ვიდრე მარშზე ზუსტი, გამოხმილი ნაბიჯებით სიარულსა და ზუსტ მანევრებს. სუვოროვის აზრით, ასეთი არმია აღლუმისთვის უფრო იყო გამოსაღები, ვიდრე ბრძოლისთვის. ალექსანდრე სუვოროვს არ მოსწონდა გერმანული წესები და რუსეთის არმიის გარდაქმნას ქინააღმდეგებოდა. მოსუცმა ფელდმარშალმა მეფის გულისწყორმა დაიმსახურა და ამის გამო სოფელ კონჩანსკოეში გადაასახლეს. გერმანული არმიის წესების შესახებ მან განაცხადა: „პუდრი თოფის წამალი არ არის, კავი — ზარბაზნი, დალალი — ხანჯალი“.

რუსეთსა და მთლიანად ეროპას მალე დასჭირდათ ჭირვეული მოხუცის დახმარება, რომელიც მიყრუებულ სოფელ კონჩანსკოეში ცხოვრობდა.

ნიკა სოფიანი

(დასასრული შემდეგ ნომერში)

პოსფორი და დარდაცვი

ბოსფორის სრულებრივი და სტაბილური



სრუტების ისტორია პონსტანტინოპოლის დაცვითი დარღვევები

ნაცილი II. დასწევის იხ. „ისტორიანი“ №1 (37)

1922-1923 წლების ლოზანის კონფერენციაზე შავი ზღვის სრუტების საკითხი ერთ-ერთი მთავრი იყო. საბჭოთა რუსეთის მთავრობა მოითხოვდა სრუტების დახურვას კველა ქვეყნის სამხედრო ხომალდებისთვის, ინგლისი კი ცდილობდა, შავ ზღვაში სამხედრო ხომალდების შევენის უფლება ანტანტის ქვეყნებისთვის მოეპოვებინა. 1923 წლის 24 ივნისს ხელმოწერილი აქტი ინგლისის უმთავრეს დიპლომატიურ გამარჯვებად იქცა: თურქეთი დათანხმდა ბოსფორისა და დარდანელის სრუტების დემილიტარიზაციას და სამხედრო ფლოტებისთვის სრუტების გახსნას.

შავი ზღვის სრუტების საკითხი საბოლოოდ დაარეგულირა მონტრეს კონვენციამ, რომელსაც 1936 წელს ხელი მოაწერეს თურქეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, ბულგარეთმა, რუმინეთმა, საბერძნეთმა, იუგოსლავიამ, აგსტრალიამ და იაპონიამ.

1936 წლის 22 ივნისიდან 20 ივლისამდე შვეიცარიის ქალაქ მონტრეში გამართულ კონფერენციაზე დაგმაყოფილდა თურქეთის მოთხოვნა შავი ზღვის სრუტებზე გავლენის მოხვების შესახებ. კონფერენციის ბოლო დღეს, 20 ივნისს ხელმოწერილი კონვენციის მიხედვით, კველა ქვეყნის საფრო ხომალდს (რიგა შეზღუდვებით) უფლება ჰქონდა, შავი ზღვის სრუტებით ესარგებლა. ომის დროს, თუ კონფლიქტში თურქეთი არ მონაწილეობდა, კველა ქვეყნის საფრო გემს შეეძლო შეზღუდვების გარეშე გასულიყო სრუტებში. ხოლო თუ თურქეთი ჩართული იქნებოდა საომარ მოქმედებებში, სრუტებით სარგებლობის უფლება მხოლოდ იმ ქვეყნების საფრო ხომალდებს ეძლეოდა, რომლებიც თურქეთის მხარეს იბრძოდნენ, ან არ ქმარებოდნენ თურქეთის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს. რაც შექმნა სამხედრო ფლოტს, მონტრეს კონვენციის მიხედვით, შავიზღვისპირა ქვეყნების სამ-



თურქეთის დელგაცია ლოზანის კონფერენციაზე. 1923 წ.

სედრო ფლოტებისთვის მცირე შეზღუდვები დაწესდა, ხოლო არაშეგზღვისპირა ქვეყნების ფლოტებისთვის მთელი რიგი შეზღუდვები შემოიღეს: სრუტებში ერთდროულად გამავალი ხომალდების მაქსიმალური წყალწყვა არ უნდა აღემატებოდეს 15 ათას ტონას, მათ რაოდნობა კი ცხრა ერთულს. აგრძოვე, შავ ზღვაში მყოფი ყველა არაშეგზღვისპირა ქვეყნის სამხედრო ხომალდების წყალწყვა 30 ათასი ტონით განისაზღვრა.

არაშეგზღვისპირა ქვეყნების სამხედრო ხომალდებს შეგ ზღვაში შეუძლიათ 21 დღეს დაპყონ. კონვენციის მე-19 მუხლის მიხედვით, ომის დროს, როცა თურქეთი არ არის მებრძოლი მხარე, შევი ზღვის სრუტეებით სარგებლობის უფლება ეძღვა კვლელა იმ ქვეყნის სამხედრო ფლოტს, რომელიც არ მონაწილეობს ოშში — ოლონდ მე-10 და მე-18 მუხლებში მოცემული შეზღუდვების მიხედვით. რაც შეეხება მეომარ ქვეყნებს, მე-19 მუხლის თანახმად, სრუტეებში შესვლა შეუძლია ოშში მონაწილე იმ ქვეყნის სამხედრო ხომალდებს, რომელიც თურქეთის ხელშეკრულების საფუძვლზე, აგრძესის მსხვერპლი მხარის თვის ლამობს დახმარების გაწევას. ამ ხომალდებისთვის მოქმედებს მონტრეს კონვენციის მე-18 მუხლში მოცემული შეზღუდვები. იმავე მე-19 მუხლის მიხედვით, ოშში მონაწილე ქვეყნის

სამხედრო ფლოტს სრუტეებში ნებისმიერი სახის სამხედრო მოქმედება ეკრძალება. თურქეთის ომში მონაწილეობის შემთხვევაში კი სრუტეებით სარგებლობის საკითხის განსაზღვრა, თავად თურქეთის სახელმწიფოს განკარგულებაში გადადის. 1936 წლის მონტრეს კონვენციაში შპილი ზღვის სრუტეების შესახებ დღემდე მოქმედებს, რაც მას უდიდეს მნიშვნელობას აიძინებს.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, პოლევადამის 1945 წლის კონფერენციაზე საბჭოთა კავშირმა თურქეთს ტერიტორიული მოთხოვნები წაუყენა და მინტრუს კონენციას გადახედვაც მოსთხოვა სრუტევებთან დაკავშირებით. საბოლოოდ, აშშ-ის დახმარებით, სადაც ამ პერიოდში შემუშავდა „ტრუმენის ღოქტრინა“ მოელ მსოფლიოში სსრკ-ის შეკავების შესახებ (გამოქვეყნდა 1947 წლის 12 მარტს), თურქეთსა და საბერძნეთს (საბერძნეთში ამ პერიოდში საბჭოთა გავლენის გაფრცელების საფრთხე იდგა) სამხედრო დახმარება გადაეცა, რამაც დიდწილად განაპირობა საბჭოთა კავშირის უკან დახვა. მოგვიანებით, 1952 წლის 18 თებერვალს თურქეთი ნატოს წევრი გახდა. სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირმა თურქეთისადმი პრეტენზიებზე უარი თქვა.

თურქეთის ნატოში გაწევრების დროიდან



ქლემენტ ეტლი, პარი ტრუმენი და თოსებ სტალინი პოტსდამის კონფერენციაზე, ხანძოკლე შესვენებისას

იწყება ახალი და განსხვავებული ეტაპი შავი ზღვის სრუტების ისტორიაში. საბჭოთა კავშირი უკმაყოფილებას გამოთქვამდა სრუტებში ნატოს ქვეყნების გაზრდილი გავლენის გამო. თურქეთმა, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის დალაგების სურვილით, 60-70-იან წლებში ნება დართო რუსულ ხომალდებს, სრუტებში შედარებით მეტი თავის უფლებით ესარგებლათ. თავის მხრივ, ეს ნატოს წევრ სახელმწიფოთა უკმაყოფილებას იწვევდა, რაც საგსებით ბუნებრივია, თუ გავიხსენებთ, რომ 1976 წლის 18 ივნისს სრუტებში გაიარა საბჭოთა ავიამზიდმა „კიუვმა“, რომლის წყალწყვა 37 ათას ტონას შეადგენდა.

80-იანი წლებიდან დიდი მნაშენელობა შეიძინა სანაოსნო მიმოსვლის დარღულირების საკითხში. იმ დროისთვის სრუტებში მომრავლდა აყარიები, ამიტომაც 1982 წლის 1-ელ მაისს თურქეთმა განაახლა სანაოსნო მიმოსვლის სისტემა. ხომალდებს აეკრძალათ სრუტებში 10 საზღვაო მილზე (18,5 კმ/სთ) მეტი სიჩქარის განვითარება, ხოლო თუ გემის წყალწყვა 10,16 ათას ტონას აღემატებოდა, თურქეთი ერთი კვირით ადრე უნდა გაეფრთხილებინათ.

ახალი სანაოსნო რეგლამენტის გარშემო თურქეთსა და რუსეთს შორის, 90-იანი წლების შუა ხანებში, აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდა. თურქეთის მიზანი იყო ნაოსნობის უსაფრთხო-

ების ამაღლება და სრუტების განტვირთვა, განსაკუთრებით, ნაცობტან კერძისგან. იმ დროს მუშავდებოდა აზერბაიჯანისა და ყაზახეთის ნაციონალის ვეროპაში მიღსაღებით გატანის პროექტები, რასაც მოგვიანებით ბაქო-თბილისი-ჯეიპანის მიღსაღენის აგება მოჰყავა. გარდა ამისა, 1994 წლისოდების სრუტებში მძიმე ავარიული მდგომარეობა შეიქმნა, რაც ძირითადად იმით იყო განპირობებული, რომ ხომალდები ხელშეკრულების ერთ-ერთ პუნქტს ხშირად არღვევდნენ — სრუტეში შესვლისას ბორტზე თურქი ლოცმანი არ აპყვდათ. 1952-1992 წლებში ბოსფორისა და დარდანელზე 444 ავარია მოხდა და უმეტეს შემთხვევაში, გემებზე თურქი ლოცმანები არ იმყოფებოდნენ. 1994 წლის 1-ელ ივლისს მიღებული სანაოსნო რეგლამენტში უსაფრთხოების ზომებს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო.

* * *

შევი ზღვის რეგიონის თანამედროვე მდგომარეობას დიდწილად განსაზღვრავს საბჭოთა კავშირის დამლის შემდეგ მომხდარი ცვლილებები. შედეგად, შევ ზღვაზე ინტერესთა კონფლიქტი კიდევ მეტად ჩაიხლართა და ურთიერთობები უფრო მრავალწახნაგობანი გახდა. შავიზღვისპირა ქვეყნების (თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა, რუსეთი და



მონტერებს ხელშეკრულების თანახმად, თურქი ლოცმანების თანხლება საგალდეპულოა შვი ზღვის სრუტებში ხომალდებას გაედასას

საქართველო) გარდა, აქ ინტერესები აქვთ აშშ-სა და ევროკაფიშირს.

რეგიონში დიდი გავლენის მქონე ქვეყნად დღეს თურქეთი მიიჩნევა. მისთვის შესაძლოა ხმელთაშუა ზღვას უფრო დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა პქონდეს, თუმცა ბოსფორისა და დარდანელის სრუტებზე კონტროლი საშუალებას აძლევს, შვი ზღვაზე მნიშვნელოვანი გავლენა შეინარჩუნოს. პრატეტიკულად ყველა რეგიონული პროექტის მამოძრავებელი ძალა თურქეთია. სწორედ მისი ორგანიზებით მოქწერა ხელი 1992 წლის 25 თებერვალს სტამბოლის დეკლარაციას, რომელმაც „შვი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობას“ (BSEC — Black Sea Economic Cooperation) დაუდო საფუძველი. დეკლარაციას ხელს აწერდა 11 ქვეყანა — ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, საქართველო, საქართველო, მოლდოვეთი, რუმინეთი, რუსეთი, თურქეთი და უკრაინა. BSEC-ის შტაბბინა 1994 წლიდან სტამბოლშია. 2004 წლის აპრილში ორგანიზაციაში მიიღეს სერბეთი. „შვი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის“ გაცხადებული მიზანია ეკონომიკური სტაბილურობის, მშვიდობისა და პარმონიული თანამშრომლობის უზრუნველყოფა ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის. BSEC-ის ეფიდით მოქმედებს „შვი ზღვის კვლევის ცენტრი“ და „შვი ზღვის ბანკი“.

თურქეთი 1990-იან წლებიდან შვი ზღვის

ნავთობტან კურებისგან განტვირთვას ცდილობს. ამას ხელს უწყობს ბაქო-თბილისი-ჯეიპანის მილსადენიც, რომელიც შუა აზიიდან ევროპას აწვდის ნავთობს, საქართველოს გავლით.

ასევე თურქეთის ინიციატივით 2001 წელს დაარსდა „შვი ზღვის სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობის ორგანიზაცია“ (BlackSeaFor — Black Sea Naval Force), რომლის წევრები არიან რუსეთი, უკრაინა, ბულგარეთი, რუმინეთი, საქართველო და თურქეთი. ეს ორგანიზაცია არ წარმოადგენს სამხედრო ბლოკს, თუმცა სამხედრო თანამშრომლობას ითვალისწინებს.

დღეისთვის თურქეთი პოლიტიკური ბალანსის შენარჩუნებას ცდილობს რუსეთსა და აშშ-ს შორის. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ნატოს წევრია და აშშ-თან მყარ ურთიერთობას ესწრავთვის, იგი ასევე ცდილობს აკთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებას რუსეთთან და შავიზღვისპირა ქვეყნებთან, რათა მსოფლიოს აჩვენოს, რომ რეგიონის სახელმწიფოებს თავადაც ძალუბო შვი ზღვის აუზში სტაბილურობის მიღწევა.

მეორე გავლენაინა სახელმწიფო რეგიონში რუსეთია. ზემოაღნიშნული ისტორიული ექსკურსი მეტ-ნაკლებად ცხადს ხდის იმ ინტერესებს, რაც რუსეთს ბოლო საუკუნეებში რეგიონში ჰქონდა. დღეს შვი ზღვა რუსეთისთვის საკვანძო ადგილს წარმოადგენს. იგი სწორედ

ამ სივრცის წყალობით ახერხებს აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის ენერგეტიკული დერუფინის კონტროლს. მეორე მხრივ, შავ ზღვაზე გავლენის დაკარგვით (თუმცა ამის შანსი დღეს მხოლოდ თუორიულია) შესაძლოა განმეორებულიყო 1853-1856 წლების პრეცედენტი, როცა ყირიმის ომის დროს ინგლისი და საფრანგეთი ლამობდნენ აზოვის ზღვისა და მდინარე დონის გასწვრივ სამხედრო ოპერაციის განვითარებას რუსეთის სამხრეთით, ჩრდილოეთ კავკასიაში. ამდენად, შავ ზღვაზე გავლენის დაკარგვა რუსეთის დიდწილად ჩრდილოეთკავკასიურ ინტერესებს უკავშირდება, თუმცა არანაკლებია რუსეთის ინტერესი საქართველოსადმი.

დიდია რუსეთის დაინტერესება გაზსადენების საკითხითაც. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ შეჩერდა ნაბეჭოს გაზსადენის პროექტი, რომელსაც შუა აზიოდან მომავალი ბუნებრივი აირი საქართველოს გავლით უნდა მიეწოდებონა ვეროპასთვის. საპასუხოდ რუსეთმა წინ „სამხრეთის ნაკადი“ წამოსწია, რომლის შენებლობაც 2012 წლის ბოლოს დაიწყო და რუსული გაზის ვეროპაში ექსპორტს ითვალისწინებს, ბულგარეთისა და სერბეთის გავლით. გაზსადენის ამოქმედება 2015 წლის მიწურულს იგეგმება. იმავე 2012 წელს განვითარებული ვარიანტი — აზერბაიჯანისა და ირანის თხევადი აირი საქართველოსა და თურქეთის გავლით მიწოდებოდა ვეროპას. თუმცა საბოლოოდ აზერბაიჯანის შაპ-დენიზის საბაზოს აირის ვეროპისთვის მიწოდება სამხრეთკავკასიური მილსადენით ამჯობინებს. 2013 წლის დეკემბერში მოწერა ხელი, მათ შორის, საქართველოს მიერ, შაპ-დენიზის პროექტის მეორე ფაზის ხელშეკრულებას. აზერბაიჯანული აირი ვეროპაში ტრანსანტოლიურ და ტრანსადრი-

ატიკული მილსადენების გავლით მოხვდება.

შავი ზღვის რეგიონში თურქეთისა და რუსეთის გავლენაზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ ორ ქვეყანას ჰყავს შავ ზღვაზე კველაზე ძლიერი სამხედრო ფლოტი.

კიდევ ერთი ქვეყანა, რომელსაც შავი ზღვის რეგიონზე გავლენა აქვს, ამერიკის შეერთებული შტატებია, რომლისთვისაც ეს რეგიონი რუსეთის შზარდი ამბიციების შეჩერების საშუალებას წარმოადგენს, თუმცა ამაში აშშ-ს მონტრეს კონვენცია უშლის ხელს. სწორედ ამიტომ, აშშ პერიოდულად სკამს კონვენციის გადახედვის საკითხს, ხოლო რუსეთი კატეგორიული წინააღმდეგია. შესაძლოა, მომავალში მონტრეს კონვენცია მანც გადაიხდოს აშშ-ის ინიციატივით, თუმცა ამას დღეს ვერავინ განჭვრეტს.

აშშ-ის ინტერესებს ამჟარებს და მეტი ლავირების საშუალებას აძლევს ნატოს ახალი წევრების — რუმინიეთისა და ბულგარეთის პოზიცია, რომლებიც რეგიონში აშშ-ის დამკაიძრებას უჰქორებს მხარს. თუ გავითვალისწინებთ, რომ თავად თურქეთიც, რომელიც უშუალოდ აკონტროლებს ბოსფორსა და დარდანელს, ნატოს წევრია, ადგილად დავინახავთ, რა გავლენა აქვს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შავი ზღვის აუზში.

რეგიონში ანგარიშგასაწევი მოთამაშეა ვეროპაშირიც, რომელსაც საკუთარი მიზნები და ინტერესები ამორნავებს — აღმოსავლეთისკენ გაფართოების, შავი ზღვის ენერგეტიკული უსაფრთხოების, არალეგალური მიგრაციის საკითხები, ასევე ეკოლოგიური პროგრამა, რომელსაც ეკოროკავშირი შავი ზღვის აუზში ახორციელებს.

დაინტერესებულ ქვეყნებზე საუბრისას აღსანიშნვა გერმანია, რომლისთვისაც



გეოგრაფიული ფაქტორის გამოა რეგიონი საკურადღებო — შავ ზღვას უერთდება ევროპის ყველაზე გრძელი მდინარე დუნაი (სიგრძე 2860 კმ), რომელიც სათავეს გერმანიის ტერიტორიაზე იღებს. დუნაის უმეტესი ნაწილი საბჭოთა კონტროლს ექვემდებარებოდა, თუმცა ბერლინის კედლის დანგრევის შედეგ სანაოსნოდ გაიხსნა და ამჟამად ის ერთ-ერთი მთავარი სატრანსპორტო არტერიაა.

შავიზღვისპირა ექვსი ქვეყნის რიცხვში შედის საქართველოც. სწორედ ზღვასთან არის დაკავშირებული ბერძნული კოლონიზაცია და ისტორიული კოლხეთის სახელწოდებაც. თანამედროვე საქართველოს BSEC-ის წევრია და აქვს საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები. აღსანიშნავია, რომ BSEC-ის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის, შავი ზღვის გაჭრობისა და განვითარების ბანკის (BSTDB — Black Sea Trade and Development Bank) სადამტუქებლო შეთანხმებას თბილისში ხელი მოწერა 1994 წელს. ამ ბანკა წევრ ქვეყნებში ბევრი პროექტი დააფინანსა, მათ შორის საქართველოში. მაგალითად, ნავთობტერინიალის

აგება ფოთის პორტში, რომელიც 2002 წელს ამოქმედდა. აქ გადის კასპიის ზღვიდან შავი ზღვისკენ გადაზიდული ნავთობი. პროექტისთვის BSTDB-მ 88-მილიონიანი სესხი გამოყო.

საქართველოს სტრატეგიული ინტერესებია ტერიტორიული მთლიანობის აღდენა, დემოკრატიული მონაპოვნის განმტკიცება და მათი შეუძლებელობა, ევროატლანტიკურ და ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია, ეკონომიკური და ენერგეტიკული უსაფრთხოება. BSEC-ში მონაწილეობა ხელს უწყობს ამ მიზნების მიღწევას ეკონომიკური თანამშრომლობის მეშვეობით.

ამგარად, შავ ზღვას არა შხილოდ რეგიონული, არამედ საერთაშორისო გეოპოლიტიკური დატვირთვაც აქვს. ამან კი შესაძლოა გამოიწვიოს მსოფლიოს უდიდესი ქვეყნების ინტერესთა შეჯახება და ძალით გადაჯგუფება, ჩამოყალიბებული სტატუს კოს დარღვევა და ახალი კონფიგურაციის შექმნა.

კასაპირ ზალიზავა

თუ ახალი და უახლესი ისტორიის მაგისტრანტი

„ნაბუქოს“ ნაცვლად, აზერბაიჯანული ბუნებრივი აირის ფრთხისფრის მიწოდება ტრანსანატოლიური (TANAP) და ტრანსადრიალიკული (TAP) მილსაღწევებით იგვენდა. პირველის მშენებლობა 2018 წლისთვის უნდა დასრულდეს





1934

1990

2000


2013

აკ

ყველა დროის საყვარელი სპორტული გამზეთი ყოველდღი
ყოველ შაბათს „აკალე“ უკრნალის სახით!

სიახლე!

ორდენი გადაღი არ არის, ხოლო რაიცი — ტიტული!



ორდენებისა და რაინდობის თემა ბოლო დროს ბევრისთვის იუმორით ან სულაც ირონიით განხილვის საგანი გახდა. უფლის ხელოვანების კვართისა და საქართველოს არწივის ორდენის საქართველოს რექტორის, სიმონ კოპაძის აზრით, მისი მიზეზი ის არის, რომ ფალერისტიკის (ჯილდოთმცოდნეობა), ისევე როგორც ჰერალდიკის შესახებ, საბჭოთა პერიოდში და მის შემდგომ წლებშიც, ძალიან ცოტა იწერულოდა. საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს ლიტერატურა ამ დისციპლინების შესახებ, რომელიც წარმოდგენას მაინც შეუქმნიდა დაინტერესებულ საზოგადოებას. მისი განმარტებით, ორდენი არ არის მხოლოდ ჯილდო ან ლითონის ფირფიტა, ან ჯვარი... ხოლო რაინდი არ არის ტიტული.

სამეცნი ორდენები და სახელმწიფო ჯილდოები საქართველოში

ორდენი, პირველ ყოვლისა, არის ორგანიზაცია, რომელსაც აქვს წესდება-სტატუტი, მმართველობითი ვერტიკალი — კაპიტული, აქეს საკუთარი სიმბოლოები (ანუ ის, რასაც დღეს ორდენს უწოდებენ) და ხშირ შემთხვევში, საკუთარი სამოსიც.

ორდენის წევრები არიან რაინდები, იგივე კავალერები, რაც სხვადასხვა ენაზე სხვადასხვაგარად უღერს: chevalier (ფრანგ.), caballero (ესპ.), cavallo (იტალ.); ritter (გერმ.), knight (ინგლ.). რაინდები სხვადასხვა იერარქიულ საფეხურს იკავებენ. თითქმის ყველა ორდენს ხუთი ხარისხი აქვს. პირველი ხარისხი რაინდია, იგივე შევალიე, კავალერი, და სხვ.; მეორე ხარისხია რაინდი კომანდორი; მესამე — რაინდი გრანდ კომანდორი; შემდგომ მოდის რაინდი გრანდ კორსი, ანუ დიდი ჯვრის რაინდი და ბოლოს უმაღლესი —

გრანდ კოლიე, ანუ დიდი ეკლსაბამის რაინდი. თუმცა ჯობს, უფრო შორიდან დავიწყოთ თხრობა, როგორ დაედო სათავე ორდენებს, რა ფორმით განაგრძო არსებობა და როგორ მოაღწია ამ ინსტიტუტმა დღემდე.

სიმონ კოპაძე: — რაინდთა სასულიერო-მხედრულ ორდენებს ჯვაროსნული ოქების ეპოქაში ეკლესიამ ჩაუყარა საფუძველი. პირველები იყვნენ პოსპიტალიერთა, ანუ „წმ. იოანე იერუსალიმელის ორდენი“ (1099 წ.) და ტამბლიერთა ანუ „სოლომონის ტამრისა და ქრისტეს დატაკ რაინდთა ორდენი“ (1118 წ.), რომელთა სტატუტები თვით რომის პაპმა დაამტკიცა.

XIV საუკუნიდან ევროპაში იწყება საერო-რაინდული ორდენების ჩამოყალიბება. ასეთ ორდენებს მონარქები აარსებდნენ და სასულიერო რაინდთა ზენაციონალური ორ-



უფლის ხელოუქმნელი კვართისა და საქართველოს არწივის ორდენი (Grand Cross)



საქართველოს
გვირცვინის
ორდენი

დენებისგან განსხვავებით, მათ უფრო ნაციონალური ხასიათი ჰქონდათ.

ყველა ორდენს ჰყავდა თავისი მფარველი წმინდანი და გამნენდა სტატუტი, რომელიც არ ეულირებდა რაინდთა მიწვევისა და სხვა წესებს. სახელმწიფო და ორდენის ადმინისტრაცია ერთიანად იყო ორგანიზებული და მონარქი ან მთავარი იმპედროულად იყო ორდენის გროვენოსტერი — დიდი მაგისტრი. ორდენის მიმღინარე საქმეთა ხელმძღვანელობა ვალებოლა კანცლერს, რომელიც გამორჩეულ რაინდთაგან კაპიტულს აყალიბებდა. ორდენს ჰყავდა ხაზინადარი, რომელიც განაგებდა ორდენის სიმბოლიკისა და სიგელ-გუჯართა დამზადებას, ჰეროლდი, რომელიც კურირებდა საზეიმო ცერემონიალებს.

ისტორიულად, ორდენის სტრუქტურა ითვალისწინებს ორდენის დაყოფას კლასებად და ხარისხებად. გამოსარჩევია სამი ძირითადი კლასი: დიდი ჯვრის, კომანდორისა და რაინდის. ხარისხი უმეტესწილად ხუთია: რაინდი, კომანდორი, გრანდ კომანდორი (დიდი კომანდორი), გრანდ კროსი (დიდი ჯვარი) და გრანდ კოლეე (დიდი ყელსაბამი); ხარისხებისთვის განსხვავებულია ორდენის ნიშნე-

ბის ფორმები და ზომები. ესენია ორდენის გარსევლავი, ორდენის ლენტი და ორდენის სიმბოლო. მნიშვნელობა აქვს ორდენის ტარების წესსაც და სამოსზე მისი განლაგების რიგითობას (თანამიმდევრობა, უმცროს-უფროსობის მიხედვით).

ორდენის ამ სტრუქტურამ დღემდე მოაღწია, იგი შენარჩუნებულია ევროპის როგორც მონარქისტულ, ისე რეპუბლიკურ ქვეყნებში.

XVIII-XIX საუკუნეებიდან ორდენების ორი კატეგორია ჩამოყალიბდა: სამეფო-საამპერატორო, ანუ დინასტიური და სახელმწიფო. დინასტიურ ორდენში რაინდთა მოწვევას წყვეტილება მხოლოდ თავად სუვერენები, ხოლო სახელმწიფო ორდენებით დაჯილდოებას ამზადებდნენ ორდენის კაპიტულები და წარუდგენდნენ სუვერენის, რომელიც წარდგინებას ადასტურებდა.

XX საუკუნის ორმა მსოფლიო ომმა და სხვადასხვა რევოლუციამ არაერთ ქვეყანაში შეცვალა მმართველობის ფორმა. ბევრმა სამეფო თუ საიმპერატორო დინასტიამ მოქმედება დევნილობაში განაგრძო. შესაბამისად, მათმა დინასტიურმა ორდენებმა მეტი დატვირთვა შეიძინეს. ისინი გახდნენ კომუნიკაციის ძი-

რითადი საშუალებები მოქმედ დინასტიებსა და სხვა სახელმწიფოთა მეთაურებთან ურთიერთობისას.

ტრადიციებისადმი ბოლშევიკების ანტაგონისტური დამოკიდებულების მიუხედავად, საორდენო სისტემას გვერდი მათაც ვერ აუარეს. ბოლშევიკება შექმნეს საკუთარი მახინჯი ფორმა, რომელმაც ძირითადი აქცენტი გადაიტანა ორდენის ნიშანზე და არა სტრუქტურასა და პრინციპებს. სამწუხაროდ, საქართველო გახდა სწორედ ამ მახინჯი ფორმის პირდაპირი მემკვიდრე, რამაც განაპირობა ირონიული და გაუგებარი დამოკიდებულება დინასტიური საორდენო სისტემისადმი. საბჭოთა კავშირში დაჯილდოებას კურირებდა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელიც კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სამინისტროთა წარდგინებით აჯილდოებდა მოქალაქეებს. სახელმწიფო ჯილდოთა გაცემის სისტემაში ეს ფორმა მემკვიდრეობით საქართველომაც მიიღო.

— რა დროიდან მოდის ბაგრატიონთა დინასტიური ორდენები და როგორ დაედო სათვე საქართველოს სახელმწიფო ორდენებს?

— ამჟამინდელი ტიპის სახელმწიფო ორდენების ისტორია XX საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყება. თუმცა შინაარსობრივად თუ გნოვინილავთ, როგორც მხედრულ სამმოს, მაშინ თამამად შევვიძლია ორდენებად მივიჩნიოთ იმერეთის მეფე სოლომონ I-ის მიერ შექმნილი „ფიცის კაცების“ მხედრობაც და

300 არაგველიც. ცალკე თემაა ფუსტია მედრობა (ქართული სამხედრო-საეკლესიო რაინდთა ორდენი). ტიპოლოგიურად ის სრულად შეესაბამება სასულიერო რაინდთა ორდენს. მისი მიზანი იყო საეკლესიო საგანძურისა და სიწმინდების დაცვა, რაც პირუთონელად შეასრულეს 1819-1821 წელს ე.წ. „საეკლესი ამბობების“ დროსაც, როცა რუსეთის გვზარქოსებმა დაიწყეს სიწმინდების გატანა ქართული ეკლესიებიდან. ამ მოვლენას შემწირა 2000 ფუსტი რაინდი, სწორედ მათი თავდადების შედეგია იმ უნიკალური საგანძურის არსებობა, რომელიც ჩვენს ოქროს ფონდშია დაცული.

პირველი პროექტი, რომელიც სახელმწიფო დინასტიური ორდენების დაარსებას ითვალისწინებდა, იოანე ბატონიშვილს ეკუთხნის. თუმცა ეს ვერ მოხერხდა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის გამო. მას შემდგვე საუკუნეზე მეტი გავიდა, როცა 1915 წელს გერმანიაში დაარსებულმა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა“, გერმანიის სარდლობასთან ერთად ჩამოაყალიბა „ქართული ლეგაიონი“, რომელიც დაკომილებულიდა ქართველი ტყვევებისგან და იმჟამად თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მუსლიმანი ქართველებისგან. სამხედრო შენაერთი იმავე წელს ჩაერთო რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, გერმანიის მხარეს მებრძოლი თურქეთის პოზიციებიდან. ბრძოლებში გამოჩენილი მხედრული მამაცობის წახალისებისთვის, „დამო-



სიმონ კოპაძე:
ცალკე თემა
ფუსტია
მხედრობა
(ქართული
სამხედრო-
საეკლესიო
რაინდთა
ორდენი).
ტიპოლოგიურად
ის სრულად
შეესაბმება
სასულიერო
რაინდთა ორდენს.
მისი მიზანი
იყო საეკლესიო
საგანძურისა და
სიწმინდების
დაცვა



უფლის ხელოუმბელი კვართისა და საქართველოს
არწივის ორგენის (*Grand Colier*) აღმინდელი
გარიანტი

კვირდებლობის კომიტეტმა“ დააფუქნა „თამარ მეფის ორდენი“, რომელმაც 1918 წელს უკვე სახელმწიფო ჯილდოს სტატუსი მიიღო. სწორედ ეს ორდენი უნდა მიყიჩნიოთ პირველ ქართულ მხედრულ ჯილდოდ, და რაოდენ სამწუხაროა, რომ მაგნოს უკიციბის გამო ეს ორდენი ბოლო წლებში შემოღებულია, როგორც ქალთა ორდენი, რაც სრულიად სხვა რამეს ნიშნავს... ამასთან, აღსანიშნავია, რომ წმინდა თამარ მეფის ორდენი აღდგა 1942 წელს, ირაკლი ბატონიშვილის პატრიონაჟით.

ბაგრატიონთა დინასტიური სამეფო ორ-
დენის შემოღება და კავშირებულია ბატონიშ-
ვილ ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანთბატონის
სახელთან. მან 1939 წელს, პირველმა დიდმა
მაგისტრმა, ევროპის სამეფო სახლების ტრა-
დიციათა შესაბამისად, გამოსცა ორდენის
კონსტიტუცია-სტატუტი. ორდენის ხუთივე
ხარისხი განისაზღვრა საქართველოსა და სა-
მეფო ოჯახისაზღიური გრძელები სამსახურისთვის,
მაღლიერებისა და კუთილგანწყობის გამოხატ-
ვის ნიშნად. ამით უნდა დაფასებულიყო იმ
პირთა დამსახურება და ღვაწლი, ორმლებმაც
დახმარების ხელი გაუწიეს ემიგრაციაში მყოფ
საქართველოს სამეფო ოჯახს.

„უფლის ხელოუქმნელი კვართის“, ბაგრა-
ტიონთა სამეფო ორდენის შემოღებით, ირაკ-
ლი ბატონიშვილმა განსაკუთრებით გუჟევა
ხაზი იმ გარემონტბას, რომ საქართველო და

მისი სამეცნიერო სახლი პატიონია ქრისტიანობის ერთ-ერთი უპირველესი სიწმინდისა — „კუპრონისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“.

სწორებდ ამ ორდენის დაარსების შემდგომ
შეიტყვეს კვროპის სამეფო დინასტიებმა და
არისტოკრატიაბ საქართველოსა და მისი
სამეფო დინასტიის ისტორიის შესახებ. ამ
ორდენში მოწვეული იყვნენ იმჟამინდელი
მონარქები და სამეფო და საიმპერატორო
სახლების მეთაურები, უძალლესა მშედრობი-
სა და კვროპის არასტოკრატიული სახლების
წარმომადგენლები. მათ შორის არიან დღემდე
არსებულ მონარქისტულ სახელმწიფოთა დი-
ნასტიების წარმომადგენლები. ჩამოყალიბდა
ორდენის წარმომადგენლობები სხვადასხვა
ქვეყანაში; დღეს ორდენს აქვთ საკუთარი რექ-
ტორატი 70-მდე ქვეყანაში,

ორდენის დიდი კელსაბამის რაინდები არიან: იტალიის მეფე უმბერტო II; ალბანეთის მეფე ლუკა I; ბულგარეთის მეფე ბორის III; რუანდის მეფე კაგელი V; პორტუგალიის ინფანტი მიგელ დე ბრაგანცა; მონტენეგროს კრონ-პრინცი ნიკოლას ნეगოში; სერბეთის კრონ-პრინცი ალექსანდრე კარაგეორგვიჩი; რუმინეთის პრინცი ნიკოლასი; ახუჯსა და სეგოიას ჰერცოგი ჰაიმე დე ბურბონი; ტოსკანის პრინცი ანდრეს სალვადორ დე პაბსურგ-ლორენცა და მრავალი სხვა.

უმნიშვნელოვანებია და შთამბეჭდავი სასულიერო პირთა შემაღებელობა: მსოფლიო პატრიარქი ბართლომეუს I, სერბეთის პატრიარქი ორქნიოსი, იერუსალიმის პატრიარქი თეუფილეუს-III და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია-II.

— რა პრინციპებს უნდა აკმაყოფილებდეს ადამიანი, რომელიც ორდენს იღებს?

— დინასტიური ორდენით დაჯილდოება
არ ხდება. მისი სწორი ფორმაა მოწვევა, შე-
საბამისი რეკომენდაციების გაწვეის შემდგ
ორდენში იწვევენ პირს, ვინც ერთგულია
მონარქიის იდეისა და შზად არის, ერთგულად
ემსახუროს საქართველოს სახელმწიფოსა
და ბაგრატიონთა დინასტიის კანონიერ ინ-
ტერიტორიას.

— ბატონი სიმონ, რაინდობაზეც გკითხავთ, უს ტიტულია?

— რაც შექმნება რაინდობასა და პოლეგმიკას თემაზე, იყვნენ თუ არა საქართველოში რაინდობი, მინდა გითხვათ, რომ ნებისმიერი ორ-

დენის წევრი, უფრო გაფრცლებული ფორმით რომ ვთქვა, ორდენის კავალერი — პირდაპირი თარგმანით არის ორდენის რაინდი. რაინდი, ანუ მხედარი იგივეა, რაც აზნაური;

ქართველი სახოგადოება მარტივად იყო მოწყობილი, — იყვნენ ადამიანები, რომლებიც ღვრიდნენ სისხლს — აზნაურები და იყვნენ ისინი, რომლებიც ღვრიდნენ რფლს — გლეხები. ერთხი იცავდნენ იმათ, ვინც ღვრიდა რფლს და ეს უკანასკნელი მათ გამოკვებაზე ზრუნავდნენ... თავადების ვალდებულება იყო, ეზრუნათ მათ მმართველობაში მყოფი მამულებიდან ლაშქრის გამოყვანაზე. ყველაფერი სისხლის ფასად იყო დაგენილი. მობილიზაციის ორი ტიპი არსებობდა: კომლზე კაცი — სავალდებულო სამხედრო სამსახური და ქუდზე კაცი — საყოველთაო მობილიზაცია, ანუ საჭირო იყო კომლიდან რამდენიმე კაცის გამოყვანა, ვისაც კი ხელში იარაღის დაჭრა შეეძლო... თანამედროვე ფორმულირებით, აზნაური არის ოფიცერი, მათი უმთავრესი გალდებულება იყო მამულისთვის სისხლის გალება, პროფილება კი — ხმლისა და დეზების ტარუბა.

— საეკლესიო აზნაური რას ნიშნავდა?

— ისინი ეკლესიის კუთვნიილ მიწებზე ცხოვრობდნენ და მათი მობილიზება ეკლესიის წინამდღოლს, ანუ შესაბამისი ეპარქიის ეპისკოპოსს ევალებოდა. საეკლესიო აზნაურები დეზს მხოლოდ ცალ ფქშე ატარებდნენ.

— წმინდა თამარ მეფის ორდენის შესახებ რას დაამატებდით?

— 1942 წელს ბერლინში ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლები შეიკრიბნენ და ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი დაარსეს. იგი მიზნად ისახავდა საქართველოს განთავისუფლებას კომუნისტური რეჟიმისგან და შმართველობის უორმად კონსტიტუციურ მონარქიას ირჩევდნენ. ტრადიციონალისტთა შორის იყვნენ ის პირები, ვინც სათავეში ედგნენ დამოუკიდებლობის კომიტეტს, თამარ მეფის ორდენის დამუჟებებლები და პირველი რაინდები. მათ შორის გრაფი ვერნერ ფონ შულენბურგი. სწორედ მათი თხოვნით აღდგა წმინდა თამარ მეფის ორდენი ირაკლი ბატონიშვილის პატრიონაების ქვეშ.

ლალი ააპასპირი

წ. მეუე
თამარის
ორდენი



2300 წლის კალკულატორი

ჩინეთში, ცინხუას უნივერსიტეტის მეცნიერებმა ბამბუკის 2500 წერილი ზოლი გაწმინდეს, რომელთა ასაკი დაახლოებით 2300 წელია და ძვ.წ. 305 წლით თარიღდება.

მათი თავმოყრა თავის დროზე 65 ქველი ტექსტის შესადგენად დასჭირვებიათ. ცინხუას უნივერსიტეტის მათემატიკის ისტორიის მკაფეიარი ფენ ლი შენგი განმარტავს, რომ ბამბუკის 21 ზოლზე ათობითი სისტემითაა რიცხვები თავმოყრილი და განლაგებული —


ის გამრავლების ტაბულის მსოფლიოში უძველეს ნიმუშს წარმოადგენს.

მეცნიერი ვარაუდობს, რომ „კალკულატორს“ მიწის ზედაპირის ფართობის, აგრუთვე გადასახადების გამოთვლისთვის იყენებდნენ.

ფენ ლი შენგის შეფასებით, „ასეთი როტელი გამრავლების მატრიცა ჩინეთის ისტორიაში უნიკალურია“.

მომზადებულია
archaeology.org-ის მიხედვით

ასე გამოიყურება
ბამბუკის
21 ზოლზე
განლაგებული
უძველესი
„კალკულატორი“,
რომელიც
გამრავლების
ტაბულის
მსოფლიოში
საჭარაუდოდ,
უძრაველეს
ნიმუშს
წარმოადგენს



გენერალ გრიგორეოვის მკლელობა




თბილისი 1905 წელს

„1905 წლის რევოლუცია დამარცხედა. გენერალ ალიხანოვ-აგარსკისა და სხვა დამსჯელმა ექსპედიციებმა სისხლის ღვარი დააფენეს მთელ საქართველოში. რამე მასობრივ მუშაობაზე ოცნებაც შეუძლებელი იყო... რევოლუციონერებმა პროვინციები დატოვეს და ქალაქებში, უმთავრუსად ტფილისში გადაფინგნ, სადაც შედარებით უფრო ადვილი იყო დამალვა.

ტფილისი მაშინ ნამდვილ ალფაშემორტყმულ ქალაქს წარმოადგენდა. გამოცხადდა სამხედრო წესები, ხელისუფლების წარმომადგენლები გამდენივარებული ნადირობდნენ რევოლუციონერებზე. პარტიას ფარულად, იატაკებებში უნდა შეენახა ძალიან ბევრი აძხანაგი, რომელთაც მოელოდათ სიკვდილი ან უვადო კატორდა. ამისთვის საჭირო იყო თანხა. ზოგ ამხანაგებს ესაჭიროებოდათ არალეგალური ბინები, ზოგნიც უფრო საიმედო, მიუწვდომელ ადგილებში უნდა გაგზავნილიყენენ. მიუხედავად განადგურებისა, პარტიზანული ბრძოლა გრძელდებოდა“, — ასე აღწერდა მაშინდელ ვითარებას რევოლუციონერი ბარონ ბიბინეიშვილი. დამარცხებული რევოლუციონერები ყველანაირი მეთოდებით ცდილობდნენ ჩამქრალი ცეცხლის ხელახლა

გადვივებას. მოქმედების მთავარ მეთოდად კვლავც ტერორისტული აქტები რჩებოდა.

რევოლუციური კერძები მთლიანად რომ მოესო, 1905 წლის ბოლოს ხელისუფლებამ გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა და მოწინააღმდეგეს ფართომასტრატეგიანი და დაუნდობელი ტერორი გმოუცხადა. კავკასიაში მთელი ძალაუფლება ჯარს გადაეცა, მათი მეთაურობა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსს, ფიოდორ გრიაზნოვს ჩაპარდა. გენერალი ხელმძღვანელობდა „თბილისის რუსულ პატრიოტულ საზოგადოებას“, მისი ინიციატივით შეიქმნა კავკასიის შტაბის ოფიცერთა რეაქციული დაჯგუფება, რომელმაც ფაქტობრივად ხელთ იგდო ძალაუფლების სადაგები. გენერალ გრიაზნოვს სბულდა ე.წ. კავკასიელი „კრამოლნიკები“ (მეამბო-



ვლანა მცელაძე



გენერალ-დემოკრატებმა გადაწყვიტეს,

საპასუხო ზომები მიეღოთ და განერალი გრი-
აზნოვი მოეკლათ და როგორც ყოველთვის, ეს
თავდაცვად ჩათვლილიყო. საქმის ბოლომდე
მიყვნა სილიბისტრო ჯიბლაძეს დაევალა. მან
გაზრდ „სხივის“ რედაქციაში, ვინმე კოჭლი
ბაგრატას მეშვეობით, გამოიძახა ცნობილი
ტერორისტი არშაკ მეგრაბიანცი. ტერორის-
ტმა შეარჩია თავისი ჯგუფის წევრები: არ-
სენა ჯორჯიაშვილი, შაქრო პუშკინა, ბათუა,
ხუნხუხა და იაკოფა დარიბოვი. შეთანხმების
შემდგომ მიხო ლომთათიძემ ტერორისტებს
გენერალი უჩვენა. ხოლ უორდანია შემდგნა-
რიად აღწერს ამ ამბავს: „(ჯიბლაძემ ტერო-

რის გენერალი მაქსუდ ალახანოვ-ჯარსკი

ალიხანოვ-ჯარსკის დაქველი რაზმის მიერ გადამწვარი ერთ-
ერთი ქუჩა იზურვებათში



რისტები) დააყენა თავის ადგილას, გრიაზნოვის სადგომის წინ, ხოლო თვითონ დადგა გოლოვინის პროსეკტზე, საიდანაც ხელსახოცის ამოღებით უნდა ეცნობებინა გრიაზნოვის გამოსვლა შტაბიდან. უცებ გრიაზნოვმა მართლაც გამოიარა ეტლით, სილვამ ნიშანი არ მისცა, რატომ? მას გევრდში ქალი ეჯდა და არ სურდა მისი დაღუპვა. სამაგიროდ, ტერორისტებმა კარგად დაინახეს გრიაზნოვის სახე და დაიმახსოვრეს. სილვა შემოვიდა ჩემთან რედაქციაში და მიამბო თავგადასაყალი და დაამატა: ხელ — ვერ გამექცევაო“.

სხვადასხვა მიზეზთა გამო ექვსკაციანი ჯგუფიდან დარჩნენ მხოლოდ არსენა ჯორჯიაშვილი და არშაკა მეგრაბიანცი. ბომბის სროლამ არსენა ჯორჯიაშვილს მოუწია. „აგერ სდგას სახე დაფიქრებული, დიღრონი წარბებით, ღრმა შავი თყვლებით, მუდამ დინჯი, ახალგზირდისთვის უჩვეულო სახის სიმტკიცით არსენა ჯორჯიაშვილი. თავის დიდ გმირულ საქმისთვის ბომბს ითხოვს“, — წერს რევოლუციონერი, რუსეთის სიციალ-დემოკრატიული მუშაკთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი ვლასა მგელაძე.

არსენა ჯორჯიაშვილი სახაზინო გლეხის ექვსშვილიანი ოჯახის უფროსი გაუი იყო. ის 1881 წლის 7 აპრილს დაიბადა. 1900 წელს მამამისმა მეცხარუობა მაიატოვა და მთელი ოჯახით თბილისში გადასახლდა, სადაც მშენებლებისთვის მტკვრის სანაპიროდან ურმით ქვიშას ეზიდებოდა. სიღარიბის გამო არსენას განათლება არ მიუღია. 14 წლისა უკვე ოჯახს ქმარებოდა. 1905 წლის რევოლუციის დროს რკინიგზის სახელოსნოში მუშაობდა. მალე გაფიცევაში მონაწილეობისთვის სამსახურიდან დაითხოვეს და ისიც რევოლუციურ მოძრაობაში ჩაიგა. 1905 წელს პროკლამაციების გავრცელებისთვის არსენა დააპატიმრეს, მაგრამ სამხილის უქმარისობის გამო მალევე გათავისუფლდა, თუმცა კი პოლიციის ზედამხედველობა დაუნიშნეს. თბილისის ჟანდარმერიის დოკუმენტებში ჯორჯიაშვილი მოხსენიებულია, როგორც წითელი რევოლუციონერი და ტერორისტია მეთაური. რაზმის წევრები იკრიბებოდნენ არსენას მამის ნაქირავები სახლის სხვენზე, იქვე მხადებოდა კუმბარები. ჯორჯიაშვილი აქტიურად მონაწილეობდა შეარაღებულ თავდასხმებში პოლიციის მოხელეებსა და ჯარის ნაწილებზე:



მეორე რიგში მარცხნიდან მეორე კოტე ცინცაძე

1905 წლის 25 სექტემბერს ტერორისტებმა თბილისის სხვადასხვა უბანში 11 კუმბარა ისროლეს. კუმბარა შეაგდეს ორთაჭალაში განლაგებულ კაზაკთა პოლტავის პოლკის ასეულის კაზარმაში, რის შედეგადაც ათამდე ჯარისკაცი დაიღუპა. ამ თავდასხმისას დაიჭრა წითელრაზმელი უსეინაშვილი, რომელიც არსენამ სამშვიდობოს გაიყვანა. იმავე დღეს აღნიშნული პოლკის მეორე ასეულის კაზარმას რამდენიმე კუმბარა ესროლეს, 25-მდე კაზაკი დაიჭრა.

კოტე ცინცაძე იხსენებდა: „ამხანავ არსენა ჯორჯიაშვილს მინდობილი პქონდა გენერალ გრიაზნოვის მოკვლა. აქტის სისრულეში მოვანა ამხ. ჯორჯიაშვილს დააგვაინდა. დამიძახა კობაძე (დღეს სტალინმა) და მითხრა: მოაზადე რამდენიმე ყოჩაღი ბიჭი და ერთ კვირაში თუ ჯორჯიაშვილმა ვერ შეასრულა, შეძღვებ შენ მოგანდობთო. მე ძალიან გამიხარდა. მოვაზადე კიდევ ორი ამხანაგი და ვეღლიდებით ერთ კვირას. ამხანაგმა ჯორჯიაშვილმა ჩინებულად შეასრულა თავის მინდობილობა და მე კი დამტოვა პირლია“. ცინცაძის საპირისპიროდ, ლევ ტროცკი აღნიშნავს, რომ კობაძე-სტალინის უშუალო მონაწილეობა გრიაზნოვის მოკვლაში გამოხავონია. ის ყერდნობა ანონიმ ავტორს და ამყარებს იმ ცნობილ ფაქტებს, რომ ეს ტერაქტი მოახდინეს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშვიერების) დადგენილებით სკეციალურად



საქართველო
სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ჯორჯიაშვილი
და სხვები —
მარცხნიან:
უცნობი,
მეგრაბაიცი
(დგას ჯოზი),
კანსტანტინე
გოგიაშვილი (ზოხაში).
წევს: არსენ
ჯორჯიაშვილი

დანიშნულმა პარტიულმა ტერორისტებმა. „სტალინს, ისევე როგორც ბოლშევიკებს, საქართველოში საერთოდ არავითარი გავლენა არ ჰქონია და ამ საქმეში არანაირი მონაწილეობა არ მიუღია“, — წერდა ტროცკი. ძალიან საეჭვო მტკიცებაა. მიუხედავად იმი-

სა, რომ ბოლშევიკები რიცხობრთვად დიდად ჩამოუგარდებოდნენ მენშევიკებს, მათი როლი ტერაქტებში თუ არ ჭარბობდა, უტოლდებოდა მენშევიკებისას. როგორც სხვადასხვა მასალით მტკიცდება, სტალინის როლიც მნიშვნელოვანი იყო ტერორისტული აქტების მომზადებასა და აღსრულებაში.

გრიგოლ (გრიშა) ურატაძის თქმით, როცა საჭირო გახდა სტალინის ფიგურის განდიდება, ბოლშევიკებმა გრიაზნოვის მკვლელობის დაგეგმვა და შესრულება მთლიანად მას მიაწერეს, მაგრამ „დაავიწყდათ, რომ გენერალ გრიაზნოვის მკვლელობა დეტალურად იყო აღწერილი მათ შურინალშივე ამ აქტის ხელმძღვანელის მეგრაბაიცის მიერ“. ურატაძეს მხედველობაში აქვს „რევოლუციის მატიანე“ (1923 წ. №4), რომელიც ჩეკაშ ბიბლიოთუკებიდანაც კი ამოიღო. ურატაძეს მეგრაბაიცის „გაუჩინარებული“ წერილიდან დიდი ნაწყვეტი მოჰყავს თავის წიგნში, ხოლო ბოლოს იშველიებს ციტატას, რომელიც ამ წერილში საერთოდ არ არის: „მის ფაქტონს ბომბი ესროლა ჯორჯიაშვილმა; ამ ბომბით იქნა მოკლული გრიაზნოვი, მაგრამ ბომბის ნამსხვერევებით დაიჭრა ოვითონ ჯორჯიაშვილი... საქართველოს დაბყრობის შემდეგ ბოლშევიკებმა ეს საკმაოდ პოპულარული აქტი ჯერ მიისაკუთრეს, შემდეგ კი ოვთო ჯორჯიაშვილი ბოლშევიკად გამოაცხადეს და ბოლოს, როცა



გრიგოლ ურატაძე

ეს საჭირო გახდა სტალინის განსაღილებლად, ავტორობა და განხორციელება მას მიაწერეს“. როგორც ხედავთ, დეზინფორმაციასა და მოწინააღმდეგის დამცირება-დაკინების მცდელობას სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორივე ფრაქცია წარმატებით იყენებდა. ამ შემთხვევაში ეს სჭირდებოდა დამარცხებულ მხარეს — მენშევიკებს: ეს წიგნი საფრანგეთში დაიწერა და აშშ-ში გამოქვეყნდა 1968 წელს. აღსანიშნავია, რომ არშაკ მეგრაბაინციმა 1935 წელს დაწერა „ჩემი მოგორებები დიდ სტალინზე“, სადაც ერთი სიტყვითაც კი არ არის ნახსენები გენერალ გრიაზნოვის მკვლელობის ამბავი, მით უმეტეს, მასში სტალინის როლი.

დადგა 1906 წლის 16 იანვარი. ტერორისტებმა ადგილი შეარჩიეს და დაიწყეს ცდა. გრიაზნოვის მოლოდინში ჯორჯიაშვილი ბაღის გასასვლელ კართან ჩამოჯდა ძელსკამშე. იქვე ერთი მოქალაქე ორ ჯარისკაცს საათს ევჭრებოდა. მათ შეეძლოთ ხელი შევშალათ, ამიტომ არსენამ ამოიღო სამი მანეთი და ჯარიგაცს გაუწოდა, საათს მე ვეიღლობო. მან გამოართვა ფული, ჯიბეში ჩაიდო, ხოლო საათი იმ მოქალაქეს დაუბრუნა და წავიდა. არსენა აღშეოთდა და უნდოდა ჯარისკაცს დასდევნებოდა, მაგრამ ზუსტად ამ დროს, ბარიატინსკის (ყოფილი ჯორჯიაშვილის, დღვეანდელი გია ჭინტურიას) ქუჩიდან ეტლი გამოჩნდა. იქვე, ქუჩაზე ქალი ორი ბავშვით გადადიოდა.

არშაკ მეგრაბაინცი: „დაახლოებით დილის 9 საათზე დავინახეთ, რომ გრიაზნოვი გამოიდის ქუჩაში... არსენა მშიერდ, ფრთხილად მიუახლოება ეტლი, გადაუგდო ბომბი და ჩაწვა იქავე. ბომბი აფეთქდა. გრიაზნოვი თავის მეუტლითა და ერთი ყაზახით განადგურდა. საინჟინრო მმართველობის მწერლებმა რომ დაინახეს ეს, მორთუს ყვირილი, დერუი დერუი და შემოარტყეს ალყა არსენას, სანამ იგი მოასწრებდა ადგომას. მე ბალის კარით შევვარდი ბაღში და გავიპარე“.

ბომბის აფეთქებისას ბავშვებიანი ქალი ფეხში დაიჭრა, პატარები უვნებლად გადარჩნენ. ამ ამბის თვითმხილველი ვინმე კარასევი წერდა: „გენერალი უძრავად იჯდა იმავე პოზაში. მე ვთქვი, რომ საჭიროა მისი წაყვანა მიხეილის სავადმყოფოში, რადგან შეიძლება მხოლოდ დაჭრილია და უგრძობ მდგომარეობაშია... მეტლემ განაცხადა —



განდარმერიის მოხელე

წასვლა არ შემიძლია, დაჭრილი ვარ და ძალალონეს ვკარგავო. მართლაც, მისი წინსაფარი სისხლიანი იყო. რათა არ დაკარგულიყო ძვირფასი დრო, კოფოზე დავსვი ვიღაც ჯუჯა ჯარისკაცი... მე გენერლის გვერდით დაუჯეპი და მიხეილის სავადმყოფოში წავიყვანე. ეტლში შემოხტა გენერალ გრიაზნოვის სახლის შვეიცარი. გზაზე, ვორონცოვის ხიდზე შევნიშნე, როგორ გაუყვითლდა სახე გენერალს და როცა სავადმყოფოში მივიყვანე, უკვე მკვდარი იყო“.

არსენამ გაქცევა სცადა, მაგრამ ბაღში მყოფმა ორმა ჯარისკაცმა, რომელთაგან ერთერთს მან სამი მანეთი მისცა, ფქთი დაუდო და წააქცია. თვალის დახამხამებაში გაჩენილმა კაზათა ჯგუფმა ტერორისტი ცემით ლამის სიკვდილის პირას მიიყვანა. ნაცემი ჯორჯიაშვილი საკომენდანტო სამმართველოში (ამჟამინდელი კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობა) გადაიყვანეს. ნაცნობმა პოლიციელმა არსენას მამას სახლში მიაკითხა და სამმართველოში შვილის სანახავად მიიყვანა. მამას უნდოდა გასისხლიანებული შვილისთვის თავის ქვეშ ქუდი ამოედო, მაგრამ არ დაანებეს — ძალლი ძალლვით უნდა მოკვდესო.

სამმართველოდან გონებადაკარგული

ჯორჯიაშვილი თბილისის სამხედრო პოს-
პიტალში გადაიყვანეს და საპატიმრო გან-
ყოფილების პალატაში მოათავსეს. მას
დღე-ღამის განმავლობაში ორი შეიარაღებუ-
ლი ჯარისკაცი დარაჯობდა. ტერორისტის
ჯანმრთელობით დაინტერესებული იყო თვით
მეფისნაცვალი, რომელსაც პოსპიტალიდან
ყოველდღე წვდიდნენ ოპერატიულ ცნობას.
ნაცემი ჯორჯიაშვილი რამდენიმე დღის გან-
მავლობაში კომაში იმყოფებოდა.

ჯორჯიაშვილი გონის 23 იანვარს მოვიდა,
ხოლო პირველი დაკითხვა 27 იანვარს მო-
წყო. პატიმარს ხმა წართმეოდა, ჩურჩიულით
აძლევდა ჩვენებას და ყველაფერს უარყოფდა.
არსენას დის, ელენეს მოგონებით, როცა ის
სულ პატარა, ძმის სანახავად მიიყვანეს, ჯორ-
ჯიაშვილს ფეხებზე ბორკილები ედო, ხოლო
პალატაში ჯარისკაცები იდგნენ, რის გამოც
ის ძლიერ შეშინდა, მაგრამ ძმამ დაწყნარა.

სასამართლოში ჯორჯიაშვილს იცავდა
ცნობილი ქართველი იურისტი სოსიკო პარა-
თაშვილი. მაგრამ ბრალდებულს ამან ვერ უშ-
ველა და ტერორისტს ჩამოხრიბა მიუსაჯეს.
სილიბისტრო ჯიბლაძემ „მოახერხა ტყვესონ
კაუშირის გამბა ციხის ეკლესიის ქართველი

მღვდლის საშუალებით... ჯორჯიაშვილი მოკ-
ვდა მამაცურად, სილვა არ გაუცია“.

ჯორჯიაშვილი ისე იყო დასუსტებული,
რომ სიარული არ შეეძლო, ამიტომ დასჯის
დღეს ციხის „კოიკიდან“ სახრჩობელამდე
ხელით მიიყვანეს. 1907 წლის 1-ელ მარტს,
დილის 7 საათზე ჯორჯიაშვილი საგუბერ-
ნიო ციხის ეზოში ჩამოახრივეს და იქვე
დამარხეს.

1921 წელს საქართველოს კინოეკრანებ-
ზე გამოვიდა პირველი ქართული საბჭოთა
მხატვრული ფილმი „არსენა ჯორჯიაშვილი“
(მეორე სათაურია „გენერალ გრიაზნოვის
მოკელა“. სხვათა, შორის, მისი გადაღება
მენშვერიების დროს დაიწყეს), სადაც მთავარ
როლს განთქმული რეჟისორი და მსახიობი
მიხეილ ჭავაურელი ასრულებდა. ფილმის გა-
მოსვლის დროს ჯერ კიდევ ცოცხლები იყვ-
ნენ არსენას შშობლები, მეგობრები და ამბის
უშუალო მონაწილენი. სურათმა იმ დროის-
თვის ჩვენების რეკორდი მოხსნა — მარტო
თბილისში მოკლე ხნის განმავლობაში იგი
155-ჯერ უჩვენეს, ასეთივე წარმატება ჰქონდა
ფილმს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

ირაკლი მახარაძე



1921 წელს საქართველოს კინოეკრანებზე გამოვიდა პირველი ქართული საბჭოთა მხატვრული ფილმი „არსენა ჯორჯიაშვილი“, სადაც მთავარ როლს მიხეილ ჭავაურელი ასრულებდა

სამხედრო-ანალიტიკური
ურნალი

არსენალი



ინფორმაცია, რომელიც მიზანში ხვდება!

ყოველთვიური ურნალი!
იპითხეთ პრისტის გამავრცელებლებთან!
ნიმუში ადგილზე მიზანით - elva.ge; ტელ: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76



ოთხებ სტალინი, ფრედერიკ რუზველტი და ჰინსტონ ჩერჩილი თეირაბის
კონფერენციის (1943 წლის დეკემბერი) დასრულების შემდეგ

არშამდგარი ტერაქტი თეირაბი

პიტლერელებს 1943 წელს დიდ სამაულზე თავდასასხმელად რესურსი აღარ ჰქონდათ

მოსკოვი, 1946 წელი.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ნემისი არ ჩავარდება. ლექციას ყოფილი ჩეკისტი, პოლკოვნიკი დმიტრი მედვედევი კითხულობს და იგი საბჭოთა დაზვერვის საქმიანობას ეძღვნება. აუდიტორიაც მედვედევს სულგანაბუღლი უსმენს.

ლექციაზე პოლკოვნიკმა განაცხადა:

— თეირაბის კონფერენციის დროს პიტლერელები სტალინზე, ჩერჩილსა და რუზველტზე თავდასხმას გეგმავდნენ, მაგრამ ჩვენ ეს აღვევთ. ამ საქმეში მთავარი როლი საბჭოთა მშვერავმა ნიკოლაი კუზნეცოვმა შეასრულა.

ეს სენსაციური ინფორმაცია მედვედევმა საქართველოშიც გაიმურა, როცა ლექცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც წა-

იყითხა 1947 წელს. შემდეგ გამოქვეყნდა მედვედევის რომანი „სულით ძლიერნი“. მასში თეირანში დაგვეგმილ აქციაზეცაა ლაპარაკი. რომანი მრავალ ენაზე ითარგმნა და ეროვნაში გამოიცა. მედვედევის ვერსიას უმრავი სეპტემბერი გამოხმაურება მოჰყვა. ბევრმა ის დაუჯერებლად მიიჩნია.

მედვედევის მტკიცებით, კუზნეცოვმა მთერალ გერმანელ ოფიცერს ფონ ორტელს დასცინცლა, რომ თეირანში აგზავნიდნენ. ეს ამბავი ბევრმა სპეციალისტმა ეჭვქვეშ დააყენა. ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი ნაიჯელ ვესტი წერდა, რომ თეირანში მართლაც რაღაც მოხდა, მაგრამ არა ისე, როგორც ამას პოლკოვნიკი მედვედევი აღწერს. ცნობილი გერმანელი ექსპერტი ჰაინც ერნს აღნიშნავდა,

რომ არ შეიძლება ორტელს კუზნეცოვისათვის ეს ეთქვა, რადგან თავადაც არ ეცოდინებოდა, რომ თურანში აგზავნიდნენ. ასეთ რამეს შევერავს მხოლოდ უკანასკნელ მომენტში ეუბნებან. სულ მცირე, რისი გაგებაც ორტელისგან კუზნეცოვს შეეძლო, იყო ის, რომ მას სასწრაფოდ ბერლინში იძახებდნენ.

— რატომ ცრუობებ რუსები? იმიტომ ზომ არა, რომ თურანში არავითარი ტერაქტი არ იგმებოდა და ყოველივე მათი შეთხულია? — წერს პაინც.

სტალინის სიკვდილის შემდეგ უამრავი საბჭოური მითი გაცამტვერდა, თუმცა თეორანის ოპერაციას ეს არ შექმნია. წლების განმავლობაში საბჭოთა ისტორიკოსები ამტკიცებდნენ, რომ დიდ სამეუღლებო თავდასხმა მართლაც იგვერდება, მაგრამ საბჭოთა უშიშროებამ იგი აღკვეთა და ამ საქმეში კუზნეცოვის ინფორმაციამ დიდი წვლილი შეიტანა. დღეს რუსეთში ამას ბევრი ეჭვევეშავენებს, თუმცა რუსეთის უსაფრთხოების ფედერალურ სამსახურთან დაახლოებული ექსპერტები მანიც აზრს არ იცვლიან.

— ჩვენმა უშიშროებამ თურანში დიდ სამეუღლებო თავდასხმა აღკვეთა, — ჯიუტად ამტკიცებენ ისინი.

დაზვრვა სესიი

პოლკუნიკი ღმითრი მედვედევი მეორე მსოფლიო ომის დროს ჩეკისტურ სპეცაზმს ხელმძღვანელობდა, რომელიც ფაშისტთა ღრმა ზურგში როგორს ოლქში მოქმედებდა. მედვედევის განკარგულებაში იმყოფებოდა სპეციალური დანიშნულების აგენტი ნიკოლოზ ივანოვიჩ კუზნეცოვი (აგენტურული მეტსახელები „კოლონისტი“ და „პუხი“). როგორში კუზნეცოვი გერმანელი ობერლეიტანანტის, პაულ ზიბერტის საბუთებით ჩნდებოდა. კუზნეცოვის ძირითადი ამოცანა ტერაქტები იყო. აუცილებელ ინფორმაციებს მის განკარგულებაში მყოფი აგენტი-ქალები აწვდიდნენ, რომელთაც გერმანელ თვიცებებს მიუჩენდნენ მნიშვნელოვანი ცონბების დასაცინცლად (ჩეკისტების ჟარგონით, ასეთებს „ლასტოჩებს“ უწოდებენ). მათგან აქტიური ბიბით გამოიჩინდნენ ლიდია ლისოვსკაია (მეტსახელად „ლიკი“) და მისი დეიდაშვილი მარია მიკოტა („მაძა“). ლისოვსკაიას ბინა ერთგვარ სალონად ქცეულიყო, სადაც

გერმანელი თვიცებები დროს ატარებდნენ. შტურმბანფიურერი ულრიხ ფონ ორტელი კუზნეცოვამ სწორედ ლისოვსკაიას სალონში გაიცნო. მედვედევმა იცოდა, რომ ორტელი როვნოს გარეუბანში განთავსებულ დივერსანტთა სკოლას ხელმძღვანელობდა. მათ საბჭოთა ტკუნებიდან არჩევდნენ და სათანადო მომზადების შემდეგ საბჭოთა ზურგში აგზავნიდნენ. ამდენად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭიბოდა ინფორმაციას, რომელსაც ორტელს გამოსტყუებდნენ. მედვედევმა ეს ამოცანა კუზნეცოვს, ლისოვსკაიასა და მიკოტას დააკისრა. კუზნეცოვს ეს არ მოეწონა.

— საბჭოთა ისტორიკოსები ამტკიცებდნენ, თითქოს კუზნეცოვი ორტელს დაუმეგობრდა და ისინი ერთად ღრუობდნენ. ეს სიმართლეს არ შევსაბამება. სინამდვილეში კუზნეცოვი ორტელს ცეცხლივით ერიდებოდა, რადგანაც ხედავდა, რომ პროფესიონალი იყო და მასთან მცირე შეცდომაც კი არ გაუვიდოდა, — წერს თანამედროვე უკრაინელი ისტორიკოსი კიმ ზაკალიუკი.

თუმცა მედვედევის ბრძანების უგულებელყოფა არ შეიძლებოდა. კუზნეცოვმაც გამოსავალი იპოვა. მან ორტელი რესტორანში მხოლოდ ერთხელ დაპატიჟა, მდიდრული სუფრაც გაუშალა, მიკოტას კი დაახლოება



პოლკუნიკი
დმიტრი
მედვედევი



ოტო ჰიუნცენი

უბრძანა. ქალი ორტელის საყვარელი გახდა და „კოლონისტმა“ ეს უმაღლ მოახსენა მედ-ვედევს.

— კუზნეცოვა ზუსტად გათვალა. ცხადია, საყვარელს ინფორმაციის მოპოვების მეტი შანსი აქვს. მედვედევსაც აღარ დაუმალებია, ორტელს შეხვდიო, — წერს ზაკალიუკი.

გერმანელთა ურთიერთობების მთელი სიმძიმე მიკოტას, ანუ აგენტ „მაიას“ დაწვა. მან ორტელთან არაერთი ვწებანი ღმერქება, თან კუზნეცოვს ამომწურავ პატაკებს აპარებდა. მიკოტა ვერაფერს გახდა. მართალია, ორტელი ბეჭრს ლაპარაკობდა და ოუზჯობდა, მაგრამ სამსახურის საქმეებზე კინიტსაც არ ძრავდა. მათინ მიკოტას ლი-სოვსკაია მიეშველა. კუზნეცოვის ბრძანების თახახმად, ორტელს ისიც ლოგინში ჩაუწევა. ლისოვსკაია გამოცდილი ჯაშუში იყო, მა-მაკაცის მოხიბლვაც ერთობ ემარჯვებოდა, მაგრამ ორტელს მაინც ვერაფერი დააცდე-ნინა. მოულოდნელად გერმანელი როგორდან გაქრა. ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, არავინ იცოდა.

მედვედევი დარწმუნებული იყო, რომ ორტელი საბჭოთა ზურგში გადაისროლეს.

თავისი მოსაზრება მან ცენტრს აცნობა, თან შტურმბანფიურურის გარებნობის დაწვრილე-ბითი აღწერა დაუროო. როგორდან მოსკოვში ამ საქმესთან დაკავშირებით სხვა ცნობა არ გაგზავნილა.

პიტლერის სახლის ჩაშლა

საბჭოთა დაზვერვა ირანში აქტიურად მუშაობდა. რუსებმა აქ მართლაც საქმაო წარმატებებს მიაღწიეს, რაც პირდაპირ უკაზ-შირდებოდა ვინმე ანდრეი ვართანიანის სა-ხელს. ის 1927 წელს ოჯახთან ერთად ირანში გადასახლდა, რესპექტაბელური ბიზნესმენი გახდა და დაშნაკურ ემიგრაციასთანაც თა-ნამშრომლობდა. ყველას ეკონა, რომ საბჭოთა კავშირიდან სტალინურ ტერორს გამოექცა. სინამდვილეში ვართანიანი საზღვარგარეუთ საბჭოთა უშიშროებამ მიავლინა, რომლის აგენტიც 1923 წლიდან იყო.

ანდრეი ვართანიანი თავგამოდებული შოგი-ნისტი და ე.წ. დიდი სომხეთის შექმნის მომხრე გახლდათ. ამის მიღწევა კი მხოლოდ გარეშე ძალების მხარდაჭერით იყო შესაძლებელი. საბჭოთა სპეცსამსახურების გარდა, ანდ-რეი ვართანიანმა კავშირი ინგლისელებთა-ნაც დაამყარა. მისი საკონდიტრო ფაბრიკის საფარქვეშ ჯაშუშური ქსელი მოქმედებდა, რომლის საცეცებმაც თვით შაპის სასახლე-შიც შეაღწია. როცა მოსკოვში დარწმუნდნენ, რომ ვართანიანთან თანამშრომლობა მათთვის სასარგებლო იქნებოდა, მასთან სისტემატური კავშირი დაამყარეს. საამისოდ ირანში გამოც-დილი მზეურავი ფანე აღაიანცი მიავლინეს. მისი ერთ-ერთი საიმედო დამხმარე ანდრეი ვართანიანის ვაჟი გეორგი გახდა. აღაიანცმა მას მეტსახელად ამირი შეურჩია და სადაზ-ვერვო საქმიანობაში ჩააპა. გევორქ ვართა-ნიანმა საკუთარი ჯგუფი შექმნა და კავშირი დაამყარა როგორც აბვერთან, ასევე ინგლისის დაზვერვასთანაც.

— ვართანიანის ჯგუფში უმრავი ორმაგი ან სულაც სამმაგი აგენტი იყო, რომლებიც ხელფას იღებდნენ როგორც რუსების, ასევე გერმანელებისა და ინგლისელებისგანაც. რუ-სები ამას ოსტატურად იყენებდნენ, — წერს ამერიკელი უზრნალისტი და ისტორიკოსი უილიამ შირეი.

ამირმა ირანში მოქმედი მსხვილი გერ-მანელი ჯაშუშის, ფრანც მაიერის ნდობის

მოპოვება შეძლო. მაიერს სავსებით აძლევდა ხელს, რომ გართანიანი იმავდროულად ინგლისელებთანაც იყო დაკავშირებული. ის კი ველარ წარმოედგინა გერმანელს, რომ რუსებისთვის აღმაშენებდა. გვორჯ ვართანიანის წყალობით აღაიანცა მაიერის ქსელში შეაღწია და მისი ბევრი წევრი გადაიბირა. რუსების აგნტი თვით მაიერის მოადგილე და მარჯვენა ხელიც კი გახდა.

თეირანი კონფერენციისთვის უცბად არ შეურჩევიათ. აშშ-ის პრეზიდენტმა რუზევლტმა სტალინს შეხვედრა მანაგუაში (ნიკარაგუა) შესთავაზა. სტალინმა იუარა. უარყვეს უინსტონ ჩერჩილის წინადადებაც კონფერენციის ერაყში გამართვის შესახებ. მაშინ მან სტალინს თეირანი შესთავაზა და ისიც დათანხმდა. დათანხმდა აშშ-ის პრეზიდენტიც. საბოლოო გადაწყვეტილება კონფერენციის დაწყებამდე მხოლოდ ოცი დღით ადრე მიიღეს, თუმცა ვერმანელებმა ამის თაობაზე მაინც შეიტყვეს.

ანკარაში დიდი ბრიტანეთის ელჩის მოსამახურე ვინძე ბაზნა გახლდათ. ის გერმანიის აგნტი იყო და ატარებდა ფსევდონიმს „ციცერონი“. ბაზნამ უამრავი ზესაიდუმლო ინფორმაცია მოიპოვა. სწორედ „ციცერონმა“ შეატყობინა ბერლინს, რომ დიდი სამეული თეირანში შეიკრიბებოდა. ცნობის მოპოვება კონფერენციის დაწყებამდე სულ რვა დღით ადრე მოხერხდა. მიუხედავად ამისა, ჰიტლერმა დიდ სამეულზე თავდასხმა მაინც გადაწყვიტა. ოპერაციის კოდური სახელწოდება „დიდი ნახტომი“ გახდა, მისი შესრულება კი ოტო სკორცენის დაევალა.

1941 წლის აგვისტო-სექტემბერში საბჭოთა და ინგლისურმა ჯარებმა ირანის ოკუპაცია მოახდინეს. სსრკ-ინგლიის ერთიანი ძალით აქ არსებულ გერმანულ აგნტურას უდიდესი დარტყმა მიაღდა. ყველა მეტ-ნაკლებად აქტიური გერმანელი მზევრავი დააპატიმრეს. ამ საქმეში გვორჯ ვართანიანმა ანუ ამირმა უდიდესი როლი შეასრულა. მისმა ჯგუფმა საიდუმლო ინფორმაციებით მოამარავა როგორც რუსები, ასევე ინგლისელები. სკორცენისაც დიდი არჩევანი არ ჰქონდა. ფსონი რომელიმე გადარჩენილ ჯაშუშზე უნდა დაედო, რომელიც მასობრივი დაპატიმრების ტალღას გადაურჩა და იატაკქვეშეთში



საბჭოთა მზევრავი გვორჯ ვართანიანი
შეუღლესან ერთად

აფარებდა თავს. სანგრძლივი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა, აქცენტი თავის ძველ მეობარ მაიერზე გადაეტანა. ბუნებრივა, რუსებმა ყოველივე მაშინვე შეიტყვეს. ვართანიანსაც მაიერზე თვალთვალის გაგრძელება უბრძანეს. როგორც ჩანს, გერმანელს გულმა ცუდი უგრძნობ, რადგანაც იგი მოულოდნელად გაქრა.

თეირანის კონფერენცია ახლოვდებოდა. სტალინმაც უშიშროების მაშინდელი შეუერთველობა მერკულოვი გამოიძახა:

— რამდენად მართალია, რომ თეირანში ჩევნზე თავდასხმა იგეგმება? — შეეკითხა სტალინი.

— დიახ, ასეთი ინფორმაცია არსებობს, — ჩუმად მიუგო მერკულოვმა.

— ეს არ ეძარა! — სტალინის ხმაში დაუფარავი გალიზიანება გამოკრთა, — მე ზუსტი ცნობები მჭირდება! ვინ, სად, როდის აპირებს თავდასხმას!

— გასაეგბია, ამხანაგო სტალინ!

— შეთქმულება არსებობს, ამაში ეჭვი არ მეპარება, — სტალინი წამით გაჩუმდა,

— ამიტომ ის ჩვენ უნდა ვამხილოთ და არა ინგლისელებმა ან ამერიკელებმა! გასაგებია?



ბრიტანული ჯარები, საბჭოთა არმიასთან ერთად, 1941 წლის აგვისტო-სექტემბერში ირანში შევიდნენ

„თეირანი ყველაფერი ცუდადაა“

გაუჩინარებული მაიერის კვლე თავდაპირ-ველად ინგლისელებმა მიაგნეს. გერმანელმა რეზიდენტმა სომხურ სასაფლაოს შეაფარა თავი, მესაფლავედ მოეწყო და მახლობლად პატარა ქიბში დამკვიდრდა. ზოგიერთი მევლე-ვარი გამოთქვამს ვერსიას, რომ მაიერს ვარ-თანანის ჯგუფის წევრებმა მიაკვლიეს და ეს ინფორმაცია ინგლისელებს მიჰყიდეს. თავად ვართანანი ამ მოვლენებიდან უკვე მრავალი წლის შემდეგ აღიარებდა, რომ გაუჩინარე-ბული მაიერის კვალს მართლაც ვეძებდითო.

— მაიერი თავს ირანელად ასაღებდა. იგი ისე იყო შენიდებული, ნამდვილი ირანელისგან ვერ გაარჩევდით. ჩვენ მის ადგილსამყოფელს მივაკვლიეთ და ვაპირებდით ყოველივე ჩვენე-ბისთვის შეგვეტყობინებინა, მაგრამ ინგლი-სელებმა დაგვასწრეს და მაიერი აიყვანეს, — განაცხადა თავის ტელევიზიურვიუში ვართა-ნიანმა 2010 წელს.

დაპატიმრებულმა მაიერმა დაკითხვისას განაცხადა:

— ბერლინიდან მივიღეთ ცნობა, რომ თუ-ირანში სპეციალურ ჯგუფს გადმოსხამდნენ. ჩვენ მათთვის ხალხი და სამედო კონსირა-ციული ბინები უნდა დაგვეხვდებინა.

მაიერმა ჯგუფის გადმოსხმის ადგილი და დღოც დაასახელა. ამ ინფორმაციის საფუძ-ველზე ინგლისელებმა ირანში შემოღწეული პირველი გერმანელი ჯგუფი გაანადგურეს. მას სათავეში ვინმე ფონ პოლტენ პფლუგი ედგა. დაპატიმრებული დივერსანტების ჩვენე-ბის საფუძველზე ცხადი იყო, რომ ნაცისტები თუირანში ტერატს გეგმვდნენ. თუმცა ვერ მო-

ხერხდა დადგენა, ვინ, სად და როდის მოწყობ-და. ვერც ის შეიტყვას, ვინ ხელმძღვანელობდა ოპერაციას, ზუსტად რამდენი დივერსანტი იყო ჩაბმული მასში, ან როდის უნდა გადმომსხდა-რიყო გერმანელთა მომდვენო დესანტი.

— ინგლისელები ჯენტლმენები არან და მოკავშირისადმი ერთგულებას ყველაზე მაღ-ლა აყენებდნ. რუსებსაც მაშინვე შეატყობინეს, ჰიტლერელები შესაძლოა ტერატს ამზადე-ბენო, — წერს უილიამ შირერი.

ინგლისელები მიიჩნევდნენ, რომ შექმნილ ვითარებაში კოორდინირებული მოქმედება იყო აუცილებელი. რუსები დათანხმდნენ, თუმცა ეს უფრო ტაქტიკური ნაბიჯი იყო. საბჭოთა უშიშროებას შეთქმულება თავად უნდა გაქვსნა! ასეთი იყო სტალინის ბრძანება.

რუსებმა და ინგლისელებმა გაავრცელეს ჭორი, თოთქოს მაიერი შემთხვევით ირანელ პოლიციელებს გადაწყვდა და ორმხრივი სრო-ლისას მოკლეს. მაიერის ფუნქციები მისმა მოადგილემ შეითვისა, რომელიც საბჭოთა აგენტი იყო. მას ბერლინთან ინტენსიური რა-დიოკავშირი ჰქონდა, ამიტომ რუსებს აცნობა, რომ განსაზღვრულ დღეს და ადგილას გერ-მანელები კიდევ ორი დივერსანტი ჯგუფის გადმოსროლას აპირებდნენ. ეს ინფორმაცია კიდევ ერთმა ორმაგმა აგენტმა, ერნსტ შერ-სერმაც დაადასტურა.

საბჭოთა უშიშროებამ დივერსანტთა ორი-ვე ჯგუფი გაანადგურა. ერთ-ერთს სათავეში ვინმე ვლადიმირ შეველიოვი ედგა, მეორეს კი ულრიხ ფონ ორტელი, სწორედ ის, რომლის როგორიც გაუჩინარებასაც თავის დროზე კუზ-ნეცოვი იტყობინებოდა. ორტელი ჯერ აღაიან-

ცმა დაკითხა. შტურმბანფიურერი მოტქილი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. დაკითხვისას მან დადასტურა, რომ დიდ სამეუღლე თავდასხმა იგებმებოდა. ოპერაციის კოლური სახელწოდება „დიდი ნახტომია“ და მას პირადად ოტო სკორცენი ხელმძღვანელობს.

— ჩვენ ძველი მეგობრები ვართ, ამიტომაც ოტომ რაღაც-რაღაცები გამიმზილა, — განაცხადა ორტელმა.

მერკულოვი სიხარულისგან მეშვიდე ცაზე იყო. იგი სასწავლოდ თეირანში გაემგზავრა, რათა ორტელი პირადად დაეკითხა.

— ვის, როდის, სად უნდა მოწყო ტერაქტი? — შეკითხა მერკულოვი.

— არ ვიცი, — ორტელმა ამოიოხრა, — მხოლოდ ის ვიცი, რაც უშუალოდ მქება.

— და რა გქებათ?

— ბერლინში იციან ირანში მომხდარი მასობრივი ჩატარდნების შესახებ. მე ვითარება ადგილზე უნდა შემესწავლა და რადიოთი შემეტყობინებინა, შესაძლებელი იყო თუ არა ოპერაციის გაგრძელება.

მერკულოვი კმაყოფილებას ვერ მალავდა. ცხადი იყო, რომ ორტელი სიმართლეს ამბობდა. ის გერმანელს სიცოცხლის შენარჩუნებას დაპირდა. ორტელმაც ბერლინში რადიოგრამა გაგზავნა: „თეირანში კარგი ამინდია, ველით სტუმრებს“. მერკულოვს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ამ რადიოგრამის შემდეგ გერმანელები დანარჩენ დივერსანტებსაც გადმოსხვდნენ, ოტო სკორცენი ირანში ჩამოვიდოდა, მერკულოვიც მას შეიძყორბდა...

— საბჭოთა უშიშროების შეფს უსიამოენო მოულოდნელობა ელოდა. ორტელმა განგაშის სიგნალი გასცა — „კარგი ამინდია“ ნიშნავდა, რომ ყველაფერი ცუდადა და აქციის მოწყობა შეუძლებელია, — წერს უილიამ შირერი.

როცა მერკულოვს შტურმბანფიურერს ეშმაკობას მიუხვდა, უკვე გვიანი იყო. ჰიტლერელებმა ოპერაცია შეაჩერეს. საბჭოთა უშიშროების შეფს ისლა დარჩენოდა, ჯავრი ორტელზე ყვარა. გერმანელი თეირანის ციხეში დაიღუპა.

...რატომ შეითითხენა „დგზა“

შექმნილ ვითარებაში უკვე არავითარ ტერაქტზე ლაპარაკი აღარ შეიძლებოდა, თუმცა მერკულოვი სასოწავლებოთილი იყო. ის ხომ ორტელთან ჭიდილში აშკარად დამარცხდა.

ტერორისტთა მეთაურ სკორცენის შეპრობა ვერ შეძლო. უშიშროების შეფს რაღაც უნდა მოვინებინა თავისი მაცხოვის დასაფარავად.

მერკულოვი არა მხოლოდ ჩეკისტი, არამედ მწერალიც გახლდათ. მისი პიესა „ინუიტიური სერგევი“ თავის დროზე „პრაგდამ“ გამოაქვევნა. ახლაც მერკულოვმა დეტექტიური პიესა დაწერა, სადაც როგორც თავისი, ისე მთელი საბჭოთა დაზვერვის საქმიანობა უზომნოდ გაატუქა. მერკულოვმა საგანგებოდ შეისწავლა როგორც აღარანცის ხალხის პატაკები, აგრეთვე როგორს ტყებიდან მოსული შეტყობინებაც, სადაც ორტელის გაუჩინარებაზე იყო ლაპარაკი. შემდეგ კიდევ ერთხელ გადაიკითხა სტალინის, ჩერჩილისა და რუზელტის ბიოგრაფიები, დაადგინა, რომ 30 ნოემბერი ჩერჩილის დაბადების დღეა.

„დეზა“ რომ დამაჯერებლად გამოიყერებოდეს, სიმართლის მოზრდილ დოზას უნდა შეიცავდეს. მერკულოვმაც დაწვრილებით აღწერა ის ზომები, რაც საბჭოთა უშიშროებამ ინგლისელებთან ერთად ირანში მიიღო და რომლის შედეგადაც ირანში მთელი ჰიტლერული აგენტურული ქსელი განადგურდა.

— 1943 წლისთვის ყველა აქტიური ჰიტლერელი თუ მათი დამქაში განადგურებული იყო. მართალია, ზოგიერთმა მოახერხა და იატაკე-



გენერალოდ მერკულოვის მიერ შედგენილმა უკანასიამ მეთაურობა კმაყოფილი დატოვა



ექვეთს შეაფარა თავი, მაგრამ შექმნილ ვითარებაში ტერაქტის მოწყობა ძალაან მნელი იყო, — მერკულოვი ამას ხაზს განსაკუთრებით უსკამდა.

ტურორისტთა შეთაურად უმიშმობის შეფარდების მა არა სკორცენი, რომელიც სინამდვილეში ხელმძღვანელობდა ოპერაციას, არამედ ულრიხის ფორმის როტული გამოიყენა. მან აღწერა როტულის შეპყრობა, თუმცა რადიოთამაშებსა და ბერლინში გადაცემულ რადიოგრამაზე კრინტი არ დაუძრავს. მერკულოვის გვრისის თანახმად, თავდასხმა 30 ნოემბერს უნდა მომზარიყო,

როცა დიდი სამეული ჩერჩილის დაბადების დღესთან დაკავშირებით საზეიმო მიღებაზე შეიკრიბებოდა. საკლინიკო შენობაში კი ერთ-ერთ გაუქმებული მიწისქვეშა ჭის საშუალებით უნდა შეედწიათ. შემდგა ამას კვლავ სინამდვილე ერთოვოდა. მერკულოვი აღნიშნავდა, რომ გერმანელებმა არ იცოდნენ, როდის უნდა შეკრუბილიყო დიდი სამეული საზეიმო მიღებაზე. — ისინი გარაუდობდნენ, რომ ეს დაახლოებით 20-დან 22 საათამდე მოხდებოდა, — აღნიშნავს მერკულოვი და საკსეპტო მართუბულად ასკვნის, რომ სამეულის უახლოესი გარემოცვიდან გერმანელებისთვის არაფინ მუშაობდა.

უშიშროების შეფარვა ეს მოხსენება სტალინს მიართვა. დიქტატორი კაպიტალი იყო. დღეს ზოგიერთი მკვლევარი ამბობს, თთქმის მერკეულობა სტალინი გააცურა. მაგრამ სტალინისთვის მთავარი ის იყო, რომ ტერაქტი გამოირიცხა; ისიც, რომ მისი უახლოესი გარუმოცვიდან გერმანელებისთვის არავინ მუშაობდა. ვერსაია, რომ გერმანელები ტერაქტს გეგმავდნენ, მაგრამ საბჭოთა უშიშროებამ იყო აღკვეთა, სტალინს ხელს აძლევდა. მით უშეტეს, მერკეულობა კველაფერი ჩართლაც ოსტატურად შეიტხა.

დიქტატორმაც რუსველტსა და ჩერჩილს განუცხადა, გერმანელები ჩვენზე თავდასხმას გვმავდნენ, მაგრამ საბჭოთა უშიშროებამ ეს საქმე გასხვაო. ჩერჩილი ამას სკაპტიკურად შეკვდა, სამაგიეროდ, რუსველტი მოიხიბლა. აშშ-ის პრეზიდენტმა პრესკონფერენციაზეც აღნიშნა, თუირანში ჩვენს წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობდნენ, მაგრამ მისი აღკვეთა მოხერხდა.

თეირანის კონფერენციაც ისე დასრულდა,
როგორც სტალინს სურდა.

რა მოხდა სინამდვილეზე?

1966 წელს ოტო სკორცენის, რომელიც
მაღრიდში ცხოვრობდა, საბჭოთა მწერალი
იულიან სემიონოვი შეხვდა. ყოფილმა პიტ-
ლერილმა მას განუკადა:

— თურანის ოპერაციასთან დაკავშირებით დღესაც მრავალი მითია გაუცელებული. მაგალითად, ამტკიცებენ, თითქოს ჰიტლერმა თვალი დამომისახა და ოპერაციის ხელმძღვანელობა დამავალა. ასე არ ყოფილა. ფიურულმა ხელმძღვანელობა ერნსტ კალტენბაუერს დააკისრა. დავალგებსაც უშუალოდ იგი მაძლივდა.

— თეირანში თავდასხმა რატომ ჩაიშალა?
— შეკითხა სემიონოვი.

— იმ დროისთვის მთელი ჩვენი ირანული ქსელი, ფაქტობრივად, განადგურებული იყო. ამიტომ ამ ოპერაციისადმი სეპტემბერად ვიყავით განწყობილი. ორტელის შეტყობინებამ კი ყველაფერი დააგვირგვინა. ამას გარდა, სხვა წყაროებიც ადასტურებდნენ, რომ შექმნილ ვითარებაში ოპერაციის მოწყობა შეუძლებელი იყო. ჩვენც მისი შეჩერება გადაწყვიტეთ.

— ორტელზე რას გვეტყოდით?

— თავისი საქმე ჩინებულად იცოდა. მართალია, ღვინო და ქალები უყვარდა, მაგრამ ეს წელს არ უშლიდა.

— ორტელის სიგნალი რომ არა, თეირანში გაემგზავრებოდით? — დაუფარავი ცნობისმოყვარეობით შეკითხა სემიონოვი.

— არ ვიცი, — გაიცინა სკორცენიმ, — შეიძლება კი, შეიძლება არა.

— რამდენი დივერსანტი იყო ჩართული ამ ოპერაციაში?

— არ მახსოვს, — გერმანელმა მხრები აიჩეჩა, — ორასხე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. ყველას გვარს როგორ დაიმახსოვრებ. მხოლოდ იმას გეტჰევით, რომ უმრავლესობა გადარჩა.

— რომელიმეს გვარს ვერ დაასახელებდით?

— მაგალითად, შტურმბანფიურერი გამოტა. ოპერაციაში მას მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა, თუმცა მან გაქცევა შეძლო და მისი შემდგომი ბედი ჩემთვის უწობია.

— სად, როდის და როგორ უნდა მომხდარიყო ტერაქტი?

— არ მახსოვს, — სკორცენიმ უშმაკურად გაიღია, — აკი ამდენი წელი წარიდა გასული.

* * *

ოტო სკორცენი 1975 წელს მადრიდში გარდაიცვალა. კალტენბრუნერი ომის შემდეგ, როგორც სამხედრო დამნაშავე, გაასამართლეს და ჩამოახრჩეს. ვსევოლოდ მერკულოვი ბერიას საქმესთან დაკავშირდეთ დახვრიტეს. რომან გამოტა ტერაქტის ჩაშლის შემდეგ ირანიდან გაიქცა და ომის შემდეგ აჯსტრიაში დააპატიმრეს. პოლკოვნიკი მედვედევი 1954 წელს მოსერვში გარდაიცვალა. იუნი აღაიანცს კი თეირანიდან დაბრუნების შემდეგ საბჭოთა უშიშროებაში წამყვანი პოსტები ეკავა. ერთხანს დაზვერვის უფროსის მოადგილეც იყო. გარდაიცვალა 1968 წელს. გვიორქ ვართა-

ნიანი ცოლთან ერთად დიდხანს ცხოვრობდა საზღვარგარეთ და საბჭოთა დაზვერვისთვის მუშაობდა. 1975 წელს მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა, თუმცა სსრკ-ში მეუღლეებთან ერთად მხოლოდ 1986 წელს ჩავიდა. 2011 წელს რუსეთის საგარეო დაზვერვის დაკვითით გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში (რომელიც თეირანის მოვლენებს მიეძღვნა) კომენტატორად მოგვევლინა. ვართანიანი 2012 წელს გარდაიცვალა. კუზნეცოვი კი 1944 წელს ბანდერულებმა ტყვედ ჩაიგდეს და სიკედილით დასაჯეს. იმავე 1944 წლის სექტემბერში ლისოგრაფია და მარია მიკოტა პატარა ქალაქ ოსტროგთან ჩაცხრილეს. მკვლელობა დღემდე გაუხსნელია.

„თეირანის საქმეში“ უამრავი კითხვის ნიშანია. ამიტომ ზოგი ექსპერტი ამტკიცებს, რომ არავითარი ტერაქტი არ იგუმებოდა, სხვები არ ეთანხმებიან. დისკუსია გრძელდება.

ნიკა თევზაპი

ისტორიის დოქტორი



ერნსტ კალტენბრუნერი ნიურნბერგის პროცესზე დაკითხვისას



მარტყოფის საფორტიფიკაციო ნაგებობები

თუშების კომისია
ლევან ნიმრავაძის ფოტოები

ცრილიანი სისტემის ნაწილი, რომელიც მარტყოფის
ბარი, დაფარულავის მისამართის იცავდა

სოფელ მარტყოფში XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ოთხი საფორტიფიკაციო ძეგლია და ოთხივე — საგალალო მდგომარეობაში. თავის დროზე მათი აგება ქვეწის საერთო მდგომარეობაში მოითხოვა. სწორედ ამ დროიდან საქართველოს ორ მუდმივ მტერს, ირანსა და ოსმალეთს დაემატა მესამე — ლეკთა მარბიელი ლაშქრობების სახით. დადგესტნელთა დაჯგუფებების მოუღლოდნელი თავდასხმები ძალიან აზარალებდა ქვეწის მოსახლეობას. მომხდეული საომრად კი არ მოდიოდნენ, არამედ მოუღლოდნელად, მიპარვით ესხმოდნენ თავს შშვიდობიან მოსახლეებს, ძარცვადნენ და იტაცებდნენ...

სოფელი მარტყოფი მდებარეობს თბილი- სის ჩრდილო-აღმოსავლეთით, თავისუფლების მოედნიდან 30 კილომეტრში. აღმოჩენილი ყორდანული სამარხების დათარიღებამ აჩვენა, რომ აქ 4,5 ათასი წლის წინაც უცხოურიათ ადამიანებს. სოფელ მარტყოფის ისტორია კი VI საუკუნიდან იწყება, როცა ასურელ მამათაგან ერთ-ერთის, ანტონის ღვაწლის აღსანიშნავად, ქვიან ადგილას მდებარე სოფელ აკრიანს სახელი გადაერქვა და მარტომყოფი — მარტყოფი ქწოდა.

მარტყოფში დგას სამხედრო დანიშნულების ბატონიანთ ციხე, რომელიც სახითარსაც წარმოადგენდა. ციხეს ოთხი სათვალოვალო-საიგნალო კუთხის კოშკი ჰქონია. აქვე გვხვდება დამოუკიდებლად მდგომი საცხოვ-

რებელ-საბრძოლო კოშკები, რომლებიც ადგილობრივმა საგარეულოებმა ააშენეს ლეკთა მოუღლოდნელი თავდასხმებისგან თავდასაცავად: თუშების კოშკი, შინჯიკაშვილების კოშკი, ძაბაშვილების ციხე.

ეს ნაგებობანი იმ ერთიანი თავდაცვითი სისტემის ნაწილია, რომლის მშენებლობაც XVIII საუკუნეში მთელ ქართლ-კახეთში დაიწყო. იგებოდა ციხესიმაგრები, ციხედარბაზები, გალავნები, აგრეთვე ცალკეული კოშკები — როგორც ციხე-გალავანში ჩართული, ასევე ცალკე მდგომი. დამოუკიდებლად მდგომი კოშკები, კლასიფიკაციის მიხედვით იყოფა ორ ნაწილად: ა) წმინდა სამხედრო, ე.ი. სახითარი, სათვალოვალო ან სასიგნალო; ბ) საცხოვრებელ-თავდაცვითი.

ბატონიათ ციხე

მარტყოფის საფორტუიფიკაციო ნაგებობათაგან პირველია ბატონიანთ ციხე (იგდევე გუგუნაანთ ციხე, რაღაც აღრე აქ გუგუნაშვილებს უცხოვრიათ). იგი 1750 წელს მეფე ერეკლეს აუგია. ლევიანობისას ეს ციხე სოფლის მოსახლეობას იცავდა. პირველდებული სახით ის აღარავის ახსოებს, არც ვინძეს ჩაუხატავს და არც ფოტომასალაა შემორჩენილი. თუმცა დღეს არსებული ნაშთების საფუძვლზე შესაძლებელია თავდაპირველი მოხაზულობის აღდგენა. პროფესორ კაკაი მათიაშვილის 1959 წლის აღწერილობით, ბატონიანთ ციხის აზომვით დადგინდა, რომ მას თავდაპირველად 3444 კვმ ფართობი ეკავა. გალვანის კედლის სიმაღლე 8 მეტრამდე აღწევდა. ციხე ოთხკუთხები მოყვანილობის ყოფილა და ყოველ კუთხეში მრგვალი კოშკები მდგარა სათოფურებით. წყლით საიდუმლოდ მარაგდებოდა 300 მეტრით დაშორებული ბატონიანთ წყაროდან გაყვანილი თახის მილებით.

დღეს ციხის მხოლოდ რამდენიმე ფრაგ-
მენტია შემორჩენილი, რომელთა უმეტესობა
გამოყენებულია საცხოვრებელი სახლის კედ-
ლად და სოფლის განაშენიანებაშია ჩართული.
ზოგ შემთხვევაში კედლის ნაგრევებით ახალი
სახლია აშენებული, ამიტომ ციხეს დაკარგუ-
ლი აქვს თავდაპირული სახე.

თუმცალისავილების კომპი

ოუშმალიშვილების კოშკი სოფლის შე-
აგულშია და სიმაღლით თითქმის 14 მეტრს
აღწევს, გარეთა დიამეტრი კი ქვემოთ 9 მეტრს
აღემატება. სულ ოთხი სართულია, ბანით. ნა-
შენია რიყის ჭვითა და აგურით. შიდა სივრცის
პირველი სართული გადახურულია ბრტყელი,
სფერული გუმბათით და წარმოადგენს წრიულ
ოთახს (დამეტრი — 5,65 მეტრი; კედლის
სისქე — 1,80 მეტრი). შესასვლელის პირდა-
პირ ბუხარია. აქვს ორი სარკმელი საფეხური-
ანი თაღებითა და აღძა მიმავალი ხვრელებით,
ორი მცირე სიღრმის ნიში საოთვეურებისთვის
და ზემოთ ასასვლელი კიბის კარი. მაგრამ თუ
სხვა კოშკებში (მაგალითად, მუხრანის) პირ-
ველი სართული მხოლოდ სარდაფის როლს
ასრულებს, აქ იგი დარბაზს წარმოადგენს.
კედლები შეთეთრებული ყოფილა. ბუხარი
პროფილით ბულეტი ჩარჩო და აქეთ-იქით პა-
ტარ-პატარა ნიშები აქვს.

საინტერესოა გუშბათის დამუშავება: პირ-
ელ დონეზე ქუსლზე დაყენებული აგურის
წითლად შეღებილი ფრიზი უკლის — გარე
ფასაძეზე ანსებულის მსგავსი, რაც საფუძვლის
გვაძლევს კვიარაულოთ, რომ ოსტატს ერთია-
ნად შეუმუშავებდა მხატვრული კომპოზიცია.
გუშბათის ზედაპირი შეულესაფაია, ხოლო აგუ-
რის შრეები სხვადასხვა ფერდადა შეღებილი
— წითლად, თეთრად, შავად, ზოგიც შეკლება-



აპრატ
შინჯიკაშვილის
— 1775 წლიდან
გვეატტის
მართველის
სახსრებით
აშენებული
დღვეულშოთბლის
მიმძინების
სახლობის
გეღვენია
მარტოციფის
(კუნტრში)



თუშებალიშვილების ქოშკის ქონგურები



თუშებალიშვილების საგვარულო ქოშკის პირველი
სართულის გუმბათი

ვია. ამით იქმნება ერთგვარი რიტმული წყობა (ერთი შრე თავიდან ბოლომდე ერთ ფერშია, მეორეში ორი ფერი ენაცვლება ერთმანეთს. ეფექტს აძლიერებს დუღაბის შრებიც). გარდა ამისა, გუმბათის მთელ ზედაპირზე ჭალრაკულადაა განლაგებული ამოღრმავებული რომები, ტალღოვნი ქონტურითა და სხვადასხვაუერი ფონით. როგორც ჩანს, ოსტატი ცდილობს შექმნას ფერადოვანი ხალიჩის შთაბეჭდილება, სიმღიდრის ილუზია და გარკვეულწილად აღმოსავლურ მოტივებს ემსგავსება.

მეორე სართული მრავალჯერთხა ყოფილა და არა წრიული. აქ მეტი სივრცე და მაღალი კამარაა. შესასვლელის პირდაპირ ბუხარია, ინტერიერის მთავარი დეტალი. ბუხარს მარტივი, მაგრამ კარგად გამოყვნილი ჩარჩო შემოუყვება, აქეთ-იქიდან ისლამური ტიპის წყვილ-წყვილი პატარა ნიშებია, რომელთაც ოზნავ შესამჩნევი ჩარჩოები უკლის გარს. კამარაში აქაც შეღებილი ზოლები და ამოღრმავებული რომბებია. მეორე სართულის ფანჯარა იმდენად დიდია, რომ საჭიროებისას კარიც არის. მისკენ ამოდის ქვის კაბე პირველი სართულიდან და ადის მესამეზეც. ანუ არ იკარგება ცალკე სივრცე კიბისთვის და მეორე სართულის გარედან შემოსასვლელ კარსაც წარმოადგნენს.

მესამე სართული ზით ყოფილა გადახურული და ბანთა ერთად, წმინდა სამხედრო დანიშნულება ჰქონდა. წრიული ოთახი ბუხრით, სათოფურების ნიშებით, აგურისა და ქვის უხეში კედლით. მის შესასვლელთან, კედლის სისქეში, საპირფარეშო ყოფილა.

ბანის ბარიერს ისეთი სიმაღლე აქვს, კაცი

გუგუნაშვილების ციხის ნაშთი.
სამხრეთი კედელი



იდავეთ დაურღნობოდა ისე, რომ კბილანებს შორის თოფი გაეშვირა. კედლების ზედა ნაწილზე ოთხი ნისკარტა სალოდე თანაბრადაა განლაგებული. ბანის წრეზე სალოდები თანაბრად რომ გაენაწილებანათ, რათა ფასადიც მოხდენილად გამოჩენილიყო, ძეოთხე სალოდე კიბის უჯრედში მოუთავსებიათ. სალოდები შორის კი ძირს დაქანებული და პირდაპირი სათოფეები მორიგეობითაა განლაგებული.

გიორგი ჩუბინაშვილის მიხედვით, გვიანი შუა საუკუნეების ქართულ არქიტექტურაში ირანული მხატვრული ფორმების გაელენა შეიმჩნევა. ირანის იმდროინდელ აღმასვლას მოჰყვა ხელოვნების აღმოსავლური სტილის, ასევე სხვადასხვა ნიმუშების საქართველოში შემოდინება. ამან კი მოიტანა საზოგადოების მაღალ ფეხებში ხელოვნების ახალი ნაწარმით გატაცება. ცდილობდნენ დამსგავსებოდნენ სპარსელებს სამოსით, ცხოვრების წესით, სახელებით, საცხოვრებელი და საყოფაცხოვრებო ნაგებობებით ამასთან, ახალ პერიოდში არსებითი გადაფასება ხდება თავად სამშენებლო მასალისა. ქართული არქიტექტურის წინა მხატვრულ-შემოქმედებით პერიოდში, სამშენებლო მასალად გამოიყენებოდა კარგად გამოთლილი ქვის ფილები, ზოგჯერ საკმაოდ დიდი ზომისა, საგულდაგულოდ შერჩეული ფერის მიხედვით. ამჯერად კი, ამგვარი ქვის ადგილს იკავებს აგური. აგური ლიად ჩანს ფასადებზე და განსაზღვრავს მათ დეკორატიულ გაფორმებას, აგურით შეისრული თაღი, თანდათან ანაცვლებს ნახევრად მომრგვალებული ფორმის ქვის თაღს. აღსანიშნავია, რომ აგური მანამდე გამოიყენებოდა, როგორც დამხმარე სამშენებლო საშუალება და არასდროს გააჩნდა დეკორატიული ფუნქცია. იგი ყოველთვის დაფარული იყო“.

შეძლება დაგასკვნათ, რომ სწორედ ირანული არქიტექტურული მოტივების გაფლენაა შეისრული ფორმის კარები, ბუხრის ნიშები, ქუსლზე დამდგარი აგურის ფრიზი და წყობის ამოღრმავებით გამოკვეთილი რომბული მედალიონები, აგრეთვე ჭიქურიანი გუმბათი და საგანგებოდ შეღებილი, წითელი აგურის ფრიზი, რომელიც გარს შემოუყვება კოშკის შუა წელს.

სამწუხაროდ, რამდენიმე წლის წინ, თუშ-მალიშვილების კოშკის მთავარი, სამხრეთი ფასადი ჩამოინგრა. რის გამოც მან დაკარგა არა მხოლოდ ესთეტიკური გამომსახველობა,



თუშმალიშვილების კოშკის პირველი სართულით შორის მიმის ნიშა

არამედ დადგა სრული განადგურების წინაშეც. თუმცა პირველი სართული უვნებლადაა შემორჩენილი. შესაძლებელია აღმოსავლურ ყაიდაზე, ფერადი ჭიქურით გაფორმებული გუმბათის, მოჩარჩოებული ბუხრისა და სარკმლების ნილვა. ისინი დაუზიანებელია, მაგრამ ფასადის ძირითადი ნაწილის ჩამონგრევის გამოწვია მეორე და მესამე სართულების გათიშვა პირველისგან, რადგან ამ მონაკვეთში სართულშორისი კიბე მდებარეობდა. ამიტომ ახლა შეუძლებელია გარკვევა, რა მდგომარეობაშია ამ სართულების გადარჩენილი ნაწილები. ჩამონგრეულია გუმბათიც, ამის გამო ნალექები მუდმივად ჩაედინება კოშკის და აზიანებს მას. არსებობს საფრთხე, კოშკის დაზიანებულმა ნაწილმა წაიყოლოს და მთლიანად დაანგრიოს გადარჩენილი ნაწილიც.

პინჯიავავილების კოშკი

წერილობითი წყაროებისა და სოფელში გავრცელებული გადმოცემის მიხედვით ირკ-



შინჯიკაშვილების ქოშკის მეორე სართულის
შეფარული კარი

ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის
ინტერიერი

ვევა, რომ შინჯიკაშვილების უბანში მდგომი კოშკი აგებულია 1783 წლის შემდეგ, მარტყოფელი მამლუქის, გვიაპტის გამგებლის, იბრაჰიმ ბეგ შინჯიკაშვილის ძმის, ბასილა შინჯიკაშვილს მიერ, რომელიც გვიაპტეში ყოფილა მასთან და მისგან წამოღებული ფულით აუზენებდა ეკლესია სოფლის ცენტრში დედისთვის და კოშკი საგვარუულოსთვის.

იბრაჰიმ შინჯიკაშვილი ლეკებმა 1750 წელს გაიტაცეს. იგი მამლუქთა სარდალი გახდა და 1767 წელს მიიღო ბეგობა. 1775 წლიდან აბრამ შინჯიკაშვილი გვიაპტის მმართველი გახდა.

შინჯიკაშვილების კოშკი სიმაღლით 11,50 მეტრია, ნაგებია რიყის ქვით, ზედაპირი ძლისფერი ბათქაშითა დაფარული და მოსწორებული. კოშკის ესთეტიკურ ღირსებად შეიძლება მივიჩნიოთ სიმაღლისა და სიგანის პროპორციულობა. ცილინდრული ფორმის, ზემოთ ოდნავ დაგიწორებულ კოშკს დაახლოებით 2,5 მეტრის სიმაღლეზე შემოუყენება აგურის სარტყელი, რომელიც იქმნება რიყის ქვის წყობაში 20-40 სანტიმეტრით ერთმანეთისგან დაშორებული, ვერტიკალურად დაყენებული წითელი აგურით, მაგრამ ვინაიდან აგურებს შროის მანძილი დიდია, ფრიზი ისეთი შესამნევი და გამოკვეთილი არ არის, როგორიც



თუშმალიშვილების კოშკში. აგურის ასეთვე მეჩეტი წყობით, 4-5 მეტრის სიმაღლეზე ჯვარია გამოსახული. პირველი სართულის შესასვლელი მარტივი, სწორკუთხა ფორმისაა, მეორე სართულის კარი კა სწორკუთხა ნიშანია ჩასმული, თავზე კბილანა კარნიზით. ეს შესასვლელები და მესამე სართულის სარკმელი ერთ ღერძზე არ არის, რაც, გარკვეულწილად არღვევს კომპოზიციის მთლიანობას.

შექნებელი კოშკის შესამკიბად საცხოდ უცნაურ ხერხს იყენებს. პირველი შესასვლელის ზემოთ, წყობის ჩვეულებრივი, რიყის ქვებია მოჭიქული იმდენად დია ცისფრად, რომ შორიდან არც კი განიიჩევა. აქევა მუქი მწვნე და ლურჯი კერამიკული ნატეხებიც, მაგრამ ყოველგვარი სისტემის გარეშე, იმდენად გაფანტულად, რომ როთულია ამას მხატვრული ხერხი უწოდო, უფრო გულუბრყვილო მცდელობაა გაფორმებისა.

პირველი სართულის ოთახი წრიულია, გუმბათოვნი ჰქრით. შესასვლელის პირდაპირ ბუხარია, სწორკუთხა ნიშანი ჩამჯდარი. მისგან ორივე მხარეს მცირე ოთხკუთხა ნიშებია სათოფურებით, რომლებიც მოგვანებით გადაუქცებიათ გნეზნებად. სამხრეთ-აღმოსავლეთით, მეორე სართულზე ასასვლელი ქვის კიბეა, რომელიც დაახლოებით 50 სანტიმეტრი სიგანისა და ზრდასრული ადამიანი შელად ეტკე.

მეორე სართული რგონა ხნაგაა. გადახურვა გუმბათოვნი, შეუმტკბელ-გაუფორმებელია. შემოსასვლელის პირდაპირ ბუხარია ოთხკუთხედში ჩამჯდარი, დანარჩენ წახნაგებში მაღალი ოთხკუთხა ნიშებია (დასავლეთის ნიში საპირფარეშოა, რომელსაც ფარდა უნდა ჰქონდა ჩამოყარებული). ბუხრის გვერდით, მაღალ ნიშებს ზემოთ, სათოფებია მოწყობილი, ქვემოთ კი თაროებია გამართული. სათავსი ნათდებოდა სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან. ექვსი საჭრაქე ისეა განწილებული, რომ ოთახი თანაბრად განათდეს. საჭრაქების ფორმა სარკმელთა ფორმას იძეორებს, რაც ერთგვარ მხატვრულ გააზრებაზე მიანიშნებს.

მესამე სართულს კოჭოვანი გადახურვა აქვს, ზემოდან კი ბანია მოწყობილი. იგი ქვედა სართულების შედარებით დაბალია. სამხრეთ-აღმოსავლეთით ორი კარია კიბის უჯრედებში მოსახვედრად. ჩრდილოეთით დიდი ფანჯარაა. დაბალი ბუხარი მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთით კედლებში. ოთხი სწორკუთხა ნიშიდან



შინჯიკაშვილების კოშკის პირველი სართულის გუბათი

სამი — შეწყვილებული სათოფეა, მეოთხეში კი სხვადასხვა მხარეს მიმართული ორი სათოფეა დატანებული. ძირს მიმართული მაღალი კვეთის სათოფები კი ნიშებს შორისაა.

მეოთხე სართული ბანია, რომლის მაღალ კედლებსაც ქონგურები ამთავრებს. აქვს ოთხი უთანაბროდ განაწილებული ნისკარტა სალოდე, მათ შორის კი ძირს დახრილი სათოფებია მოწყობილი. ჩრდილო-დასავლეთით არსებული კარი კი აიგანზე გადიოდა.

თუშმალიშვილების კოშკისგან განსხვავებით, შინჯიკაშვილების კოშკი მყარად დგას და არც დიდი ბზარები აქვს. ჩამონგრეულია მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთ ქონგური, რაც დანარჩენ ნაწილებისთვისაც ქმნის საფრთხეს. ინტერიერი თითქმის უცელელადაა შემორჩენილი, თუ არ ჩაგთვლით კედლებზე ცარცითა და საღებავით „შესრულებულ“ წარწერებს, აგრეთვე მოხერხილ რქის საკიდებს და სათავსებად გადაკეთებულ ნიშებს. კოშკში



ძამაშვილების საგვარუულო კოშკის
შემორჩენილი ნაშთები

სინესტე იგრძნობა, რაც სავარაუდოდ ნალე-
სი კედლების სიმყიფის მზეზი გახდა. ისინი
მცირე შექებაზე იმსხვრევა და ცვიდა.

პარავილების ციხე

მეოთხე სიმაგრე მდინარე ალიზევის მარ-
ცხენა მხარეს იდგა. იგი ყველაზე პატარაა.
მაგრამ დანარჩენებისგან მშენებლობის თავი-
სებურებებით განსხვავდება. სიმაგრე მხოლოდ
საბრძოლო დანიშნულებისაა. ციხე სანა-
ხევროდ დანგრეულია. იგი სამსაროულიანი
ყოფილა მეორე საროულიდან შესასვლელით.
პირველ საროულზე გარედან შიაღგამდნენ
ხის მოძრავ კიბეს და ასე ადიოდნენ მეო-
რეზე. პირველი საროულის ჭრში ჭრილია
დატოვებული, ისე რომ მასში თავისუფლად
გაეტეოდა კაცი. აქ ჩადგმული იყო კიბე,
რომლის საშუალებითაც უკავშირდებოდნენ
პირველ საროულს, სადაც შეხიზნულთათვის
სურსათ-სანოვაგე იყო მოთავსებული.

ძამაშვილების ციხიდან გადარჩენილია
მხოლოდ ცალი მხარე, დასავლეთის კედელი,
ისიც ძალიან დაზიანებული, მეორე საროულ-
ზე დარჩენილია ბუხრის ნიშა. საძირკველზე
ადგილობრივები ნაკელს აგროვებენ.

* * *

მარტყოფის საფორტიფიკაციო ნაგე-
ბობათა მნიშვნელობა არ აძინებულია
მხოლოდ ერთი სოფლის თავდაცვით. თავისი
ადგილმდებარეობის გამო ის წარმოადგენდა
ნაწილს ერთიანი სისტემისა, რომელიც სა-
ბოლოო ჯამში დედაქალაქის მისადგომებს
იცვდა. სწორედ საგურამო-იალნოს ქედით
გადმოდიოდნენ მომზღვურნი გარე კახეთში და
თუ მარტყოფს აიღებდნენ, თბილისისკენ გზა
ხსნილი ჰქონდათ. სავარაუდოდ, იმავე ფაქ-
ტორის გათვალისწინებით იყო გამოწევული
დიდი მოურავის — გიორგი სააკაძის მერ
1625 წლის 25 მარტის აჯანყების გენერალუ-
რი ბრძოლის ადგილად მარტყოფის შერჩევა.

ამდენად, დიდი იყო მარტყოფის საფორტი-
ფიკაციო ნაგებობათა მნიშვნელობა როგორც
ისტორიული, ასევე მხატვრული თვალსაზ-
რისითაც. განსაკუთრებით თუშმალიშვილების
კოშკი გამოიჩინა გაფორმებით, დეკორატიუ-
ლობისკენ სწრაფვით და იმდროინდელ მსგავს
ნაგებობებათა ორიგინალურ ნიმუშია.

მარტყოფის საფორტიფიკაციო ნაგე-
ბობათა ხელახალი დათვალიერება და მისი
შედარება ბიბლიოგრაფიულ და საარქივო
მონაცემებთან ცხადყოფს, რომ ამ ქედების
მდგომარეობა დღითი დღე უარესდება. მეტიც, ძამაშვილების ციხე ფაქტობრივად
აღარ არსებობს, გუგუნაშვილების ციხის
ფრაგმენტებიც ყოველდღიურად საფრთხის
ქვეშაა. შედარებით უკეთეს მდგომარეობა-
შია შინჯიგაშვილების კოშკი, რაღაც მას ამ
ეტაპზე ფიზიკური განადგურების საფრთხე არ
ემუქრება. თუმცა ამ მხრივ სავალალო მდგო-
მარეობაშია თუშმალიშვილების კოშკი. დაზი-
ანებულია ამ კოშკის კედელი მნიშვნელოვანი
ნაწილი — ფასადი, ჩამონაგრუულია გუმბათიც
და წვიმა და თოვლი მუდმივად ზრდის მისი
დანგრევის საფრთხეს. ეს კოშკი ფასეულია
პირველ რიგში იმით, რომ არსებული მასა-
ლის თანახმად, ჯერ კიდევ შესაძლებელია
მისი თავდაპირველი სახით რესტავრაცია...


მარიამ სახლთხუაშვილი

აირჩივ შესაფერისი იარაღი. ისროდე ზუსტად
გააუმჯობესეთ შენი შაშხანის სიზუსტე
ისწავლით თოვისთვის საფანტის შერჩევა

სიახლე!

ფასი
29.95 ლარი

335 მნიშვნელოვანი რჩევა ნეირობის შესახებ



შეიძინეთ ნიმნის მაღაზიაზე

ნიმნები სახელმწიფო მისამართის მიერ გარეშე ფასი 29.95 ლარი www.elva.ge



დიდი ცირკულარი 1

ჩბორი სიცვლი-სისრუსეის ზოგახზე

„ავტოსპორტის დედოფლი“ „დიდი ცირკულარი“, „ავტოსპორტის მწვერვალი“, „სამეფო რბოლა“, — ამ და სხვა ეპითეტებით ხშირად ამკობენ ფორმულა 1-ს, რომელიც დამსახურებულად მიიჩნევა მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟულ სარბოლო სერიად.

დაარსების დღიდან (პირველი ჩემპიონატი 1950 წელს გაიმართა) მილიარდობით დახარჯულმა დოლარმა და მსოფლიოს წამყვანი სკეციალისტების თავდაღებამ ეს სარბოლო კლასი ავტოსპორტის ყველაზე პოპულარულ სახეობად აქცია. დღეს ფორმულა 1 ავტოსპორტის ყველაზე ძირი სახეობაა. ცნობილი გუნდების ბიუჯეტი ასობით მილიონი დოლარია, წამყვანი პილოტებისა და სპეციალისტების პონორარი კი მართლაც საზღვაპიროა...

მიუხედავად იმისა, რომ ფორმულა 1-ში რეგლამენტი სიჩქარეს, სხვა სერიებთან შედარებით, პირდაპირ თუ ირიბად, საგრძნობლად ზღუდვებს, სანაცვლოდ მძაფრი კონკურენცია ტექნიკური დონის სხვა მიმართულებებით ზრდას განაპირობებს. მაგალითად, სამუხრუჭებს და აეროდინამიკური სისტემების სრულყოფას.

რა თქმა უნდა, ფორმულა 1-ში წარმატების წინაპირობა ბოლოიდის (სარბოლო ავტომობილის) ტექნიკური მახასიათებლებია, მაგრამ რაც უნდა სრულყოფილი იყოს იგი, ყველაზერს საბოლოო ფასს მაინც ავტომობილის საჭესთან მყოფი ადამიანის სიმარჯვე სმენს. წრის უსწრაფესად გავლას პილოტის შესაძლებლობათა ზეაღმიანური კონცენტრაცია და გამძლეობა სჭირდება. მთელი სათანახურის განმავლობაში პილოტის გულისცემა წუთში 180 დარტყმას აღწევს, მარშრუტის საკვალიფიკაციო (წინასწარი) შემოვლისას კი — 50-ით მეტსაც...

ფორმულა 1-ის ისტორიაც, როგორც მთლიანად ავტო-მოტო თუ სხვა ექსტრემალური სპორტის სახეობებისა, არაურთი სულის შემძერელი ტრაგედიათა დამძიმებული, მაგრამ ადამიანის ბუნებაში ჩადებულ



2010 წლის რბოლა მაღაიზიაში. ბოლიგები
პირველ წეუბე

ომის დასრულების შემდეგ, ფორმულა 1-ის რეგლამენტის მომზადებისას, სწორედ ის მანქანები გამოიყენეს ბაზისად.

სიჩეკის აპრეზა

ფორმულა 1-ის პირველი ჩემპიონატი 1950 წელს გაიმართა და ის იტალიურმა ჯეზეპე ფარინიშ მოიგო „ალფა რომელი“. ფარინიშ სულ მცირედით აკობა თავისივე თანაგუნდელ არგენტინელ ხუან-მანუელ ფანხიოს, რომელმაც მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში ხუთჯერ დაისაკუთრა მსოფლიოს ჩემპიონობა. სხვათა შორის, სწორედ მან დაამკიდრა ავტოსპორტიში შამპანურის გახსნის ტრადიციაც — 1950 წლის 2 ივნისს იგი პირველი იყო, ვისაც გამარჯვებულთა პოდიუმზე შამპანური მიართვეს.

მსოფლიოს პირველი ჩემპიონატების სტარტზე გამოსული აეტომობილები ერთმანეთის მსგავსი, კონსერვატორული კონსტრუქციისანი იყენებ — მილისებრი ძარით, წინა ნაწილში განთავსებული ძრავით, თხელი ბორბლებით... მაშინდელი წარმოდგენით, წარმატებისთვის მთავარი ფეტორი ძრავის სიმძლავრე იყო და კონსტრუქტორთა მსავარი საზრუნავიც მოტორი გახლდათ.

ფორმულა 1-ში პირველი, მეტაკლებად მნიშვნელოვანი ტექნიკური სიახლე „კუპერის“ ბოლიდი იყო, რომელსაც ძრავა უკანა ნაწილში ჰქონდა. ამ ტიპის ბოლიდებით დიდი ხნით ადრე, 1934-1939 წლების გრან-პრიში გუნდი Auto Union-ი ასპარუქობდა, კონსტრუქციის აეტორი კი ფერდინანდ პორშე იყო. ოღონდ თუ იმამდელი ბოლიდები ტრასაზე მოუქნებები იყვნენ, „კუპერ T43/T51“ ადვილი სამართავი გახლდათ. ალბათ ამანაც განაპირობა, რომ 1959 და 1960 წლებში საჩემპიონო ტიტულები „კუპერის“ გუნდის პილოტმა ჯეკ ბრებემმა არავის დაუთმო. 1961 წლიდან ჩემპიონატის ყველა მონაწილე გუნდი სტარტზე უკანაძრავიანი კონსტრუქციის აეტომობილით წარდგა.

ლეგენდარული ენცო ფერარი ბოლიდში ძრავის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით დიდხანს მიიჩნევდა, რომ „ცხენი კარუნდა გამოვაბათ ეტლს, არამედ — პირიქით“, თუმცა ერთ დღეს მის სკუდერიასაც („ფე-

შეჯიბრებისადმი სწრაფვას, აღმაფრუნას, რაც რბოლაში მეტოქის უკან ჩამოტოვებას მოჰყვება, კვლავ გამოჰყავს ბოლიდების პილოტები სიკედილ-სიცოცხლის ზღვარზე გამავალ, სარისკო ასპარეზზე.

სტარტი

ფორმულა 1-ს საფუძვლად აეტორბოლაში ევროპის გრანპრი დაედო, რომელიც 1920-1930 წლებში ქვემობილა. მაშინდელი რბოლების ორგანიზატორებმა რეგლამენტიც შეადგინეს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, თუმცა ხელი მეორე მსოფლიო ომმა შეუშალათ ომის შემდეგ კი მსოფლიოს საავტომობილო ფედერაციამ (FIA) მოამზადა ე.წ. ფორმულა 1-ის წესდება, რომელშიც აეტორბოლის ტექნიკური რეგლამენტი იყო წარმოდგენილი.

ომამდელ აეტორბოლებში აღლუმი გერმანელებს მიჰყავდათ ერთხელაც იტალიურმა აეტორკლუბმა, სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, ტრიპოლის გრანპრი „პატარა ფორმულას“ (voiturette) წესებით მოაწყო, სადაც ძრავის მოცულობა შეზღუდული (1,5 ლიტრი) იყო. მართალია, ამან იტალიელები გერმანელებთან გაწილებისგან ვერ იხსნა, თუმცა უკვე



ფორმულა 1-ის პირველი სეზონის ჩემპიონი ჯეზეპე ფარინა



გეცო ფერარის მაჩქდა, რომ „ცხნი კი არ უნდა გამოვაბათ ეტლს, არამედ — პირიქით“, თუმცა ერთ დღესაც მიხმა გუნდმა ეს პრინციპი დაოშო

ფორმულა 1-ში პირველი დიდი ტექნიკური სიახლე „ეუპერის“ ბოლიდი იყო, რომელსაც ძალა უკანა ნაწილში ჰქონდა



100 სამოსი თებერვალი 2014

რარის“ გუნდი) მოუხდა ამ შეხედულებაზე უარის თქმა. 1961 წლის „Ferrari Dino-156“-ის ძრავა V6 უკვე მძღოლის საკარძლის უკან იყო განთავსებული.

წლიდან წლამდე იზრდებოდა ძრავების სიმძლავრე, სიჩქარე და შესაბამისად, რისკიც. რბოლათა უსაფრთხოებაზე ზრუნვის მიზნით კი FISA-მ (კომიტეტი, რომელიც 1993 წლამდე აუტორბოლების ორგანიზაციონი იყო) რეგლამენტში ცვლილებები შეიტანა და ძრავების დასაშვები მოცულობა შეამცირა. 500-კილომეტრიანი სარბოლო დისტანცია შემცირდა 300-კილომეტრამდე, რადგან სამსათანა, სიქის გამცლელ რბოლას გველა პილოტი ვერ უძლებდა — მაშინდელ მანქანებს, „გველა სიკეთესთან“ ერთად, არც საჭის გამაძლიერებლები ჰქონდათ.

უსაფრთხოება ფორმულა 1-ის ორგანიზაციონთა თავის ტკივილი პირველივე დღიდან იყო, უბედური შემთხვევების არიდება ყოველთვის ვერ ხერხდებოდა.

ტრაგიკული აღმოჩნდა 1953 და 1954 წლების ჩემპიონისთვის, ალბერტო ასკარისთვის არა ავტორბოლა, არამედ სპორტულ ავტომობილ „ფერარი 750-ის“ გამოცდის დღე, მონცაში, 1955 წლის 26 მაისს.

ალბერტო მეტიბეტად ცრუმორწმუნე ყოფილა — საჭესთან მხოლოდ ერთი და იმავე ჩატეტით ჯდებოდა და არასდროს გადიოდა ტრასაზე თვის 26 რიცხვში. ამასთან, მას განსაკუთრებით ეშინოდა 36 წლის ასაკის მიღწევის — სწორედ ამ ასაკში, 1925 წლის 26 თებერვალს დაიღუპა მამამისი ანტონიო, ისიც ავტომობილელი.

იმ საბედისწერო დღემდე მცირე ხნით ადრე კი ალბერტო დახრჩობას გადაურჩა — მისმა „ლანჩამ“ ბარიერი გაამტვრია და ზღვაში გადავარდა. მაშინ ავტომობილელი კი გადაარჩინეს, მაგრამ მისი „თილისმა“, ჩატეტით დაიკარგა.

იმ დღის შემდეგ ავტომობილელმა იწამა, რომ სიცოცხლის საბედისწერო ზღვარი უკან მოიტოვა და მონცაში, 26 მაისს, უპკე თამამად მიუჯდა საჭეს. თვითმმსილველები ამბობდნენ, მსოფლიოს ჩემპიონი არცოუ დიდი სიჩქარით მოძრაობდაო, მაგრამ ასე იყო თუ ისე, ერთ მოსახვევში ავტომობილი საფალი ნაწილიდან მაინც გადავიდა და რამდენჯერმე ამობრუნდა...

ორმაგად ტრაგიკული გამოდგა 1960 წლის ბელგიის გრანპრი. ჯერ იყო და, 22 წლის კრის ბრისტოუს „ჯუპერმა“ დაკარგა მართვა და გადაბრუნდა, ავტომობილიდან გადმოვარდნილი პილოტი კადაიღუპა.

რამდენიმე წრის შემდეგ რბოლა საბედისწერო უკვე 26 წლის ალნ სტეისისთვის („ლოტუსი“) აღმოჩნდა — 200 კმ/სთ სიჩქარით მიმავალს სახეში ჩიტი შეასკდა. ტრასიდან გადასული მართვადაკარგული ავტომობილი სამეტრიან ბარიერს გადავიდო და...


არასაკლებ დრამატული ამბები 1961 წელს დატრიალდა. იტალიის გრანპრიზე რბოლა ახალი დაწყებული იყო, როცა ჩემპიონატის ლიდერ 33 წლის ვოლფგანგ ფონ ტრიპსის „ლოტუსიდან“ ჯიმ კლარკმა შეუტია.

მოსახვეში კლარკი დაქვიდა მეტოქეს, თუმცა ამ უკანასკნელმა არ დათმო და მოხდა შეჯახება... ფონ ტრიპსის მართვადაკარგული „ფერარი“ ჰაერში აიჭრა, მრბოლელი კი ას-ფალტზე დაენარცხა და ადგილზევე დაიღუპა. ბოლიდი მაყურებლებში გადაყრდა, სადაც 13 ადამიანი შეიწირა.

უსაფრთხოების მიზნით, ძრავების სიმბლაურზე დაწესებულმა შეზღუდვებმა კონსტრუქტორებს უბიძგა, ყურადღება აეროდინამიკასა და სხვა მახასიათებლებზე გაემახვილებინათ. 1962 წელს გუნდმა „ლოტუსმა“ ავტომობილის კონსტრუქციაში პირველმა დანერგა მონოკოკი, რომელიც საავიაციო მრწველობიდან გადოიდო.

ძრავების სიმძლავრისა და სისწრაფის მატებასთან ერთად, იზრდებოდა შეჭიდულობის ძალის მნიშვნელობაც, რაც გუნდებს ანტიფრითისა და სხვა აეროდინამიკური ელემენტების დანერგვის სექნ უბიძგებდა. 1970-იანი წლების ბოლოს „ლოტუსმა“ პირველმა გამოიყენა ე.წ. გრაუნდევექტი, რომელიც მნიშვნელოვნად ზრდიდა შეჭიდულობის ძალას, პილოტებს კი მოსახვების გაცილებით სწრაფად გავლაში ქმარებოდა.

იყო ისეთი პერიოდიც, როცა ფორმულა 1-ში ექვსთველა მონსტრები დაქროდნენ. 1976 წლის ჩემპიონატის წინ „ტირელის“ დიზაინერმა, ბოლიდის აეროდინამიკური თვისებების გაუმჯობესების მიზნით, ჯერ წინა საბურავების დაპატარავება გადაწყვიტა, შემდეგ კი მისი გაორმაგება. საბოლოოდ, მოდელ P34-ს თოხი წინა ბორბალი ჰქონდა.



სამუშავებო უქამდანატი „ალფა რომელ“, რომლითაც ხუან-მანუელ ფანგიომ 1959 წელს მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა



გამარჯვებულთა შემპანურით წუხაობის ტრადიცია ფორმულა 1-ში 1950 წლიდან არსებობს (სურათზე: ჰებასტიან ფუტერი და ფერნანდო ალონსო)

ბოლიდისთვის წარმატებული 1976 წლის შევდეთის გრანპრი იყო, ჯოდი სექტერი კი პირველი მრბოლელი გახდა, ვინც ფორმულა 1-ის ეტაპი 6-ბორბლიანი ბოლიდით მოიგო. „ტირელიმ“ ამ მონსტრზე უარი ერთი წლის შემდეგ მანც თქვა და ამის მიზნით „ზედმეტი“ ორი ბორბლისგან წარმოქმნილი მრავალი ტექნიკური ხარვეზი იყო.

„ოპროს ხანა“ (1980-2000)

1981 წელს გაფორმდა პირველი შეთანხმება ფორმულა 1-ის გუნდებსა და FIA-ს შორის. შეთანხმების თანახმად, ფორმულა 1-ის რბოლების სატელევიზიო ტრანსლაციებზე ყველა უფლება ახალშექმნილ კომპანია „ფორმულა 1-ის მართვისა და გნოვითარების კომპანიას“ (FOPA) გადაეცა, რომლის დირექტორი ბერ-



აირტონ სენა (ზემოთ) და მასი ბოლიდი სან-მარინოს გრანპრიზე მომხდარი ფარის შემდგვ (ქვემოთ)



ფორმულა 1-ის ტრასებზე ფარიებიც განსაკუთრებული ხდება

ნი ეკლსტოუნი გახდა. სწორედ ამ დღიდან მოიხსენიებენ ბატონ ბერნის ფორმულა 1-ის ბოსად.

1980-იანი წლები ტურბოძრავების ერა იყო. პირველი ძრავა ტურბოძაბერვით გუნდმა „რენომ“ 1977 წელს გამოიყენა, 1986 წელს კი ძრავების საკვალიფიკაციო კერძისებზე სიმძლავრემ 1300 ც/ს/მ შეადგინა, რაც დიაბორბლიანი აფტომობილებისთვის დღემდე სარეკორდოა.

1980-იან წლებში ჩამოყალიბდა ერთგვარი ტოპგუნდების დაჯგუფება, რომელშიც „ფერარი“, „მაკლარენი“, „უილიამსი“ და „ბენტლი“ შედიოდნენ.

1988-1990 წლების სეზონები „მაკლარენის“ პილოტების აირტონ სენასა და ალენ პროსტის ლეგენდარულ პაქტობაში წარიმართა. 1988 წლის სეზონს ბევრი დღემდე საუკეთესოდ მიიჩნევს ფორმულა 1-ის ისტორიაში – პროსტისა და სენას წყვილმა 16 გრანპრიზან 15 მოიგო (ის ერთი გამარჯვებაც „ფერარიმ“ იტალიის გრანპრიზე მოიპოვა).


თანაგუნდელთა მეტოქეობას წერტილი 1994 წელს დაესვა, როცა აღენ პროსტმა კარიერა დაასრულა, სენას კი სან-მარინოს გრანპრის დროს საბედისწერო ავარია შევმთხვა.

ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ავტომრბოლების დაღუპვამ მთელი შსოფლიო შეძრა, ფორმულა 1-ში უსაფრთხოების სტანდარტებზე კი დიდი გაფლენა იქნია. აღსანიშნავია, რომ ბრაზილიელის დაღუპვის შემდეგ ფორმულა 1-ის ტრასას პილოტის სიცოცხლე აღარ შეუწირავს.

მიზანმიმართულმა ტექნოლოგიურმა პროგრესმა და შსხვილი ავტომწარმოებლების მოსვლამ ფორმულა 1-ის გუნდების ხარჯები საგრძნობლად გაზარდა. XXI საუკუნის დასაწყისითვის ფორმულა 1-ის ბევრი გუნდის წლიური ბიუჯეტი რამდენიმე ასეული მილიონი დოლარით განისაზღვრებოდა. დანახარჯების ზრდას მოჰყვა ისიც, რომ 1990 წლიდან მოყოლებული, ჩემპიონატის ლიდერებთან კონკურენციისთვის საჭირო სახსრების არქონის გამო 28 გუნდმა ფორმულა 1-ის დატოვება გადაწყვიტა..

ახალი საუკუნე (2000-2013)

XXI საუკუნის დასაწყისი ფორმულა 1-ში „ფერარის“ უპირობო დომინირებით აღინიშ-



